

აბითურისტის პიპლორისა

ლეილა გეგურაძე

ქართული ენა

ენილი მაჟარე

თბილისი
2009

აბიტურენტის
ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჭორბეგაძის საზოგადოება

ლეილა გეგუჩიაძე

ქართული ენა

ცავლი გარება

თბილისი
2009

„აბიტურიენტის ბიბლიოთეკით“ ლეიილა გეგურიაძის „ქართული ენა“ ნაკვეთების სახით გამოდის 1997 წლიდან. წინამდებარე მეშვიდე ნაწილით დასრულდა დამხმარე სახელმძღვანელოდ ჩაფიქრებული შრომის გამოცემა. მასში სინტაქსის, კერძოდ, შერწყმული და რთული წინადაღების საკითხებია განხილული, წარმოდგენილია სასერიალის ნიშანთა ხმარების ძირითადი წესები.

მკითხველი შენიშნავს, რომ წიგნში განხილული საკითხები აბიტურიენტთათვის საჭმარისზე უფრო ვრცლად არის გაანალიზებული, ამიტომ იგი კარგ სამსახურს გაუწევს არა მარტო პედაგოგებს, სტუდენტებს, არამედ, საერთოდ, ქართული ენის შესწავლისა თუ სწავლების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი გიორგი გოგოლაშვილი

ბ. ჯორგავაძის საზოგადოების
სარეალურო-საგამოხსევო სააგო

შერტყმული ფინანსადება

შერტყმული ეწოდება ისეთ წინადაღებას. რომელშიც წარმოდგენილია რამდენიმე ერთგვარი წევრი. მაგალითად:

ა) რამდენიმე ქარისძებარე ერთსა და იმავე შემასმენელთან: ცრემლი, ცეცხლი და მუქარა დარიალი გვიდგა ქარზედა (ვაჟა);

ბ) რამდენიმე ქარისძებარე - ერთ ქარისძებარეთან: ჭაბუკებმა მოიხედეს. თავიუბა ჩამოიხსნეს და შეტერდნენ (თ. ბიბილ.);

გ) რამდენიმე პირდაპირი დამატება - ერთ შემასმენელთან: გროვებ დით სოფელს. მინდვრებს. კორდებს. როგორ და ჭალას (პ. ლებან.);

დ) რამდენიმე ირიბი დამატება - ერთ შემასმენელთან: მე გუმზე ბოსტნებს. ეირით შარებს. შეშის ბოგორებს (პ. იაშვ.);

ე) რამდენიმე უბრალო დამატება - ერთ შემასმენელთან: ღამე ივსება მოლოდინით. დარწით და შიშით (ო. ჭილ.);

ვ) რამდენიმე განსაზღვრება - ერთსა და იმავე საზღვრულ წევრთან: გუდამომუტული. აწყვიტავებული ძალლი ... ლელვების ჩრდილში შემაღლა (ო. ჭილ.);

ზ) რამდენიმე გარემოება ერთ შემასმენელთან: ზურგში თე ფრონტზე გზა საობარი ძლევით გალლი (ა. კალანდ.); ამაზე მას უბრალოდ და თავაზიანად მოახსენეს (რ. ინან.); აქ უნდა მჯდარი დღესაც და ამაღლამაც. ხვალაც და ხვალლამაც (თ. ბიბილ.) და ა.შ.

წარმოდგენილი წინადაღებები შერტყმულია არა მხოლოდ იმიტომ. რომ რამდენიმე ერთნაირი წევრია (რამდენიმე ქვემდებარე. რამდენიმე შემასმენელი, რამდენიმე დამატება. რამდენიმე განსაზღვრება და ა.შ.). არამედ იმიტომაც, რომ ეს ერთნაირი წევრები მიემართებიან ერთსა და იმავე წევრს (რამდენიმე ქვემდებარე - ერთსა და იმავე შემასმენელს. რამდენიმე შემასმენელი - ერთსა და იმავე ქვემდებარეს. რამდენიმე გარემოება - ერთსა და იმავე შემასმენელს და ა.შ.).

ეს რომ ძალზე მნიშვნელოვანია. ამის საოლუსტრაციოდ ასეთი მაგალითი გახევიხილათ:

უცნაური კაცის მოულოდნელმა გამოჩენამ ჩვენი მასპინძელი ძალიან ააღველა.

ამ წინადადებაში სამი გასსასლეციებაა: უცნაური, მოულოდნელმა, ჩვენი, მაგრამ ამ განსაზღვრება-შსაზღვრელებს თავ-თავისი საზღვრული წევრი აქვთ: უცნაური გაცის. მოულოდნელმა გამოჩენამ, ჩვენი მასპინძელი ამიტომ ეს წინადადება მარტივი გავრცელიოდა და არა შერწყმული.

იმსახურის, რომ წინადადება შერწყმული წაითვალის, ეს კუ არა საკმარისი აუკლებულია. რომ ერთმანი წევრები ერთგვარი იყენებს: ე. თუ დამტკიცებულია კულა უძღვა იქის ან პირდაპირი, ან ირიბი, ან უბრალო. უბრალი დამტკიცებულის შემთხვევაში კულა უძღვა იქის ერთ და იმავე შინაარსისა: კულა საკურველისა, ან - კულა თანაობისა და ა.შ. გამსაზღვრებულის შემთხვევაში კულა უძღვა იქის ატრიბუტული, ან - კულა სუბსტანტური; გარემობათა შემთხვევაში - კულა ადგილისა, ან - კულა დროისა, ან კულა ვოთარებისა და ა.შ.

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

ქალაქის ცენტრალური მოედანი შედრევანმა დაამშევნა.

არც ეს წინადადებაა შერწყმული. რადგან, მართალია. ორივე განსაზღვრება (ქალაქის, ცენტრალური) მიემართება ერთსა და იმავე საზღვრულ წევრს (ქალაქის მოედანი, ცენტრალური მოედანი). მაგრამ პირველი განსაზღვრება (ქალაქის) სუბსტანტურია. მეორე (ცენტრალური) კი - ატრიბუტული.

მაშასადამე. ეს წინადადებაც მარტივი გავრცელიოდა.

სხვა მაგალითი:

გუშინ მოულოდნელად ამოგარდნილმა ქარიშხალმა ძირს დასცა ჟუგუბული ხევი.

ამ წინადადებაში სამი გარემოებაა: გუშინ, მოულოდნელად, ძირს. ამათვან პირველი დროისაა (გუშინ), მეორე - ვითარებისა (მოულოდნელად), მესამე - ადგილისა (ძირს). პირველი და მეორე გარემოება ერთსა და იმავე წევრთან ქმნის სინგაგმას (გუშინ ამოგარდნილმა, მოულოდნელად ამოგარდნილმა). მაგრამ, რადგან ერთი დროისაა, მეორე კი - ვითარებისა, ისინი ერთგვარი არ არიან და წინადადებაც. ცხადია, მარტივი გავრცელიოდა და არა შერწყმული.

ახლა ისეთი წინადაღუბიც გასციხილოთ:

ერთ ჩემს კარგ ნაცნობს გუშინ ტყუპები შესძენია.

ამ წინადაღუბაში საში განსაზღვრება გვაქვს: ერთ. სიემს. კარგ. სამივე განსაზღვრება ატრიბუტულია. სამივე მიემართება ერთსა და იმავე წევრს: ერთ ნაცნობს. ჩემს ნაცნობს. კარგ ნაცნობს. მიუსედავად ამისა, წინადაღუბა მაინც არაა შერწყმული. რადგან ეს ატრიბუტული განსაზღვრებები ამ ერთსა და იმავე საზღვრულ წევრს სიედასხვა ნიშნოთ ახასიათებენ. ამიტომაც. რაჯ ეს წევრები ერთხარები კი არიან, ერთ წევრსაც მიემართებიან. მაგრამ მაინც არ არიან ერთგვარი და წინადაღუბაც მარტივი გაფრციალია და არ შერწყმული.

შენიშვნა: იმის გასარკვევად, ერთმართი წევრები ერთგვარი არიან თუ არა, ანუ მოცემული წინადაღუბა არის თუ არა შერწყმული. შეიძლებოდა მარტივი ხერხიც გამოგვეუწინა: თუ წევრები ერთგვარია, მათ შორის ადვილად იუარაუდება და კავშირი (უკავშირო შეერთებისას ისინი მძიმით არიან ერთმანეთისაგან გამოჯინული). გაანალიზებულ წინადაღუბაში კი (ერთ ჩემს კარგ ნაცნობს ტყუპები შესძენია) ერთ ჩემს კარგ განსაზღვრებებს შორის და კავშირს ვერ ვივარიაუდებთ (და ამიტომ არც მძიმით გამოეყიფოთ მათ ერთმანეთისაგან).

ამრიგად, შერწყმულია წინადაღუბა, თუ მასში მოიპოვება ერთგვარი წევრები; ერთგვარი კი ის წევრებია. რომლებიც ერთი და იგივეა. ერთი და იმავე სახისა (ერთი და იმავე შინაარსისა). რომლებიც მიემართებიან ერთსა და იმავე წევრს, ახასიათებენ მას ერთი ნიშის მიხედვით. ერთგვარი წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან თანწყობის საშუალებით” (ლ. კვაჭაძე).

შენიშვნა: საერთო წევრი ზოგჯერ შეიძლება გამოიტვებული იყოს. მაგრამ ის ყოველთვის იგულისხმება და ადვილად აღსაღენია, რაშიც ან ზმინის ფორმა გვეხმარება, ან კონტექსტი. მაგალითად: უხნავ, ვთესავ, ვეპროჭი მიწასა (რ. ერისთ.). ამ შერწყმულ წინადაღუბაში საში ერთგვარი შემასმენელია. რომლებიც ერთსა და იმავე ქვემდებარეს - მე - უკავშირდება. მე მათი საერთო წევრია.

ერთგვარ წევრთა შეართვის საშუალებანი

ერთგვარ წევრთა შეერთება შეიძლება მიხდეს უკავშიროდ
ან კავშირთა მეშევრიბით. შესაძლოა გვქინდეს ორივე ერთად:
კავშირითი და უკავშირი.

უკავშირო შეერთებისას ერთგვარ წევრებს შეირის მეტყველებაში
ოდნავი შესვენებაა (პაუსა), რაც წერის დროს მძიმით აღინიშნება
(ა. შანიძე).

უკავშირო შერწყმული წინადადებებია:

დაროშა ფრთასაუით გაიშალა, აგუზუნდა. ატყაცუნდა (ო. ჭილ.);
ადამიანები ფეხეფუსებენ, გარბიან, გამორბიან, ჩქარობენ (ო. იო-
სელ.); მათ ღუმელს ჰეუჭოეს, სევლი ფეხეფუსაცმელები დაიხადეს.
წინდები გამოიცვალეს (რ. ინან.);

ნარბენი კაცის გულივით ფეხები ს საათიც, ქუჩაც, ფოთოლიც,
წვეთიც (ო. ჭილ.); მხედვებიან საზანდრები, ქუჩის მგოსნები....
უსინათლო მეთარეული (ლ. ასათ.).

მან უარესად გადანადგურა ჩემი სხელი, სხეული, პატარა
ოჯახი, ცხოვრება (პ. იაშვ.); მიღლიონი წელიწადი ზეგრავს აწმეოს,
ნამეოს, მყობადს (მ. ლებან.).

დავხედავ პორტრეტს. შუბლს პრინცისას, მოცარტის თოთებს
(მ. ლებან.); ახალმა თაობამ სიმღერას, ტრუობას, გართობას, გრძნობას
გონიერივი მსჯელობა დაუმორჩილა (ი. გრიშ.); ის ემალე-
ბოდა ვალტერის თვალებს. განშორების ტრიკოლის (ო. იოსელ.)...

ამ ჩემი ბრძოლით, ამ ჩხუბით, დავთ, ამ ჩემი სოფლით, ამ
ჩემი მოუბით მე მოვაძულე ქვეყანას თავი (მ. ლებან.); ფიქრობ-
და ჭიბუძე, მოქბზე, ბერლენგაზე (გ. ფანჯ.); ისტორია ბრძოლა
ბუნებასთან, სილარისებსთან, გარების სიბრულესთან, ლონგიჩდოლობასთან
(ილია)...

კედელთან დგას თეთრი, ციფრი სვეტი (ო. იოსელ.); დაუდგრო-
მელი, დაუცხრომელი, გაუძლომელი ტალღები გრგვინავს (მ. ლე-
ბან.); ჩემს ამაგს რად აფეხებინებ იმ ტიალს, ახეზარს, დაუდგარს.
მოუსევნარს მდინარეს (უაკა)...

წერების მაწვდიდნენ ფოთლებიდამ. ტოტებიდამ ფესუებიდამ თათო-თრილი სამიმით (ვაკა): მას ხშირად ნახავ კინოატელევიტში. თეატრალურ სტუდიებში. მონიარერის გაულებში (გ. რობაქ.)...

ამ სეამსე ის საათობით. თეატრი, წლობით ხმისამოულებლად იჯდა (ო. იოსელი); ხვალაც. ზეგაც. ყოველთვის მომინდება თქენისთანა მისამსახურე (ა. ყაზბ.).

ძევლებურად. ჩენებურად ჩავუაროთ ისანს (ლ. ასათ.); ხიკონელა. ხმაურით მოარდევდა ხალხი ქრომანეთს სიძლელეობის. სიყვარულის. სილამინის. სიბრძეების გამო (ო. ჭილ.);

გერ მიგცემ მცენსა მამულსა საჯოვენად. დასაზიანად (ვაკა); სანაღიროდ. საკალმახოთ. ცხენთ სახელნად მძარიულები (შ. ლებან.); და ა.შ.

გავშირიანი შეკრთხების დროს კოოგვარ წერთა შესავრთებლად გამოიყენება მხოლოდ მაურთუელი გავშირები. რომელიც, როგორც ცნობილია, ოთხი სახისა არსებობს: მაჯგუფელი. მაპირისპირებელი. მაცალევებელი და მაგივებელი.

ა) მაჯგუფელელგავშირიანი შერწყმული წინადაღება.

მაჯგუფელი კავშირებია და, თუ (და-ს მნიშვნელობისა). მაჯგუფელი კავშირის მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე ც - ც გაღმაც - გიღმც, არც - არც, აღარც - აღარც. ჟრც - ჟრც. ჰლარც - ჰლარც. ნურც - ნურც. მაგალითად:

კრის და ფართხალებს უთეორესა კუავილი ხსენის (შ. ლებან.); დიდებთან თუ პატარებთან სულ ერთ ქოშებს ატარებდა (ი. გრიშ.); ქოღუც კრის. ქოღუც ქრავს; არც მწვადი დასწავა. არც შამფურიო (ანდ.); აღარც მეტხარება. აღარც მეტრება (ანდ.); ვერ გამოგალეობა ჟრც ფრინველების ტბილმა გალობამ. ჟრც წიგმის შეხილმა (თ. რაზიკ.); ნურც მეელი მშერი, ნურც მწერის მომდევრავო (ანდ.); ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები... [სურუას] გაზებისათვის არა მარტო მტევნები, არამედ... ფოთლებიც კი დაემტერია (ხ. ლომ.).

ბ) მაპირისპირებულგავშირიანი შერწყმული წინადაღება

მაპირისპირებული კავშირებია მაგრამ, ხოლო, კი. ამ მნიშვნელობით შერწყმულ წინადაღებაში გვხვდება აგრეთვე ოლონდ, თუმცა, არა მარტი - არამედ. კი არ - არამედ. არამცუ - არამედ. მაგალითად:

სისხლები უკრს უგდებდნენს. მაგრამ ლაპირიკით არ ელაპარაკებული ძირდებს (ვაჟა): ხევში მოტებულებდა მდინარე, მაგრამ შეიტბის სათქმელს არ აბიობდა (ო. ოსელი); უცხო კაცმა გაზეობის ხაგლეჭში პაპიროსს დაუწყო მოხვევეა, ხოლო ქისა ჯიღაურს გაუწოდა (ო. ბიბილი); გამომშევიდობების ნიშნად ასწია ხელი, თამაზს კა ვეღარ ხედავდა (გ. ფანჯ.); შემოღით. ოღონდ ნუ იხმაურებთ; თუმცა ოდნავ მკეთრი, მაგრამ მაინც სასიამოვნო გამოხედეა ქექნდა: მათვების მთავარი აუთქება კა არ იყო, არამედ გულისწყრომის გამოხატვა (ო. ჭილ); ქრებები არამცუ არ გაექცნენ ქორს, მამაცურად წინ მოექცნენ წინილებს (ო. გოგებ.); ძმები არამცუ არ შედრენენ. არამედ ლომებად გადაიქცნენ (ო. გოგებ.)....

გ) მაცალკვებელებლაგშირიანი შერწყმული წინადაღება

მაცალკვებელ კავშირთაგან შერწყმულ წინადაღებაში გვხვდება სან - სან, სან - სანაც, სან - სან კოდევ, ან - , ან, ან - ანდა, ან - ან კოდევ, გინდ - გინდ; თუნდ - თუნდ... მაგალითები:

სან ფანდურს შევაუღარუნებ, სან დავამღერებ თარზედა, სან ვტირი. სანაც ვლოცულობ, სან ბრაზს... ვანთხევ შხამზედა (ვაჟა); ქარი სან სტენდა, სან ტიროდა გულამოსქვილი (გ. ტაბ.); ის ან უფრო მოხერხებულ ადგილას ჩასაფრდა, ან ქვევით თავისიანებთან დაბრუნდა (ო. ოსელი); გინდ მგელს შეუჭამიხარ, გინდ მგლისფერ ტურახი (ანდ.); თუნდ წადი, თუნდ დარჩი (მ. ჯავახ.)....

შენიშვნა: შერწყმულ წინადაღებაში მაგიკვებელ კავშირებსაც (ანუ, ე.ი.) ვარაუდობენ, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, „მაიოგუბელ კავშირებთან შერწყმა ფორმალურია: ერთნაირი წევრი ორი ან მეტია, მაგრამ აზრობრივ ისინი ერთსა და იმავეს აღნიშნავნ“ (ა. შანიძე): კომში, ანუ ბია, შემოღომაზე მწიფება; ქევრი, ანუ ჭური, ღვინის შესანახი მიწაში ჩადგმული ჭურჭელია; დედ-მამა, ე.ი. მშობლები, შეილებზე ზრუნავენ და ა.შ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ერთგვარი წევრები უფრო სრულად, ამიმწურავად გადმოსცემენ გადმოსაცემის შინაარსს, აძლიერებენ წინადაღების სემანტიკურ მხარეს, მის ექსპრესულობასა და ემოციურობას“ (ლ. კაჭაძე). შეიძლება ითქვას. რომ ერთგვარ წევრთა შეერთებისას ამ

ფუნქციას შავგარებულების შასირისპირებელი და შავალეტების ლია კავშირები ასრულებენ.

შესაძლოა ერთგვარ წევრთა შეერთება ერთსა და იმავე დროს შეაგშიროც იყოს და კავშირიანიც. ეს მაშინაა შესაძლებელი. თუ ერთგვარი წევრი ორზე მეტია. ამ შემთხვევაში ერთგვარი წევრები თავიდან. ჩვეულებრივ, უკავშიროდ ერთდება. უკანასკნელის წინ კი კავშირი გამოიყენება. მაგალითად:

აფილქნ. კარი შეაჯეს. შეკრინენ და შეფლენ ერთსახად (პ. იაშვ.); ბევრი დავგარე, ბევრს გვარებე, მაგრამ ბნელ უფსკრულებში ცქირას ჟერზევი (ო. ჭილ.); შეიბურება ფოთლით არყა. ვერზე და თულები (ვაჟა); საღამის ყველანი ერთად თაოგულებით. ანთებული სანთლებით. ჩირალდნებით და ზურნით ბალიდან ბრუნდებოდნენ (ი. გრიშ.).

ვარცხალი ნინაღავას პირაპი

იმის მიხედვით, თუ რომელი ერთგვარი წევრებია წარმოდგენილი წინადადებაში. შეირწყმული წინადადება სხვადასხვა სახისა გვაჟვს: ერთგვარქემდებარებიანი, ერთგვარშემასმენლებიანი, ერთგვარპირდაპირდამაცებებიანი, ერთგვარ ირჩედამსტებებიანი, ერთგვარუსულობამაცებებიანი, ერთგვარგანსაზღვრებებიანი, ერთგვარგარემოებებიანი (ადგილისა, დროისა, კოთარებისა. მიზეზისა, მიზნისა);

შეირწყმული წინადადება შეიძლება იყოს ნარევი (შეურეული) სახისაც, თუ მასში მოიპოვება რამდენიმე წევრა ერთგვარი წევრებისა (აიღებდნენ აშელები რომელიმე სასულიერო ამბავს, ჯერ გაღემასვადნენ). შემდეგ შეურჩევდნენ სსვადასხვა სმებს და კილოებს: ი. გრიშ.).

გავეცნოთ ამ სახეებს უფრო დაწვრილებით.

ერთგვარებავარებას ვარცხალი ნინაღავა

როგორც ცნობილია, ქვემდებარეს ქართულში სამი ბრუნვა აქვს: სახელობითი, მოთხოვაბითი და მიცემითი. რასაც შემასმენელი განაპირობებს. შეირწყმულ წინადადებაშიც ერთგვარი ქვემდებარები.

რომელია; სიხტაგმას, შექმანის ქსელთან ქმნიან, ცხადია, ურო-ეროვნული ან ბრუნვათიგამით შექმნია მას. მაგალითუბი:

ა) ეროვნული ქვემდებარეებს სახელობითი ბრუნვა აქვთ:

შე და ბალახი მახველები თავისუს მაგალითი (მ. ლებან.); იდეალუბი, მუსიკა, ლიტერატურა, მთლიანი ლამაზი სამყარო მაგათ მიღმა რჩება (გ. ფარა.); სკელო ნისლით აიგვო ხელი და მწერლალები (ო. იოსელ.). თანამედროვე ქალაქები ხალხური პოეზიის პირველი მერცხლები იყვნენ დურგლები, ზენონები, თერტები, მეტემსინი, მზარეულები. ხელზე მოსამსახურენი (ი. გრიშ.); ღრმა ფიქრებს ემატება ხან რისხეა და ხან აღნერით (კ. იაშვ.).

ბ) ეროვნული ქვემდებარეებს მოთხოვნითი ბრუნვა აქვთ:

სტუმრებმა და მასპინძლებმა გაოცემოთ დამიწყეს უურება (აკაკი); ცოლმაცა და ქართველი გააორეცეს მოხუცებული მამის პატივისცება (დ. კლდ.); ქალის გულგრილობაში და სიმშევლები გააცოლა (ო. ჭილ.); მოირდინეს დათომ, გოგიაშ და თურგიზმა (ლ. ქაჩა.); უცებ კაური კოფილმა. ჯნესამ და ჭითინმა შეძრეს (მ. ჯავახ.).

გ) ეროვნული ქვემდებარეებს მიცემითი ბრუნვა აქვთ:

დამსკრულებს და მოსულებს უცებ გაეცნოთ ერთმანეთი (ა. ბეჭ.); არც არჩედს და არც დასახლის ჩემი მოძრაობა არ შეუმჩნევიათ (მ. არაგვ.); ღმიროს და ქაცის ამაზე ერთად უზრუნიათ; სიგიურდე არასოდეს მიუკვანია კარგ სტრიქონს. ტილოსა თუ ქანდაკებას; ამ უტელურების მეგზურობა სწორედ მისი შეიღლიშვილებისათვის დაუგალებინა ბედისა და განგებას (ო. ჭილ.); ბააკას და ეთერს ნათელა შეაში ჩაესვათ (რ. გვეტ.).

ეროვნული ქვემდებარეებს შეიძლება თავ-თავისი მსაზღვრელები ახლდეს: ციგმა წყალმა და დილის სიგრილემ გონება დაუბრუნა მომაკედავს (ო. იოსელ.); საგმირო ზღაპრებმა. სავაუკაცო შეირებმა... გამიტაცეს თანდათან (აკაკი); ვერც დედის ხელმა. კურც სატრუოს ეშმა კერ გამიურნა ჭაბუქს იარა (ლ. ასათ.);

ისიც შეიძლება, რომ ეროვნული ქვემდებარეებს ერთი საერთო მსაზღვრელი ქვინდეს: სხვებიც ასევე დაკოდა შენმა შშილდმა და ისარმა (ა. კალანდ.); ბერიების მერე ჩამოიარეს ონიშეესებზე შემდგარ მა მედაუდაფებმა და მესალამურებმა (თ. ბიბილ.);

ერთგვარი ქვემდებარეების საერთო მსაზღვრელი შეკრძლება ერთს მეტყველის იყოს; საგანგებოდ გა პრიალებული ამ დღენი მუზარადი, ბალთა, საბარეჟლი, ფარი და მახვილი მოელ მზეს თავისკენ იზიდავდა (ო. ქელ.).

ერთგვარი ევენდებარეების ერთიანობა შემასხვევაზე

„ერთგვარ ქვემდებარეებთან შემასმენლის რიცხვში შეწყობისათვის მნიშვნელობა აქვს ამ წევრთა გადმომცემ სიტყვათა ლექსიკურ შინაარსს, მათს წყობას, კაუშირებს...“ (ლ. კაჭაძე).

1. თუ ერთგვარი ქვემდებარეები სულიერი საგნის სახელებითაა გადმოუმტკული, შემასმენელი. ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვში დგას: აქ არიან ქალი და ქაცი, უცნობი და ნაცნობი. ნათესავი და უცხო, მოხუცი და ჭაბუცი. დარიბი და მდიდარი, სოფლელი და მოქალაქე. ...გლეხი და მუშავი (ილია); ბეკრ ეწვალნენ ამრიგად ცოლიც და ქართველი (დ. ქლდ.);

როდესაც შემასმენლად რიცხვში მონაცელე ზმია, იგი მონაცელე მრავლობითის ფორმით შეეწყობა ერთგვარ ქვემდებარეებს: ურეში ის ხდნენ ქუჩინა დარწყვანი და მისი მოახლე ლამაზისტელი (ილია);

2. როდესაც ერთგვარი ქვემდებარეები სულიერი საგნის სახელებია, შემასმენელი შეიძლება შეგვხვდეს მხოლობითი რიცხვის ფორმითაც. მაგრამ ეს, ჩვეულებრივ, მაშინ მოხდება, როდესაც შემასმენელი წინ უსწრებს ერთგვარ ქვემდებარეებს: სიკედილის წინ რუსთაველის შაირების ძანილით მიწას გულში ჩაიგრავდა ქართლელი თუ გახელი (ლ. ასათ.); ასე ტყბილად ატარებდა დროს კაი ხნის განმავლობაში პატარა გამზელი და მისი ჭიჭირა შეიძლობილი (ი. გოგებ.);

3. სულიერი საგნის სახელებით გადმოუმტკულ ქვემდებარეებს შემასმენელი მხოლობითი რიცხვის ფორმით შეეწყობა მაშინაც. როდესაც ერთგვარ ქვემდებარეებს საერთო მსაზღვრელად (განსაზღვრებად) აქვთ ისეთი სიტყვა. რამლის ლექსიკური მნიშვნელობა ერთზე მეტს აღნიშნავს (მრავალი, ურიცხვი, რამდენიმე, ყველა). ან - რიცხვითი

სახელმწიფი თარიღდან სუკუთ. ასევე შექმნისკეცვების ერთგუარი ქვემდებარებებსაც მხოლოდითი რიცხვების ფორმა აქვთ): რამდენიმე გოგო და ბიჭი იქვე იდგა; უამრავი ქალი და ბავშვი შემოესვია ახლად მოსულ უცნობს;

4. თუ ერთგვარი ქვემდებარები უსულო საგნების სახელებითაა გადმოცემული. შემასმენელი მათ მხოლოდითი რიცხვების ფორმით შეეწყობა: ამ ეზოგარებომ, ამ ქრამ და სახლმა. ჩემმა მიწამ და ჩემმა წილმა ცამ უნდა შვას ჩემი პატრონი (ო. ოისელი); შეხიზნებოდა მოებს ქურდებივით გამოჟამული და მუკლროება (6. სამად.);

5. თუ უსულო საგნების სახელებით გადმოცემული ერთგვარი ქვემდებარები რიცხვები მონაცელე ზმნა-შემასმენელს უკავშირდებიან, ეს უკანასკნელი მხოლოდითი რიცხვები უნდა იღებეს. მაგრამ - მონაცელე ფორმით: საწერ მავიღაზე უწესრიგოდ ეყარანტენი სელნაწერები, მუდმივი გალმისტრები, ცარიელი ფურცლები, მელნის ბოთლები, ფანჯრები და საშლელები (გ. უაზჯ.); მაგრამ, თუ ერთგვარ ქვემდებარებად ნართანიანი მრავლობითის ფორმები გააქვს, რიცხვები მონაცელე ზმნით გადმოცემული შემასმენელი მონაცელე მრავლობითის ფორმით იქნება წარმოდგენილი: ნისლში შთაცვივდნენ მთანი და ჯული (იღლა);

6. უსულო საგნების სახელებით გადმიცემულმა ერთგვარმა ქვემდებარებმა შეიძლება მრავლობითი რიცხვის ფორმით შეიწყონ შემასმენელი, თუ მათში აქტიური სუბიექტი იგულისხმება: იქ გისმობდნენ მოები და მდინარეები, ბილიკები და გზები, სოფლები და სეიობები (ო. ბიბილ.);

7. თუ ერთგვარ ქვემდებარებში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარებული შედის. შემასმენელი აუცილებლად მრავლობითი რიცხვის ფორმით შეეწყობა მათ: ის კაცი მეც და მამიქმბაც ხახლიდან დაგითხვეთ (ა. ყაზბ.); შენც და შენი ძმაც ასეთი მოუსვენები იყავით ყოველთვის...

8. როდესაც ერთგვარი ქვემდებარები მაცალკევებელი კავშირებით არიან შეერთებულნი, შემასმენელი იმ რიცხვის ფორმას ირჩევს, რომელი რიცხვის ფორმაც აქვს უახლოეს ქვემდებარეს. შევუდაროთ ერთმანეთს:

სას მე მგელი ყმუის. სას - ჩელის ლუკაბი და;

სას მგლის ლუკაბი ყმუიან, სას - მე მგელი.

რაც შეეხება მართვას ერთგვარ ქვემდებარებსა და შემასმენელს შორის: ჩეენ ვიცით, რომ ერთგვარი ქვემდებარები უკავშირდებიან ერთსა და იმავე შემასმენელს, ამიტომ აյ ისეთივე ურთიერთობაა. როგორიც ქვემდებარებსა და შემასმენელს პენიდათ მარჯვ წინადადებაში. სახელდღისას, ერთგვარ ქვემდებარებსა და შემასმენელს შერის ყოველთვის არის მართვა. ოღონძ ეს მართვა ხახ ცალმხსრება. ხანაც საურთიერთო; მაგრამ ერთგვარი ქვემდებარები (ისევე, როგორც ერთი ქვემდებარე - შემასმენელს) ყოველ თვის მართავნ შემასმენელს პირში: ქვემდებარის (სუბიექტის) ნიშანი ზმნა-შემასმენელში წარმოდგენილია. კურძობა:

ა) თუ ერთგვარ ქვემდებარებებში I პირის ნაცვალსახელით გად- მოცემული ქვემდებარე შედის, შემასმენელში I სუბიექტური პირის ნიშანი გვაქვს: მე და ჩემი მეგობრები ხშირად ვიკრიბებით ერთად.

შენიშვნა: ჩეენ ვიცით, რომ ზმნაში პირველი სუბიექტური პირის ნიშანი გ ყოველთვის წარმოდგენილია, გარდა ორი შემთხვევისა: როდესაც ან გალ/ჟად ძირის ზმნა გვაქვს: მე მივალ/მივედი, რომელშიც გ ძირის კუთვნილებაა და არა I სუბიექტური პირის ნიშანი, ან ზმნაში ერთდროულად იულისხმე- ბა S₁ და O₂ (მე/ჩეენ+შენ/თქვენ). ამ შემთხვევაში ზმნის ფორმაში მხოლოდ II ობიექტური პირია წარმოდგენილი: მე (ჩეენ) შენ (თქვენ) გთხოვ(თ) ამას. ცხადია, ასეთივე ვითარება იქნება მაშინაც, თუ ერთგვარ ქვემდებარებებში I პირის ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარეცაა: მე და ჩემი მეგობრები მივალთ მასთან; მე და ჩემი მეგობრები გთხოვთ ამას შენ (თქვენ).

ბ) თუ ერთგვარ ქვემდებარებებში II პირის ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარე შედის, ამ შემთხვევაში ზმნა- შემასმენელში II სუბიექტური პირის ნიშანია წარმოდგენილი - ს ან Ø; შენ და გიორგი ყოველთვის იქ ხართ ხოლმე; შენც და გიორგიც ასე ფიქრობთ. მაგრამ.

გ) თუ ერთგვარ ქვემდებარებად I და II პირის ნაცვალსახელებით გადმოცემული ქვემდებარები გვაქვს, ზმნა-შემასმენელში I

სუებიყებრი პირის ხიშახი იქნება წარმოდგენილი: მე და შეს აუკილებლად დავტესტობრდებით.

დ) III სუბიექტური პირის ან მისი ფარდი სახელებით გადმოცემული ერთგვარი ქვემდებარეები. შესაბამისად, III სუბიექტური პირის ფორმით ი:წებიან წარმოდგენილნი: მთა და ჟღვი ა ყვავდა. გვუხო და მოჟე შეიძნენ.

ამრიგად, ერთგვარი ქვემდებარეები ყოველთვის მართავენ შემასმენელს პირში. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით შემასმენლის შესახებ, რომელიც ხან მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში (და მაშინ, ცხადია, მართვა საურთიერო იქნება). ხან ვერ მართავს (და ამ შემთხვევაში მართვა ცალმხრივა), კერძოდ,

ა) თუ შემასმენელი გადმოცემულია გარდამავალი მოქმედებითი გვარის ან გარდაუვალი საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმით. იგი მართავს ბრუნვაში ერთგვარ ქვემდებარეებს: I სერიაში მდგარ ზმია-შემასმენელთან ერთგვარი ქვემდებარეები სახელობითი ბრუნვის ფორმით არიან წარმოდგენილნი, II სერიის ფირმებით გადმოცემული შემასმენელი ერთგვარ ქვემდებარეებს მოთხოვოთ ბრუნვაში მოთხოვს, III სერიის მწერლებით გადმოცემულ შემასმენელს კი ერთგვარი ქვემდებარეები მიცემითი ბრუნვის ფორმით უკავშირდებიან:

ქალები და ვაჟები ლექურს უგლიდნენ (თ. რაზიკ.)

ქალებმა და ვაჟებმა ლექური დაუარეს.

ქალებსა და ვაჟებს ლექური დაუგლიათ.

ამ ტუში ცხოვრობდა / - ნენ თაგვი, კურდლელი და მელა (თ. რაზიკ.)

ამ ტუში იცხოვრა / - ეს თაგვისა. კურდლელმა და მელამ.

ამ ტუში უცხოვრია / - თ თაგვს, კურდლელსა და მელას.

ამ შემთხვევაში ერთგვარ ქვემდებარეებსა და შემასმენელს შორის გართვა საურთიერთოა; მაგრამ.

ბ) თუ შემასმენელი გადმოცემულია გარდაუვალი ვნებითი ან საშუალ-ვნებითი გვარის ზმით, მასთან შეწყვიბილი ერთგვარი ქვემდებარეები ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგანან. მაგალითად:

გაიბანება წვიმითა მთა და მინდორი მცვრიანი (ვაჟა).

გაიბანა წვიმითა მთა და მინდორი მცვრიანი.

გაბანილა წერილით მთა და მინდორი პეტრეასი.
მწიფუს იზაბელა, თურინჯი, მსხალი (ქ. ლებას.).
დამწიფულა იზაბელა, თურინჯი, მსხალი.
დამწიფულ ულა იზაბელა, თურინჯი, მსხალი.
ამ შემთხვევაში ერთგვარ ქვეიდებარებსა და შემასმენელს ჰორის
მართვა ცალმხრივია.

ერთგვარებასხალების გარემონა ნიცადება

ამ ტიპის შერწყმულ წინადაღებაში ერთგვარი შემასმენლები ერთსა და იმავე ქვემდებარებს მიემართობან: მეოულუხხე ბიჭი სამეს აკეთებს. წყალში აღებული ფულით ოჯახსაც ინახავს. ავადმყოფ მშობლებს ებმარება. უყრის და-ძმას ზრდის. ამ თავისთვის შრომობს, მომავალზე ფიქრობს (ო. ჭილ.).

ამ წინადაღებაში ექვსი შემასმენელია. ექვსივეს სუბიუქტურ პირად (ანუ ქვემდებარებდ) შერწყიბა ერთი და იგივე სიტყვა: აკეთებს ის-ბიტი, ისახავს ის-ბიტი, ებმარება ის-ბიტი, ზრდის ის-ბიტი, შრომობს ის-ბიტი, ფიქრობს ის-ბიტი.

ამ წინადაღებაში კველა შემასმენელი მარტივია. ანუ ზმინური.

შეიძლება ერთგვარ წევრებად მხოლოდ შედგენილი შემასმენლები გვეკონდეს: ეს ბიჭი მეთულუხხე იყო და ზეინკალი გახდა. ე.ი. მეოულუხხე იყო ის-ბიტი; ზეინკალი გახდა ის-ბიტი.

შესაძლოა წინადაღება შერწყმული იყოს შედგენილი შემასმენლის მხოლოდ სახელადი ნაწილების მიხედვით. ამ შემთხვევაში მეშვეობად ერთი და იგივე ზმია იგულისხმება. რომელიც ერთხელ დასახელდება და აღარ განმეორდება; მაგალითად:

...შიოოლა ... იყო ამპარტავანი. კაცმიუკარებული და დაუნდობული (ა. ყაზბ.) ე.ი. შიოლა იყო ამპარტავანი. (იყო) კაცმიუკარებული და (იყო) დაუნდობელი.

შეიძლება ერთგვარ შემასმენელთაგან ზოგი მარტივი იყოს. ზოგიც - შედგენილი. მაგალითად: ს კა ბზუოდა, ხმაურობდა, გუგუნ გაჟერნდა (თ. რაზი). ამ წინადაღებაში პირველი ორი შემასმენელი მარ-

ტივია (ბზეფულია, სიაურობდა), მექამი კი - შედგენილი (გამარტი გაპქინდა=გუგუსებდა).

ერთგვარი გამასხალების ურთიერთობა კვამლებარასთან

როგორც უკვე ითქვა, ერთგვარი შემასმენლები მიემართებიან ერთსა და იმავე ქვემდებარეს. იმის მიხედვით, ეს ქვემდებარე შხელობით რიცხვში დგას თუ მრავლობითში, განისაზღვრება შემასმენელთა რიცხვი. შედრ.: ის ხან ნელა მოდიოდა, ხან მორბოდა. ...მოქმედა, იჯვამდა [უეხსაცმელებს], ისწორებდა... (რ. იბან.). და:

ისინი ჩუმად მიღოლნენ, აქეთ-იქით იხედებოდნენ... (გ. უანჯ.).

შეიძლება წინადადებაში არც იყოს წარმოდგენილი ქვემდებარე, მაგრამ ადვილად იგულისხმებოდეს ზმნის აგებულებით ან კონტექსტის მიხედვით. მაგალითად: ან ციმბირში წადოთ, ან არსება მომგვარეო! (გ. ჯავახ.).

ამ წინადადებაში ქვემდებარე თქვენ არაა წარმოდგენილი, მაგრამ ზმნის ფორმა მას ნამდილად გვავარაუდებინებს: წადოთ. თქვენ! მომგვარეო თქვენ! სხვა მაგალითი:

ანა კალანდაძის ლექსში ვეითხეულობთ:

„დაამხეს ჩემი საკურთხევლები,

მზისა წილ... დამეს აღიარებენ:

ქვა სჯიბსო სპეცალს“

ზმნის ფორმები - დაამხეს, აღიარებენ - ქვემდებარედ მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმას ვარაუდობენ: დაამხეს მათ. აღიარებენ ისინი, მაგრამ, თუ ვინ ან რა იგულისხმება ამ სიტყვაში. ამაზე პასუხს გვცემს ლექსის დასაწყისი:

„სხივები შენი მოოლე ჩემქნ.

თორემ დიდებას თავისას რეკენ

მცერთა გარები“...

სწორედ ეს (მცერთა) გარებისა ჭკვმდებარე ერთგვარი შემასმენლებისა: რეკენ გარები, დაამხეს გარებმა, აღიარებენ გარები.

ამ წინადაღების სხვა შერჩევა; უსაბო მითქვითს წეტები კურაციულია: ერთგვარ შემასმენლებს - რექტებს, დაამხეს, აღიარებებს - ქვემდებარები ძარღვები უცულისხმება. მაგრამ მისი დასმა ხან სახელმისამართში ბრუნვაშია საჭირო (რექტე კარვები, აღიარებენ კარვები), ხან მოთხოვობითში (დაამხეს კარვებმა).

სხვა შაგალითიც ვნახოთ:

არაგვი იცვლის კალაპირეს, ტყისაკენ გაუწევია... კლდეებისაკენ წასულა, ახლა მუკრუნიას სწევია... (ა. კალაპირე).

ამ წინადაღებაში ოთხი ერთგვარი შემასმენელი გვაქვს: იცვლის, გაუწევია, წასულა, სწევია. მათი საზიარო ქვემდებარე არაგვი სახელმისამართში დგას (არაგვი იცვლის), თუმცა მომდევნო შემასმენელს იგი მიცემით ბრუნვაში სკირდება (არაგვს გაუწევია). მესამე და მეოთხე შემასმენელს ის კლავ სახელმისამართი ბრუნვის ფორმით უწდა შეეწყოს (არაგვი წასულა, არაგვი სწევია).

ბუნებრივია, დავსვათ კითხეა: როდესაც ერთგვარი შემასმენლები ისეთი ზმნებითაა გადმოცემული, რომელთაგან (მათი გარჩამავლობისა და სერიების გათვალისწინებით) ზოგი სახელმისამართში ბრუნვას საჭიროებს (ითხოვს) ქვემდებარისაგან. ზოგი - მოთხოვობითს, ზოგი - მიცემითს, რომელ ბრუნვაში დგება ქვემდებარე?

ამ კითხვაზე ჰასუხის გასაცემად განვიხილოთ ასეთი წინადაღება:

ოთარმა ტრაპს მიაშერა, თვითმეტრინავში შეუმჩნევლად შეფილდა. ჯერ სალონი მოათვალიერა. მერე თავის ადგილზე დაჯდა და სახეზე გაზეთი პიფარა (გ. ფანჯ.).

ამ წინადაღებაში ხუთი ერთგვარი შემასმენლის საზიარო ქვემდებარე მოთხოვობით ბრუნვაში დგას. იმის მოუხედავად, რომ ერთგვარ შემასმენელთაგან რომდენიმეს იგი სახელმისამართში ბრუნვის ფორმით სკირდება: შეფილდა ოთარი. დაჯდა ოთარი. საკმარისია ეს წინადაღება მეორე შემასმენლით დაეიწყოთ. რომ ქვემდებარე სახელმისამართში ბრუნვაში დადგება: შეფილდა ოთარი თვითმეტრინავში შეუმჩნევლად. ჯერ სალონი მოათვალიერა. მერე თავის ადგილზე დაჯდა და სახეზე გაზეთი პიფარა, მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო შემასმენლი მას მოთხოვობით ბრუნვაში ითხოვს (მოათვალიერა ოთარ-მა). მესამე

- სახელმისამიში. (დაჯული ოთარი). მექოთხევ კი - იხტევ მოთხოვისმი (აფევარი ოთარ-მა).

მაშასადამი. ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადაღებაში ქვემდებარის ბრუნვას განსაზღვრავს უახლოესი შემასმენელი.

მასაპლო თაცემისარიგისათვის ურთივარებასახალაგან გარემონდისა და დანართის

ურთივარ შემასმენლებად გვერდიგვერდ. ჩეკელებრივ, ერთი და იმავე მწერევისა და ერთი და იმავე დროის უარმები გვხედება: უსამო ეპიკი მაღლ მოძღვნდება. დალაპირდება. გამძირდება (მ. ჯავახ.); ირები მოვარდა. განქარებით დაეწავა ჩემს წინადა წერას. დალა და გაძლა (ვაკ.). ერთ დროს აქ ადამიანს უკრიფია. უკოშებდა. ცდილა თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. უშენება. უმაშებება აქვევისა (ე. ნინ.) და ა.შ.

შესაძლოა კრიმინების გვერდით სხევადასხევა მწერევის ურთისებით გაღმიაცემული ზრდა-შემასმენლები გვეკინდეს. მაგალითად: ნურუ დაიშრიტებით, იღინდ, იწანწერეთ (ვაკ.). ამ წინადაღებაში მულების მწერევის (ნურუ დაიშრიტებით) გვერდით წკვეტილის ურთისები გვაჲს (იღინდ, იწანწერეთ). მაგრამ სამოევ მწერევი მარც ურთსა და იმავე დროს - მომავალს - გაღმიაცემს. რამდენადაც არა მხოლოდ ნურუ ნაწილებიანი მულების მწერევით (ნურუ დაიშრიტებით), არამედ წკვეტილის მწერევითაც (იღინდი, იწანწერეთ!) ბრძანებით კილა, ე.ი. მომავალში შესასრულებელი მოქმედებას გაღმიაცემული.

ასეთივე კოსარება შეიძლება სხვა შემთხვევაშიც იყოს: ამ დროის შეორიახლო სარიტები გამოწერილიყო და გულმოლებელ უდიდება უკრის ურთისებითა მღრისას (ვაკ.). ამ წინადაღებაში ორი ერთგვარი შემასმენლია. სხვადასხევა მწერევის ურთისა (გამოწერილიყო) - II თურმებითი და (უკრის) უდიდება - უწყვეტილი. ისინ ერთმანეთის ეფარდებონ ერთი - წარსული - დროის უარგლებში.

ამიტომ შეიძლება ითქვას. რომ ურთივარშემასმენლებიან შერწყმულ წინადაღებათა აპსილუტურ ურთაველესობაში ერთმანეთის გვერდით გვხედება ერთი და იგივე ან სხევადასხევა. მაგრამ მორითადად ერთ დროის გაღმომცემი მწერევები.

შენ შეხმა: იშეითად (გამოსახატავი შენაარსის შესაბამისად) ერთმანეთის გვერდით სხევადასხევა დროის მნიშვნელობის მქონე მწერევისც შეიძლება შევხედეს (მაგალითად: ეს საღ ხი გათვარტა სხვადასხევა აღგიღებში და აქამითისაც ისევ ხელგაშლილები დადოან: აღ. ყაზ.).

ერთგვარ კირდაპირ ლაგატებათა შემსხვევი შერცებული ნიცაღება

ჩევნ უკვე ვიცით. რომ წინადაღებაში შესაძლოა იყოს რამდენ-
იმე პირდაპირი დამატება, მაგრამ წინადაღება არ იყოს შერწყმული
პირდაპირი დამატებათა მიხედვით. მაგალითად: სოფელმა გამოირეა
საქონელი. გაავსო ხურჯინი. გამოიტანა აჭარი. შეფუთნა ბალლები.
შეკრა ლოგინი და დაახვია ხალიჩა (თ. ბიბილი.). მართალია, ამ
წინადაღებაში უკვე პირდაპირი დამატებაა. მაგრამ ისინი ერთგვარი
არ არიან, რადგან არ მიემართებიან ურთსა და იმავე წევრს - შემას-
მენელს: ექვსივე პირდაპირი დამატებას თავ-თავისი შემასმენელი აქვს
წყვილის წევრად: საქონელი გამოირეკა. ხურჯინი გადავსო.
აჭარი გამოირეკა, ბალლები შეფუთნა. ლოგინი შეკრა.
ხალიჩა და ახვია; შემასმენლები კი (გამოირეა, გაავსო, გამოი-
ტანა, შეფუთნა, შეკრა, დაახვია) ერთ (საერთო) ქვემდებარეს
უკავშირდებიან (მან გამოირეა, გაავსო, გამოიტანა, შეკრა,
დაახვია). ამიტომ ეს წინადაღება შერწყმულია არა პირდაპირი დამატე-
ბების, არამედ - შემასმენლების მიხედვით.

ახლა ეს წინადაღება განვიხილოთ.

არ დაიგიწყვა სამშობლოშ შენი მის ბედზე ტირილი. მეღვარი
სულისკვეთება. შავბედობაზე ჩიგილი. დაუშრუტელი ნაღველი. წყრო-
მა და გულისტყოფლი (ვაჟა).

ეს წინადაღება შერწყმულია პირდაპირ დამატებათა მიხედვით:
ექვსივე მათგანი სინტაქსურ წყვილს ქმნის ერთ შემასმენელთან (არ
დაიგიწყვა სამშობლოშ ტირილი, სულისკვეთება. ჩიგილი, ნაღველი,
წყრომა და გულისტყოფლი).

ერთგვარი კირდაპირი ლაგატებების ერთიანობა შემსხვევი

პირდაპირ დამატებას, როგორც ცნობილია, ორი ბრუნვა აქვს:
მიცემითი და სახელობითი. ბრუნვას განაპირობებს ზმნა-შემასმენელი.
რომელიც ყოველთვის გარდამავალია. ეკრძოდ, თუ ზმნა-შემასმენელი
I სერიის რომელიმე მწერივითაა გადმოცემული. პირდაპირი დამატე-
ბა მიცემით ბრუნვაში დგას. მაგრამ, თუ ზმნა-შემასმენლად II ან III

სუკრისი, მწერლების ფორმისა. პირდაპირ დამატებები, თაგ სახელითმითი ბრუნვის ფარაშით შეიწყობა.

ერთგვარი პირდაპირი დამატებები შერწყმულ წინადაღებაში ერთსა და იმავე ბრუნვაში დგასან: ა) ან ყველა მიკემითშია, ან - ბ) ყველა სახელითში. მაგალითები:

ა) მე ვიგონებ ჩემს ჰქონას. ჩემს გაძარცვულ ჰალა-კორდებს (მ. ლებან.): მაღლა აღმართული მოები თავის ბეჭიბერაზ ფიქრსა და სხვას თვითონ იტოვებს (ო. ოსულ.); მომავლის სხვით აქარგებს გმირის ოხვრას და გმირგასა (ება); ამ გარდს და ამ ჟავაკოლებს მხატვარი ფიროსმანი გიძლვნით თქვენ (რ. ინან.); ამ სასიმღერო ლექსების ავტორები თავიანთ გვარს თუ ფსევდონიშს შეიგ ტექსტშივე რითმა გდენენ (ი. გრიშ.).

ბ) ხმლიანმა მცერმა ვერ წაგვართვა ჩენი მიწა-წყალი. ჩენი ჰქონა... (ილია); გადაიტანა ბევრი ანისი, ბევრი დაბნისი, ბევრი ქრწანისი, ბევრი ჰულები და პარაკლისი (ო. ჭილ.); დრო-ჟამშა ვერ გადაგვიწყათ დედა და დედის საფლავი, სახლი და ესო, ვერა და ქრის (ო. ოსულ.); ცხოვრების ქარიშხალს ჯერ კადევ არ გაუქრია მისი სულის სიცხოვლე და სიძლიერე (ილია); ამჟევრად ბევრმა მდინარემ იცის თავისი ფასი, სიგრძე და განი (ო. ჭილ.).

მაშასადამე, გარდამავალი ზმინით გადმოცემული შემასმენელი მართავს ბრუნვაში ერთგვარ პირდაპირ დამატებებს.

თუ ერთგვარ პირდაპირ დამატებებად ისეთი სიტყვებია, რომლებსაც ერთად ჩვენ პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობა აქვთ (ამისათვის კი ერთ-ერთი პირდაპირი დამატება აუკილებლად უნდა იყოს პირველი პირის ნაცვალსახელი მე ან ჩვენ). შემასმენელი მართულია მათგან პირში და შეთანხმებულია მათთან რიცხვში:

$$\text{ამ ადამიანმა გაგვაოცა} \left\{ \begin{array}{l} \text{მე და ის/ისინი} \\ \text{მე და შენ/თქვენ} \\ \text{ჩვენ და ის/ისინი} \\ \text{ჩვენ და შენ/თქვენ} \end{array} \right\} = \text{ჩვენ}$$

ასევე მართული იქნება „შემთხვევული პირში და შემთხვევული რიცხვში. თუ ერთგანი პირდაპირ დამატებულია ისეთი სიცავებით, რომელებიც ერთად თქვენ ნაცვალსახელის მნიშვნელობას გადამოსცემენ. ამ შემთხვევაში ერთგვარ პირდაპირ დამატებულში არ უნდა შედიოდეს პირუელი პირის ნაცვალსახელი და სულიერი საგნის სახელით გადმოკეთებული ქვემდებარებული მხრივამით რიცხვში უნდა იღვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთგვარი პირდაპირი დამატებული. ერთად თქვენ ნაცვალსახელის მნიშვნელობისა. ზრდაში აისახება გ- პირის ნიშნით. მაგრამ მრავლობითობა სულიერი საგნის სახელით გადმოკეთებული ქვემდებარისა იქნება და არა ერთგვარი პირდაპირი დამატებულისა:

$$\text{ამ ადამიანმა გა-გ-ა-ოცა-თ} \quad \left\{ \begin{array}{l} \text{შენ და ის/ისნი} \\ \text{თქვენ და ის/ისნი} \end{array} \right\} = \text{თქვენ}$$

შდრ.:.

$$\text{ამ ადამიანებმა გა-გ-ა-ოც-ეს} \quad \left\{ \begin{array}{l} \text{შენ და ის/ისნი} \\ \text{თქვენ და ის/ისნი} \end{array} \right\} = \text{თქვენ}$$

თუ ერთგვარ პირდაპირ დამატებულში არ შედის არც პირუელი და არც მეორე პირის ნაცვალსახელი, ზრდა-შემთხვევულში არ აისახება ერთგვარ პირდაპირ დამატებათა არც პირი (O^3) და არც რიცხვი:

$$\text{ამ ადამიანმა გააოცა} \quad \left\{ \begin{array}{l} \text{ის და მისი მეგობარი/მეგობრები.} \\ \text{ისნი და მათი მეგობარი/მეგობრები} \end{array} \right.$$

ერთგვარი ირიბი დამატებები შეიძლება დაუკავშირდეს

ა) არაპირიანი გარდაუვალი ან ბ) სამპირიანი გარდამავალი ზმნით გადმიცემულ შემასმენელს. ერთგვარი ირიბ დამატებების შხოლოდ ერთი ბრუნვა აქვთ - მიცემით. მაგალითები:

ა) ღირებანს ვებრძოდი სიმდაბლეს. მტრობას (ილია); ყმანილი ესა გუბრება ხოლმე ჭავას. ხეს. ყვავილს. ბალახს (აკაი); ეს ბუვია გამოქვაბულში მოქცეულ მტრებს და მოუგარეს ერთნაირად ერგო (ო. იოსელ.); და გუბრუნდები ჩემი ქვეწის შზესა და პარენს (მ. ლებან.); წყურეილს. შიშას და შურისძიებას სიმძლეც დამზარდა (ო. იოსელ.); მე ვეტრფი ძლიერ ტფილისის ჰავას. ნიკო ფიროსმანს და საიათოვას (ლ. ასათ.).

ბ) მათ ჩვენში ერთსაც და მეორესაც გზა გაუკაფა (ილია); მათ შეაჩიეს ყური ამისთანა ქარაუშეტობას და ცუდლუტობას (ილია); სასწავლებელში ყოფნამ ჩემს გულს და გონებას ვერაუერი შეპმარტა (ვაჟა); მე თვალს გაშორებ თახჩაში დაგროვილ ჭალალდებს და ეტრატებს. სქლად აკინძულ ძეელისძეველ წოგნებს (თ. ბიბილ.); მხოლოდ ეს უთხრა გულგარატრიალებულ ცოლსა და ქალიშვილებს (ო. ჭილ.); სამი წლის შემდეგ თვითეული შენი მტკაველი ყანებს და ბალებს. მდიდარ ბოსტნებს და უთხონ ქვებმა (ჯ. საშუ.); მე ყურს ვუგდებდი სასოების ოხვრას და ფუფნის (მ. ლებან.)....

ერთგვარი ირიბი დამატავაზის ერთიართობა გამასხველთან

შემთასმენელი, მიუხედავად იმისა, გარდაუვალი ზმნით არის გადმიცემული თუ გარდამავალით, ყოველთვის მართავს ერთგვარი ირიბ დამატებებს მიცემით ბრუნვაში. განსხვავებას ქმნის შსოლოდ ის, რომ კარდაუვალ ირიბირიან ზმნასთან ერთგვარი ირიბი დამატებები სამიცე სკრის ფირმებთან გვაქვს. ხოლო გარდამავალი სამპირიანი ზმნით გაზმოცემულ შემასმენელს ერთგვარი ირიბი დამატებები შეიძლება

ქეთინდეს მხოლოდი 1 და II სერიაში (რაღგანაც, როგორც ქართველია, III სერიაში ირიბი დასტატუება აღარ გვაქვს: ოგი სათესაობით ბრუნვის გადადის. -თუმცა თანდებულს ირთავს და უძრალო დამატება ხდება).

თუ ერთგვარი ირიბი დამატებები ისეთი სიტყვებია. რომლებიც ერთად ჩვენ პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობას გადმოსცემენ (ამისათვის ერთგვარ ირიბ დამატებებში პირული პირის ნაცვალსახელი უნდა შედიოდეს). შემასმენელი მართველი პირში და შეთანხმებული მრავლობით რიცხვში (შემასწერელში გვ მაჩვენებელია I ირიბი თბიერური პირის მრავლობითობისა):

$$\text{ის მო-გვ-ჩერებოდა} \left\{ \begin{array}{l} \text{მე და მას/მათ} \\ \text{მე და შენ/თქვენ} \\ \text{ჩვენ და მას/მათ} \\ \text{ჩვენ და შენ/თქვენ} \end{array} \right\} = \text{ჩვენ}$$

ასევე იმართვის ზძნა-შემასმენელი ერთგვარი ირიბი დამატებების მიერ პირში და უთანხმდება მათ რიცხვში მაშინაც, როდესაც ერთგვარ ირიბ დამატებებს ერთად თქვენ ნაცვალსახელის მნიშვნელობა აქვთ. ამისთვის ერთგვარ ირიბ დამატებებში არ უნდა შედიოდეს პირული პირის ნაცვალსახელი და ქვემდებარე მხოლობით რიცხვში უნდა იყოს:

$$\text{ის მო-გ-ჩერებოდა-თ} \left\{ \begin{array}{l} \text{შენ და მას/მათ} \\ \text{თქვენ და მას/მათ} \end{array} \right\} = \text{თქვენ}$$

თუ ერთგვარირიბდამატებებიან შერწყმულ წინადადებაში ქვემდებარებარე მრავლობითი რიცხვის ფორმაა. პირში მართვა ირიბი დამატებების მიერ რჩება. მაგრამ მათი მრავლობითობა შემასმენელში აღარაა წარმოდგენილი:

$$\text{ისინი მო-გ-ჩერებარელ-სუს} \left\{ \begin{array}{l} \text{შენ და მას/მათ} \\ \text{თქვენ და :მას/მათ} \end{array} \right\} = \text{თქვენს}$$

თუ ერთგვარ ირიბ დამატე-

ბებს ერთად მათ ნაცვალსახელის მნიშვნელობა აქვთ (ანუ ერთგვარ ირიბ დამატებებში არ შედის არც პირეელი და არც მეორე პირის ნაცვალსახელი). ზმნა-შემასმენელი იმართვის მათგან პირში (ზმნაში წარმოდგენილია III ირიბობიერებური პირის ნიშანი ჲ, ს, ღ), ხოლო მრავლობითობა ერთგვარი ირიბი დამატებებისა ხან ასახულია, ხან - არა:

$$\text{ის მი-ს-ჩერებოდა} \left\{ \begin{array}{l} \text{მას და მის მეგობარს/მეგობრებს} \\ \text{მათ და მათს მეგობარს/მეგობრებს} \end{array} \right\} = \text{მათ}$$

ამ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელში წარმოდგენილია ირიბი ობიექტური პირის ნიშანი (ს). მაგრამ ერთგვარ წევრთა მრავლობითობა არაა ასახული.

ამავე რიგისაა სხვა მაგალითებიც:

ის აკვირდებოდა თუკის ნაცნობებს, მეზობლებს, თანამშრომზლებს (=მათ);

მან უსულგულოდ შემოჰკრა ცული ნაძეს, ფიჭვს, მუხას. რცხილას... (=მათ);

კუთილშობილება გერ ურიგდება თვალობაქცობას, დალატს, ჟეფურებას (=მათ)...

გარკვეულ შემთხვევებში ერთგვარ ირიბ დამატებათა მრავლობითობა ზმნა-შემასმენელში წარმოდგენილია:

გიას და ქეთის (=მათ) უყვარდეთ ერთმანეთი; დედას და მამას (=მათ) მოსწონდათ მოგზაურობა; ბებიასაც და პაპასაც (=მათ) კარგად ასესოვდეთ თავიანთი ბავშვობა; უმწეო დედას და შეილს (=მათ) დახმარება ეგუთვნოდათ; დასა და ძმას (=მათ) სიყვლეშიც პერნდათ სახლი; შეჯუბასაც და ფრინველებსაც (=მათ) შეირთ გალიებში ცხოვრება; სახას და მის მეგობარს (=მათ) საუროო ნაცნობი პერაც და ა.შ.

ალბათ მიაქციეთ კურადღება. რომ კუსკვარი ირიბ დაძალჯებობას მრავლაბით რიცხვში მჟავასმეტელი. შემასტესლები ძირითადად ეწ. თავისოთავადი იზვერსოელი ზმნებია. (უყვარს. მოსწონს. ახსოვს. აქვს. უკირს. პეავს...). რომელთა გრამატიკულ ირიბ ობიექტებს (ირიბ დამატებებს) რეალურად სუბიექტის მნიშვნელობა აქვთ და ქვემდებარებ მოიაზრებია (ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ა. კიზირია. დ. მელიქიშვილი...). ამდენად რიცხვში შეთანხმება საუსებით ლოგიკურია და ადვილად ასახსნელი. ამ შემასმენელთა გრამატიკულ სუბიექტს (გრამატიკულ ქვემდებარეს) რიცხვში შეთანხმების ძალა არა აქვს: გიას და ქეთის უყვარდათ ლეგი/ლეპცები; დედას და მამას მოსწონდათ მეზობელი/მეზობლები, ბებიას და პაპას ეკუთვნით შეღავათი/შეღავათები; საბას და მის მეგობარს პეავთ საერთო ნაცონბი/ნაცონბები... როგორც ვხედავთ, შემასმენელი აღნიშნავს გრამატიკულ ირიბ დამატებათა მრავლობითობას, გრამატიკული სუბიექტის - ქვემდებარის - მრავლობითობა კი აღწიშნავთ რჩება.

ერთგვარ ეპილო დაგამახატა შეასველი გარემოები ნინაღვა

რამდენიმე უბრალო დამატებს შემცველი წინადადება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შერწყმული, თუ ისინი ერთგვარი არიან. ანუ:

1) თუ ამ უბრალო დამატებს ერთგვარი შინაარსი აქვთ (უკვლა საკურვლისაა, ან - ყველა თანაობისა, ან - ახალი ვითარების გად-მომცმი...) და

2) თუ ეს უბრალო დამატები მიემართებიან ერთსა და იმავე წევრს, ეს წევრი კი, როგორც ცნობილია, ან შემასმენელია, ან - სახელზმინთ გადმოცემული რომელიმე სხვა წევრი.

ჯერ ასეთი მაგალითი განვიხილოთ:

შერით შეპერობილი ბებერი სიკეთის მოსპობას ცდილობდა.

ამ წინადადებაში ორი უბრალო დამატებაა: შერით და სიკეთის; მაგრამ პირველი (შერით) საკურვლისაა. მეორე - რეალობის მიხედვით სამოქმედო საგანი: ცდილობდა მოესპო ის-სიკეთე. გარდა ამისა,

პრეცესი შეუქმნართისა მოსკოვის მინისტრით გადმილებულ განხსაზღვრულია; (შეურით შეკვერთბილი). შეურით - საწყისით გადმილებული ირიბ დაძარულიას (სიკეთის მოსპობას). ამინისტრი ეს წინადაღება მარტივი გავრცელებით და არა უბრალო დამატებებით შერწყმული.

ახლა ეს მაგალითები გავაანალიზოთ:

ისტორია ბრძოლა ბუნებასთან. სიღარიბესთან. გონიერის სიბრუნვესთან. ღონისძიებისთან (იღლია). ამ წინადაღებაში ოთხი კრონვარი უბრალო დამატება გვაქვს. ოთხივე რეალურად სამიუმებო საგანს გამოხატავს (ისტორია ებრძეის ბუნებას. სიღარიბეს, სიბრუნვეს, ღონისძიებისთან), ოთხივე მიემართება ერთსა და იმავე წევრს - შედეგობრივ შემასმენებლს (პრატოლა), ამიტომ წინადაღება შერწყმულია უბრალო დამატებების მიხედვით.

ის შემკული დიდის კაჯლის ხელით და დოდოროვანი წყაროებით (ეს გაბ.). ამ წინადაღებაში ორი ერთგვარი უბრალო დამატებაა, რადგან ორივე თანაობის გამოხატველია და მიემართება ერთ წევრს - შემასმენებლს: შემკული ხელით და წყაროებით. ე.ი. წინადაღება შერწყმულა უბრალო დამატებათა მიხედვით.

წევრ ვიცით, რომ უბრალო დამატება შეიძლება იდგეს ოთხ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. მიცემით უმეტესად თანდებულიანია, ვითარებითი - საერთოდ უთანდებული. ნათესაობითსა და მოქმედებითში მდგარი უბრალო დამატებები კი თანდებულიანიც შეიძლება იყოს და უთანდებულიც.

ერთგვარი უბრალო დამატებები შერწყმულ წინადაღებაში ერთსა და იმავე პრუნვაში დგანან (მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითში ან ვითარებითში).

წარმოგიდგინთ კრონვარუმრალოდამატებებიან შერწყმულ წინადაღებებს: ::

ა) ერთგვარი უბრალო დამატებები მიუქმით პრუნვაში:

შეკრონებ მაუჯელის ბარჩესა და ასკილის ბუჩქეს ამოფარებული ქალები; ის ჭერსა და განახნახებულ ჭალს მიჩერებული ჯდა; ტბილი პაპი ფეხს მოირთხამს ხოლმე თავის წერილშეკლობა. შეკლებთან და ბადიშებთან (თ. ბიბილ.); ის ავსულებთან და დეფებთან. მომზღვეობათ თუ შეირეულ მცენრათ მებრძოლი იყო (თ. ბიბილ.);

ბარების მიხედვით სუკრებული ემჩნეოდა ... სათა მეტყველებაზეც და მიხედუ-
მოხვრაზეც (ა. ყაზბ.); შექმნა მეცნიერების უარს ამბობდეთ და ი
პირველ სუკრებულზე. ბედნიერებაზე. მომავალზე. სიცოცხლეზე. არსე-
ბობაზე (ი. იოსელ.). მან ილა პარაკე კომპოზიტორზე. მის შემოწმებულებაზე. მის ადგილზე და სიმაღლეზე მსოფლიო მუსიკალური
კულტურის საგანძუროში (გ. ფანჯ.); ჩემმა დედაკაცმა ძონებში. წერებში გა ა გე ული სხივ შემირიყვანა (ვაჟა); ფრინველები დიდ
ქედას იჩენენ ... საჭიროის შეფარაში. ბედის გაკვებაში. მცრის მოშორებაში და იმის მოტყუებაში. შეილების დაზრდაში და იმათ
დაფრენაში (ი. გოგებ.

უკანასკნელ წინადაღებაში, გარდა მიცემით ბრუნვაში მდგარი შე
თანდებულიანი ერთგვარი უბრალო დამატებებისა (...კუჟას იჩენენ
შოგნაში. გაფრენებაში. მოწონებაში. მოტყუებაში. დაზრდაში. დაფრენაში). რამდენიმე სხვა უბრალო დამტკიცებულებაც გვაქვს (საკმლის, ბედის, მცრის,
იმის, შეილების, იმათ), მაგრამ ჩეცენ უკვე ვიციო, რომ, რადგან
თითოეულ მათგანს აქვს არა საერთო, არამედ თავ-თავისი სინტაგ-
მის წერი (საკმლის შოგნაში, ბედის გაკეთებაში, მცრის
მო შორებაში, იმის მოტყუებაში). შეილების დაზრდაში,
იმათ დაურენაში), მათ ერთგვარ წერებად ვერ ჩავთვლით. ასე
რომ, აღნიშვნული წინადაღება შეწყვიტებულია მხოლოდ შე თანდებულიანი
მიცემითი ბრუნვით გადმოცემული უბრალო დამატებების მიხედვით.

ბ) ერთგვარი უბრალო დამატებები ნათესაობთ ბრუნვაში:

ისევ თავისი სიყორჩადისა და გაუკაცობის და სამტკიცებულების და
იქნევდა ეკარანს (ი. კილ.); გახშირდა სროლა დამბაზებისა და
რეკოლეტურებისა (დ. კლდ.); ჯურ კულე კლილომდა... გამსაკუთრებულობისა
და დამოუკიდებლობის დაცვას (ო. კილ.); . . .

დღიური საკები უნდა ეშოგა თავისთვის და თავისი საწყალი
შეილისათვის (ა. ყაზბ.); ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს
ჭირისუფლისათვის, მეზობლისათვის, ნათესავისათვის, მტრისა და
მოუკრისათვის, (გ. ფანჯ.); უკრ უნდა მეგდო იმისათვის, იმის
საჭიროებისათვის, მწუხარებისათვის და წალილისათვის (ა. ყაზბ.);

მუმლისა და კოლებისაგან მოსევენბა არა მაქვს (ვაჟა);
ამ ქვეყნის ძელბედობისაგან და გაუტანლობისაგან თავი უნდა

და ეცვა (თ. თოსული); განი ადამიანი ბეკრით განსხვავდება ჩიტისაგან ას სხვა ცხოველისაგან? (თ. ჭილი);

ეს ღალატი იყო არა მეგობრის, ნაცნობის, ქოლუების ან ნათესავის მიმართ. არამედ, საერთოდ, მამაკაცისა და მამაკაცობის მიმართ (გ. ფანჯ.);

ეს კანცურტები ჩეველებრივად იმართებოდა მელუქნების. ხელოსნების და სხვა მუშავთა მიერ (ი. გრიშ.);

გ) ერთგვარი უბრალო დამატებები მოქმედებით ბრუნვაში:

სოფელში ჩასულისას ავიგსე ღხენითა და სიამით (იღლა); იმის დაღლილი თვალები საგვენი იყვნენ სიმტკიცითა და ღრითა (იღლა); არ გამოირჩევა არც ჩაცმულობით, არც საფუძვლით (ო. ჭილ.); ეს შეაღამეც გვიხმობდა თავის გარინდებით, გულწათხოვილი მოლოდინით (თ. ბიბილ.);

ის ამ ქოხში ცხოვრობდა მოხუცი ღეღლითა და პატარა გავითურთ; სად უნდა წასული იყო ავაღმყოფი ძმითა და ბაგშევითურთ? შარშან ჩამოვიდა აქ თავისი საქონლითა და ჯადაბითურთ...

ახლა წარმოგიდგენთ მურმან ლებანიძის ლექსის სტრიქონებს - ერთ შერწყმულ წინადაღებას, რომელშიც მოქმედებით ბრუნვაში მდგარ (სხვადასხვა კავშირით შეერთებულ) უბრალო დამატებებს შეხვდებით:

ლექსი შენდება არც რით! უპირველესად - გრძნობით!

ან მწუხარების ზაფრით! ან სიხარულის ჟღვით!

ან სიყვარულით მძაფრით! ან სინანულის ღვენით!

ბოლომით. ზოზდით და რისხვით. გრძნობით ერთით და ერთით!

დ) ერთგვარი უბრალო დამატებები გოთარქით ბრუნვაში:

უწინ სასულიერო წოდებაში ყოფნა დიდ პატივად და ღირსებად მიაჩნდათ (იღლა); მე უნდა ამიერიდან შენს ყმად და მოსამასეურედ გავხდე ვა (ეკა); სოფლის კითხული ძლევამოსილ მუჭად და წინამძღვრობად იქცა (თ. ბიბილ.); [კათალიკოსმა] აკურთხება ილუსტრად. არქომანდორობად და ეპისკოპოზად (ღ. ჭონქ.); კანსტანტინეს იასონ ჭავჭავაძე შიგ ყვებოდა შელებლად. მწიწველად და ულიად (ლ. გოთ.); უნდა დამდგარი ვინმესთან ან მიხად, ანუ მოჯამაგირედ (ლ. არდაზ.).

შენიშვნა: მიაქციეთ კურადღლები ისხას. რომ უკანას, ჩელები წარადგენაში ანუ თავისი ტექნიკა - ამ კუშისის შემთხვევაშითავა ხახარი: უხდა დამდგარიყო ან ძინად, ან მოჯამაგირედ.

თუ უბრალო დამატებას თანდებულიანი ფირმა გადმოსცემს, კურთხვარი უბრალო დამატებები. ჩვეულებრივ, ცველა თანდებულიანია: იმის სიფრცეზე და გულჭრობაზე ბეჭრ საარაუ რატეს დაპარაკობდნენ (ა.კ.): ლუმიელის ჩატვირთვაში. ღნობაში და სხვა ოპერაციებში მეფეოლალებს... ბალები ეწერებათ (გ. ფანჯ.); დახილის... ყოველი ქვისათვის და ყოველი ქვნეისათვის მზერა არ უნდა მოეცილონა (ო. იოსელ.).

მაგრამ, როდესაც კურთხვარ უბრალო დამატებებს მაგალიუბელი და ან თუ კავშირი აერთებს, ამ კავშირთა წინ. სტილისტიკური თვალსაზრისით, უთანდებულო ფორმის ხმარება ჯობს: მტკრისა და ტალახში ამოგანგლული... უტლი აიტემა ქალაქში შემოიყეანა (ო. ჭილ.); ამის გულს ეკონება არჩილის ნათევამი კითხულის გაუკაცობაზე. შეუპოვრობაზე, უშიშ გულს და გონიბაზე (თ. ბიბილ.); ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და კუნძულის გაუკაცობის (გ. ფანჯ.).

ერთგვარი უბრალო დამატებას ურთისობა სიცავაში

კურთხვარი უბრალო დამატებები სინტეგმას ქრისტიან კურთხა და იმავე წევრთან. ეს წევრი ან შემასმენელია (გვ. უნთქოთ ... [თბილისის] პატიოთ, ქუჩაბანდებით, ნანგრევებით; ი. გრიშ.). ან სახელზმინით გადმოცემული რომელიმე სხვა წევრი, კერძოდ: კვემდებარე (მამისა და შემის მოულოდნელმა გაუჩინარებამ შიშის ზარი დასკაციურნას). პირდაპირი დამატება (მან გადაწყვიტა ნათესავების, ახლობლების, მეფობრების მიპატიუება), ირიბი დამატება (ეს კაცი ცხოვრებასა და ადამიანებზე ხელჩაქნეულს დაუმსგავსა), უბრალო დამატება (თავისი შეიძლისა და მისი მუზობრების რჩევით ძალიან ქმარებილი დარჩა), ატრიბუტული განსაზღვრება (ამბოხითა და არეულობით გამოწვეული მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა) და ა.შ.

ერთგვარ უბრალით დამსაჯებათი ბრუნვას ის წევრი გაითამაზობებს. რომელთანაც ისინი სისწავებას ქმნიას. ერთგვარი უბრალით დამატებები აუკილებლად ერთისა და იმავე ბრუნვისანი არიან (ახ ყველა მიცემითშია, ან ნაფესაობითში. ან მოქმედებითში, ან ვითარებითში), თანდებულიც. ცხადია, ერთი და ოგურე აქვთ.

ერთგვარი უბრალი დამატებები (ისევე, როგორც ცალკე აღებული უბრალი დამატება მარტივ წინადადებაში) სისტაგმის წევრთან ძართადად მართვით არიან დაკავშირებულინ. მართვა ახ ცალმხრივია. რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იმართვიან ბრუნვაში წევილის წევრის მიერ, ან - შუალობითი. როდესაც მართვა ხორციელდება სინტაგმის წევრის მიერ თანდებულის მეშვეობით.

ერთგვართანსაზღვრების შედეგები თანადანა

რამდენადაც განსაზღვრება შეიძლება იუოს ატრიბუტულიცა და სუბსტანტურიც, განსაზღვრებების მისედევით შერწყმული წინადადებაც ან ერთგვარ ატრიბუტულ განსაზღვრებათა, ან ერთგვარ სუბსტანტურ განსაზღვრებათა შემცველია.

1. ერთგვარ ატრიბუტულ განსაზღვრებათა შემცველი შერწყმული წინადადებები:

შეილის კაცად გამოიყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია შპონლებისა (ილია); ესლა თქენ წინ იღგა აზრმოგრული. გორგო. მოსტყვარულე და მზრუნველი მშობელი (ა. ყაზბ.); აქლოშინებული. თვალამთებული და ნესტოებდაბერილი ჩემი მეგობარი გამარჯვებული ლაშქრის წინამძღოლს ეგავდა (თ. ბიბილ.); იგი ზის... დაბალს და რობლ საგარმელში (გ. რობაქ.); ამოდენა უსახლეარო ხალხი ერთ შენიგოლ. ატორტმანებულ. აღნავლებულ. ამღერებულ და აფარებულ მასად ქცეულიყო (ო. ჭილ.); მარტო ჟუავახსნოლმა და გულგაწმენდილმა კაც მა იცის ესე ლირსეულად დაფასება (ილია); ზაფხულს კი ეძინა მშეგილი, ტაბილი ძილით (ვაჟა)...

როგორც წარმოდგენილი მაგალითთაგრძან ჩანს. ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრები შეიძლება იღვეს ჭველა იმ ბრუნვაში, რომელშიც;

შეკველთა დგომია აურიბუტულ განსაზღვრულის, მარტივ წინადაღებაში, ასე:

სახელობით ში: ქველთან დგას თეთრი, ციფრი ს გეტი (ო. იოსელი);

მოთხრობით ში: რაციო ჩაიდონა ეს ფრთხილმა და გამოცდილმა მტერმა? (ო. იოსელი);

მიცემით ში: ის უფრო თხელსა და რბილ ადგილ ს დაუქმდა კედელში (ო. ჭილი);

ნათესაობით ში: შეუქანი, მაძღარი სუფრის დანახვით გამხიარულებული გლეხები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ (გ. ლეონ);

მოქმედებით ში: აერგებულა მგრგვინვა, გაუკაცური ს მით მღერიან (კ. გამსახ.);

გითარებით ში: ოდესლაც ლალი ვაჟაცი ახლა ცოდვებით დამსმტეულ ჟემნებულ და დაუძლურებულ მოხუცად გადაქცეულყო...

ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრებები შეიძლება შედიოდეს მიმართვის ფორმაში. ამ შემთხვევაში ისინი, ცხადია. წოდებითი ბრუნვის ფორმით იქნებიან წარმოდგენილნი: ჩემო უმშევრესო და უკორესეს მეგობარო!

ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრებები, ჩემულებრივ წინ უსწირენ საზღვრულ წევრს, თუმცა შეიძლება შეცხვდეთ შეპრენებულ წერიასაც: შემომეძარცვა შარა ვან დე დი დაუნაცემული და დღემალი (ა. კალანდ.); უამი აშიშვლებს სულ სა ბოლწს, დაუწიმულს. გათავსედებულს (ა. კალანდ.).

2. ერთგვარ სუბსტანტურ განსაზღვრებათა ჟემული შეწყველი წინადაღებები:

ჩვენი გაჭირებისა, გულისტავილის და წადილის პატრონი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ (ილია); ირგვლივ ირწყება ტაფობი ჯურცხლის და ოქროს წყალითა (ვაჟა); ზღვისა და მთების პაერით დამტებარი ჩვენი მთა-ბარი (პ. იაშვ.); პაერში თოვლისა და ჭავლის სუნი ტრიალებდა (ო. ჭილ.); ზურნისა და საკირების გამაყრევებელი ხმა მოუფინა არქარეს (ო. გრიშ.); ის თავლისა და ჭავლის სურნელს აფრქვევდა (ო. ჭილ.); სუფრაზე თევშების ნაცვლად გაზის. ლელვის ან ქოშოსტოს ფოთლები ელაგა (ო. გრიშ.);

(ილია); ჩვენ, ქართველებს, ერთი საკურველი ხასიათი გვჭირს
(ილია); მეფე დავითს, კურაპალატს. პეტრი პეტრი ცვეულე-
ბა (აქაკი); მას, აკაკის. უფლება აქვს მემამულებს გლეხები
აუჯანყოს (მ. ჯავახ.).; ჩვენ, ქართველების, ხასიათი მართლა
რომ... მოუწერომელი რამ არის (ილია) და ა.შ.

ამ მაგალითებში დანართი ერთი სიტყვითაა წარმოდგენილი (დე-
დებმა, ქართველებს, კურაპალატს, აქაკის, ქართველების), რომელიც
აზუსტებს. ხსნის წინადაღების წევრის მნიშვნელობას. დანართის
გარეშე ამ წინადაღებათა შინაარსი მოლად ნათელი ვერ იქნებოდა:

ჩვენ კ. ღვთის წინაშე უნდა ცრუმლები ვლვაროთ; ვინ ჩვენ? - ქარ-
თველებს;

მეფე დავითს პეტრი ცვეულება; რომელ მეფე
დავითს? - კურაპალატს.

მას უფლება აქვს... ვის აქვს უფლება? - აგარის:

ჩვენი ხასიათი მართლა რომ... მოუწევდომელი რომ არის; ვისი ხასიათი, სახელდობრ? - ქართველების. და ა.შ.

დანართი ხშირად წარმოადგენს სიტყვათმენაერთს (შესიტყვებას, სიტყვათა ჯგუფს); მაგალითად:

სარქისამ. გა სპარას და ხლიდარმა. ტიქს პირი მოხსნა (ვაკა); მარინე. კაციას უფროსი ქალი, ქართან ღდა (ე. სიხ.); ჩვენ. პატარა გოგო-ბიჭები, უსმენდით (გ. ლევ.); ახლა თქვენ. ახალგაზრდა ქართველებო, უნდა გაამართლოთ... იმედები (ა.ა.ე.); მე. სოფლის უმაღლურმა და უძლებმა შეიღლმა, შიშით მოვალე თვალი ჩემს ბიჭლ სადღომს (თ. ბიბილ.); ამას თავდაპირუელად ისინი პლატონის ძმის, აწ გარდაცვლილ პროფესორ გერეგან მინდაძეს, უმაღლოდნენ (გ. ფანჯ.); ჩვენ. ნაშიერებს მჭედლელ ტომების, ცეცხლოვან თვალებს გვითრობს ლითონი (ლ. ასათ.) და ა.შ.

ამ შემთხვევაში დაზუსტება თუ ახსნა-განმარტება უფრო სრულყოფილია:

სარქისამ. გასამარას დახლოდარმა, ...; მარინე. ქაციას უფროსი ქალი, ...; ჩვენ. პატარა გოგო-ბიჭები, ...; მე. სოფლის უმაღლურმა და უძლებმა შეიღლმა, ...

შესაძლოა წინადადების წევრთან რამდენიმე დანართი იყოს დაკავშირებული; ველოდები სხვას, მანგია ბალიაურის შეიღლს, ჩემს მეგობარს, გიორგი ბალიაურს (თ. ბიბილ.). ასეთ შემთხვევაში, ცხადია. კიდევ უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი წინადადების წევრის შემავსებელი ცნობები, რომლებიც ახსნა-განმარტების სახითაა მოცემული.

დანართის წყალობით წინადადება უფრო ემოციური, უფრო შთამბეჭდავი, ექსპრესიული ხდება: მას, აღავერდის დიდებულ ტაბარს, ალაზნის პირად თეთრად ანთებულს, კვლავ მოიხილავს... წმინდა ხატება (ა. კალანდ.).

აქამდე წარმოდგენილ უცელა წინადადებაში დანართი, რომელიც აზუსტებდა წინადადების წევრის მნიშვნელობას, უშავლოდ უსაფშირდებოდა მას (მხოლოდ პაუზით). ასეთ დანართს უგაუშირო დანართი ეწოდება; მაგრამ დანართის დაუკარება წინადადების წევრთან

შესაძლოა მიასცეს საგანგაქით, ზოტევების მეშვეობით. ეს საჯარებებია: აფე, უსუ-ოფი (ე.მ.), სახელად, გვარად, ეროვნებით, წოდებით, სპეციალობით, მოდემით, წარმოშობით, ჩამომავლობით, სახელდობრ, როგორც, განსაკუთრებით... მაგალითები:

მე ვინახულე ტბა სუბანის, ანუ ტბა გოგჩის (მ. ლეპან.); გურიის მუშა ხალხს, ანუ გლეხეგაცობას, თოვისთვის მოეკიდა ხელი (ე. ნინ.); საბარათიანო, ანუ ქვემო ქართლი, მოწინავე საღრიშოდ ითვლებოდა (მ. ჯავახ.); ...ამიტომაც დაურქმევიათ „საგანგ“. ე.ი. მოსასვენებელი ადგილი (აკაკი); ამირანს მამა პყავრა, სახელად დაგითი (მ. ჯავახ.); ქუთაისში ერთი ჩოხოსანი ყმაწვილი იყო, სახელად სისინა (შ. დად.); ერთი ვიღაც რუსული ენის მასწავლებელი დაგვინიშნეს, გვარად საპეგა (აკაკი); ჰაზორა, გვარად ბბრამოვი, სახელოვანი მემკოდრე იყო საიათოვასი (ი. გრიშ.); ინფინერი, სპეციალობით გზების მშენებელი, აქ ასრულებდა ... მოვალეობას (ნ. ლორთქ.); მათ მოქმატა სწავლული გორგი არტემიჩ ხარაზოვ, სპეციალობით მათებარი გვიგონი (გ. რობაქ.); აქ ბიძნაშ, როგორც მთავარსარდალმა, ორად გაყო შეერთებული ჯარი (აკაკი); მე თვითონ, როგორც მთის გაცს, მყვანდა რაოდენიმე ცხვარი (ა. ყაზბ.); შამილი, როგორც ჭიდვიანი გაცი, ყველა ამ მდგრამარეობით სარგებლობდა (ა. ყაზბ.); მისი ქარი, სახელად თტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნარი, იყო ნამდვილი გლეხი (დ. კლდ.).

დანართი, რომელიც შეიძლება ახლდეს სახელით გადმოცემულ წინადაღების სხვადასხვა წევრის, ანგარიშს უწევს მას - ეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში. მაგალითები:

ყველაზე მეტს მისი ბიძაშვილი, კოლხეთის ყოფილი მეური, ... ყვიროდა (ო. ჭილ.); პირველად ყოველივე ისევ იშან მითხრა, ჩემმა მეცობარმა და ნამომხმა (თ. ბიბილ.); ჩვენ, პოეტებს, ეს საყვედური არ გვთქმის (პ. იაშვ.). მეც. ვესალმები მას, ბებერ როდოსს (ა. კალანდ.); მათ, შეკლთა ძმათა, ტაძრად შეიდი სანთელი ანთეს (მ. ლებან.); კლასის ამხანაგვები, განსაკუთრებით უსაქმურები და ნამორჩენილები, პირდაღებულები უუკრებდნენ (გ. ფანჯ.).

როდესაც ის წევრი, რომელსაც დანართი აზუსტებს, თანდებულონია, იგივე თანდებული აქეს დართული დანართსაც: ჩვენთვის.

ადამიანებისათვის. საკიროი ასეთი ქაცია (იქლა): ის თავის შეგიდზე. გიორგი ბალიაურზე, ფიქრობდა (ო. ბიბილი): ჩემთვის. როგორც მწვრთნელისათვის და როგორც მეცნიერისათვის, ძნელი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება (გ. ფანჯ.).

ყურადღება მივაკრიოთ ერთ გარემოებას:

დანართიცა და განკურძობული გარემოებებიც აზუსტებენ. აკონტეტებენ წინადაღების წევრს; მაგრამ დანართის შემთხვევაში ეს წევრი აუკილებლად სახელითაა გადმოიცემული და შეიძლება იყოს ქვემდებარებული (ჩვენ. ხეთებმა. თავაზი გეცით; ა. კალანდ.), პირდაპირი დამატებაც (ისინი აღტაცებით იხსენიებენ დაგით დამაშენებელს, ჰატიისმცემულსა და შემწყმარებელს სხვა ერისას; იღლა), ირიბი დამატებაც (მე. მის მცველეობის, ნაღვლით ამერიკა სული, გული; იღლა), უბრალო დამატებაც (მის თვის, უკუთლშობილების აღაშიანისათვის, ძნელი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება), განსაზღვრებაც (ჩვენი. ქართველების, ხასიათი მართლა რომ ახირებული... რამ არის; იღლა)... განკურძობული გარემოებანი კი აზუსტებენ. აკონტეტებენ ზმინზედოთ (ან ზმინზედის უუნქციოთ გამოყენებული სახელებით) გადმოცემულ გარემოებებს, შესაბამისად, დაგილისას (იქ. უცხოუში, ყველაფერი სხვანაირად ჩანდა: ო. ჭილი.), დროისას (ეს იქნება დილადრიან, მზის ამოსვლის მურჯ; თ. ბიბილი)...

ამრიგად, შეკვიდლია ვთქათ. რომ დანართის შეკვიდია დაზუსტება, დაკონტეტება მხოლოდ სახელით გადმოიცემული სხვადასხვა წევრისა, განკურძობული გარემოებანი კი აზუსტებენ ზმინზედის უუნქიოთ გამოყენებული სახელით გადმოიცემულ გარემოებებს.

მართლწერისათვის: დანართი, უკავშიროცა და კავშირიანიც, სხვა სახის განკურძობათა მსგავსად, ძრითადად მძიმით (მძიმებით) გამოიყოფა (იხ. მაგალითები). დანართი შეიძლება ტირუოც (ტირუებით) გამოიყოს ან ჩაისვას ფრჩხილებში: ამ ორ სწაიპერს, ვალტერსა და იოპანს, თვალისწინეთ უფრთხილდებოდა მეთაური (ო. იოსელი). შედრ:

ამ ორ სწაიპერს - ვალტერსა და იოპანს - თვალისწინეთ უფრთხილდებოდა მეთაური;

ამ ორ სწაიპერს (ვალტერსა და იოპანს) თვალისწინეთ უფრთხილდებოდა მეთაური.

ჩართული ეწოდება განკურძოებულ სიტყვას ან სიტყვათა შენა-
ერთს. რომლითაც მოუძარი (მოქმედი) გვაეცინებს, თუ როგორ უც-
ქრის ის წინადაღებაში გამოფენილ აზრს: სწერის მას, ახარებს, დარ-
წმუნებულია, საუკეთენოდ თუ საუკეთენოდ მიაჩინია და სხვა (ა. შანიძე).

როგორც განმარტებიდან ჩანს, ჩართული, მნიშვნელობის თვალ-
საზრისით, მრავალგვარია. გაუცენოთ მათ უფრო დაწერილებით:

1. ჩართულით შეიძლება გადმოიცეს ის, რომ მოქმედი დაწერწმუნე-
ბულია ნათელამის უცნებელობაში: ამისათვის გამოიყენება ისეთი ჩართული -
სიტყვები და გამოფენილი, როგორიცაა: რასაკვირველია, მართლაც, უც-
ნებულია, ცხადია, რა თქმა უნდა, აშეარა და ა.შ. მაგალითები:

იქ. რასაკვირველია, მომბრუნებია გული (აკაკი); მეც, რასაკვირ-
ველია, გაკიმერუე მისი ნამოძღვრალი (აკაკი); არც პლატონს პქნ-
და სასიამონოდ, რასაკვირველია, ბევრი შეიტლი (დ. კლდ.); რასა-
ჭირველია, ის მართალია (გ. ფანჯ.); ოთარაანთ ქვრივმა..., რასაკ-
ვირველია, თავისებური პილპილიც მოაყარა (იღლია)...

ორივემ, მართლაც, თავგანწირული გახელებით ჩაბლუჯა იგი (თ.
ბიბილ.); ავადმყოფობის დადგენა, მართლაც, განკურნებას არ ნიშნავს
(ო. ჭილ.); მართლაც, მათ გეგრდით გაღლა შეუძლებელი რამ იყო (ქ.
გამს.); ომის დროს, მართლაც, დიდი თოვლი მოგდიოდა ყველგან (გ.
ფანჯ.); ფარნაოზი და კუსა, მართლაც, არასოდეს არ ყოფილან ასე
ახლოს ერთმანეთთან (ო. ჭილ.)...

ავადმყოფს, უცნებელია, რაღაც აწეუხებდა (ა. ყაზბ.); იქ. უცნებელია,
ბევრის რასმე საკვირველს ვნახავ (თ. რაზიკ.)...

დიდი მაყრიონიც, ცხადია, შეაბჯრული და მზადყოფილი მოდიო-
და (ლ. გოთ.); დრამატურგი, ცხადია, პოეტი კაცი იყო (შ. დად.);
თქენს უულფში..., ცხადია, კულაც გავუკოფთ თავს (ა. კალანდ.)...

ამ მოჩვენებასაც, რა თქმა უნდა, თავისი ძალა პქნდა (ვაჟა); რა
თქმა უნდა, ეშმაქი იყო (ო. ჭილ.); მე, რა თქმა უნდა, არ ვაზეიადებ
ტკივილს (ო. ჭილ.); რა თქმა უნდა, იგი ამ არემარეზე სულ არ
ჩანდა (ო. იოსელ.); რაღა თქმა უნდა, ის ვიღაც კაცი მათი სახლისა-
კენ მოგდიოდა (თ. ბიბილ.)...

აშენარია. ასე მარტივიად არ არის, საკმი...
2. ჩართული გადმოეცემს მოქმედის ვარაუდს ან დაუცვებას
წინადაღებაში გამოიქმეული აზრის მიმართ. ასეთი ჩართულებია:
აღმათ, მეორია (ვეონებ), როგორც ეტყობა, ეტყობა, ჩანს, როგორც
ჩანს, თუ პრ ვეღები... მაგალითები:

იქიდან, აღმათ, მეტერს მოელის (ვაჟა); აღმათ, ახლა რაიმე...
ფრაზას აღაგებდა მისი გამოშეტყველება (გ. ფანჯ.);

ამ სოფელს სახელი, ვეონებ, თვით თავის მდებარეობით დარწმუნა
(ნ. ლომ.); მაშინ, ვეონებ, ულვაშები და პატარა წვერიც პქანდა
ნიკაპზე (რ. ინან.); მეორი, მაშინ იმას სწავლაზე გული აცრუებული
პქანდა (ილია);

მან კი ეტყობა, ჟევე დამინახა (გ. შატბ.); მეორე მიძაშვილი,
ეტყობა, უმკროსი უნდა ყოფილოყო (გ. ფანჯ.); ამ მოელს, როგორც
ეტყობოდა, სოფელში არავინ იყნობდა (ა. ყაზბ.); როგორც ეტყობო-
და, ეს ადგილი ჩრდილოეთიდან მოუვალი იყო (ო. ოსელ.); მაგის
თქმას, გატყობ, ცხრა ჩემისთანა თავი უნდა (რ. ინან.);

ასეთი არის, ჩანს, ნება ღვთისა (ილია); ჩანს, იუდაც კი... თა-
ნამგრძნობთა თავისთა პოვებს (ა. კალანდ.); როგორც ჩანს, გადაწვე-
რილება კარგა ხნის მიღებული პქანდა...

ეს კაცი, თუ პრ გვალები, ჩეგნი ახალი მეზობელი უნდა იყოს...

3. ჩართულით გადმოიცემა მოქმედის (მოსაუბრის, მწერლის) ის
გრძნობა, რომელსაც ნათქამის შინაარსი იწვევს, და იმავდროულად
ხდება ფაქტის შეფასებაც: ჩეგნდა სასიხარულოდ, ჩეგნდა ბედად,
საბედნიეროდ, სამწუხაროდ, საუბედუროდ. თქენდა სამარცხვინოდ და
ა.შ. მაგალითები:

ჩეგნდა სასიხარულოდ, ჩეგნშიაც თოთქმის ჩეკულებად შემოდის
პატივისცემა ერთსათვის გარჯილ კაცისა (ილია); ამის ნიშნებს,
ჩეგნდა სასიხარულოდ, ვხედავთ დღეს (ვაჟა); ჩეგნდა ბედად, მალე
მეორედ მატარებელმა ჩაიარა (რ. გვეგ.); ბევრს, სამწუხაროდ, ში-
ნაარსიც არ ესმის ფშაური ლექსებისა (ვაჟა); ის, სამწუხაროდ, ორი
წელია აღარ ჩანს თბილისში (პ. იაშე.); მე კი, ჩეგნდა საუბედუროდ,
...მომცნარი სახე მქონდა (აკაკ); არსებობს, საუბედუროდ, ასეთი
აზრი თუ უაზრობა (ო. ოსელ.); სამწუხაროდ (თუ საბედნიეროდ), ამ
ბოლო დროს ცირა წიგნი მოსწონდა (გ. ფანჯ.);...

„4. ჩართულის შეიძლება გაღმიაცეს წინადაღებაში კაშტაქეჭალი აზრის წერო - ვის ეუფუნის ეს აზრი. ასეუბითა წემი. ასრის მეცნიერთა შეხედულებით. მათი წარმოდგენით, პრესის ცნობით. გადმოცემით. როგორც გადმოგვცემენ. როგორც იტყვიან და ა.შ. მაგალითები:

წემი ფიქრით, ცუდი და კარგი ქეყანაზე თავისთავად არ არსებობს (იღლა); მეტინაჯეს აზრით, ეს იყო ცულაზე უკეთესი (ო. იოსელი); ვაჟაცი. ხევსურის წარმოდგენით, უნდა იყოს გულადი და პურადი (ვაჟა); როგორც იმურეთში ამბობენ, ერთობ გადაპრანებული აზნაური იყო წევნი ბერინა (დ. კლდ.); მეულ დროში, როგორც გაცით და გაგორილი გვაჭს, რჯული ხალხს მტკიცედ ეცირა (ვაჟა); ხალხურად რომ გოჭათ, დანა და ყული ერთად იყო (რ. ჯაფარ.); ტახტის თავზე... ბაცანალი, ანუ, როგორც ზოგან ეძახიან, სასოფლალი, დგას. ხარატით ნაერთები (იღლა); უზარმაზარი ნიგვზები, ანუ, როგორც ზოგან უწოდებენ, კაკლის ხეები, ... თავმომწონედ შლილნენ შროებს (ა.ე.ა.ე.)...

5. ჩართულმა შეიძლება გვიჩვენოს, თუ როგორ აფასებს მთექელი (მოლაპარაკე) მეტყველების სცილს, წინადაღების აზრის გადმოცემის ფორმას. ასეობია: თუ შეიძლება ასე ითქვას. უკეთ რომ ვთქვათ. სხვაგვარად (სხვა სიტყვებით) რომ ვთქვათ. მარტივად რომ ვთქვათ. სწორედ გითხრათ და ა.შ.

მაგალითები:

„მათი წალმით დახურული სახლი, ანუ, უკვთ რომ გოჭათ, ქოხი, გადოდებულიყო (ვაჟა); სწორედ გითხრა, ქუჩაზე მეტად არც აქ თბილა (შ. არაგვ.).; მე, სწორედ მოგახსენოთ, ძალიან შევიჩივე ჩევნი პატარა ბატონი (იღლა); მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ცერ გამოვიმეტებდი (იღლა); ის ხომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჯერ დაუღვინებელი მატარია...“

ამ გაპის ჩართულებთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ მთელი ეპიზოდი იღლა ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“, რომელშიც რესი „მეცნიერი აფიცერი“ თავის „მრძნულ აზრებს“ უზიარებს ავტორს: „იქნებ თქვენ. მეცნიერების წით რომ გოჭა, დეისტრიტელი სტატსე სოცეტნიკებსაც მართალ გენერლებში სოცლით, ესე იგი.“

მდაბიურის ენით რომ ვთქჲა, იქნება შტაგის, გენერლებსა. ასე. უფრო მდაბიურად რომ ვთქჲა, უკილეტი გენერლებსა. ანუ, ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქჲა, უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით?...

6. ჩართული სიტყვებითა და გამოთქმებით გაღმოუმტკლია წინადადებაში გამოთქმული აზრების თანამომდევერობა: ჯერ ერთი, მეორეც. მესამეც.... ან ერთგვარი დამოკიდებულება წინ გამოთქმულ აზრებთან: ამგვარად, ამრიგად, დასასრულ. მაშასადამე, ამას გარდა (გარდა ამისა), სხვათა შეორის, პირიქით, პირუკუ, ერთი სიტყვით და ა.შ. მაგალითები:

ჯერ ერთი, მეთაურის ჯანმრთელობა უარესდებოდა. მეორეც. არავინ იკოდა, ვის ებრძოდნენ (ო. იოსელი); ჯერ ერთი, მუშებს არ უნდა დაენახათ, მეორეც, თვითონ ლუვანი განაწყენდებოდა (გ. ფანჯ.); მაშასადამე, უნდა წარმოედგინოთ, ...რომელი ფრინველი რას იყოდა (ვაჟა); ერთი სიტყვით, სულ ახსოვდა. როდის რამდენი კალმახი დაიკირა (თ. რაზიქ.); ერთი სიტყვით, ეს ორი... აღამიანი შემთხვევას ერთმანეთისთვის შესაძრავებლად შეუყრია (ა. ყაზბ.); არც გიორგი ემდუროდა თავის ბედას. პირიქით, უხაროდა (ილია); ჩეკი ჭრილობები ვერ დაგვემახინების. პირიქით, მოგვიხდება კიდეც (რ. იხან.); [დედა-ჩემს] შესწავლილი ქეთნდა. სხვათა შეორის, ექიმობა და მეურნეობა (ა.ე.ა.); ბიძაჩემა, სხვათა შეორის, ერთის დათვის ამბავი მოთხრა (ვაჟა); ამას გარდა, დედის სიტყვებიც მომაგონდა (ა.ე.ა.); დასასრულ. მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა ყუკლას ყურადღებისათვის... ამგვარად. სტუმრებიცა და მასინძლებიც ქაყოფილი დარჩენენ...

7. ჩართული ზოგჯერ წარმოადგენს ზმის მე-2 პირის ფორმის შემცველ მიმართვას თანამოსაუმრისადმი (ზმის კილო თხრობითიც შეიძლება იყოს და ბრძანებითიც). ასეთებია: დამეთანხმებით, შენ ხარ ჩემი ბატონი, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორც თავადაც მიხვდებოდით და ა.შ. მაგალითები:

დაგვიძარებს დილას, ჩამოლიო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩამოხვალ და იყი შინ წასელა (ე. ნინ.). რუსთავში ჩამოუდი და აქ. თქვენც გარგად ხედავთ, დღე და ღამეს ეასწორებ (გ. ფანჯ.); ეს დედაკაცი გახლდათ, როგორც თავადაც მიხვდებოდით, ბეკინა სამანიშვილის

ქუროვი ელექტრი). და პატარა ბავშვი - შეიღლი მისი (დ. კლდ.). შემო მოუკლოს საკუკლილება თქვენ წარმოდგინეთ, არ გაძევოვებია; ამ ვითარებაში ასეთი საქციელი. დამეტანშებით გმირობის ტოლუასი იყო...

8. ჩართულადაა მიჩნეული საალერსო სიტყვები და ზოგიერთი ე.წ. ფიცილის ფორმულა (ა. შანიძე). რომელთაც შორისდებულის მნიშვნელობა აქვთ: გენაცვალე (გენაცვა), გეთაუვა (გეთაუვანე). შენი კირიმე, შენი კუნესამე... ჩემს (თქვენმა) მზემ. ღმიერთმანი. ღერდაშვილობამ (დედაშვილობას), ძმობამ, შენს გაზრდას და ა.შ. მაგალითები:

ვყუავი ამდენი ხანი. შენ გენაცვალე. ჩემს პაწია კარ-მიდამოზე მოსკენებით (დ. კლდ.); მე. შენი ჭრესამე, ამ ქვეყანაში მოვცვლები (შ. არაგვ.). მეტი რაი დღე გვატეს. შენი ჭირიმე (ა. ყაზბ.); გენაცვალ, ვთოვმ რატომ არ არის ეს ბოტი კუთილშობილი? (მ. ჯავახ.); გენაცვა, ეს რა მოწერნებაა (შ. არაგვ.); ჩემ რა იყოთხის, ღელილას, უკლოსი, ბეჭით შავისა? (ვაკა); მე რად მინდა, შეკლოსან. სკოლა (ვაკა); ვე შენი შიში. მამაშეკლობამ, სრულიად უსაფუძვლოა (დ. კლდ.); მურა-ბა მაინც მითოვი, გენაცვალე, ან ნამცხვარი (რ. ინან.); შენთვის რომ მუცულში ნებსი გაეკუთხინათ, ჩემშია მზემ, აღარ გაგეცინებოდა (გ. ფარჯ.); ღერდაშვილობამ, ბეკრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო... (ა.კა); შეწვეული ვარ. გენაცვალის ჩემი თავი, შეწვეული (მ. ჯავახ.); სანოვაგეს. ღვთის წინაშე, ბეკრსაც ვხდებოდით (ვაკა)...

რაგორუც ხედავთ. ჩართული სიტყვები და გამოთქმები, მნიშვნელობის თეალსაზრისით, მართლაც ძალზე მრავალუროვანია. „დასახელებული შემთხვევები ამ მრავალფეროვნებას ვერ ამოწურავს“ (ლ. კვაჭაძე).

წინადადების შემაღებენლობაში შეიძლება აღმოჩნდეს ჩართული მოელი წინადადება, რომელიც გვაწვდის დამატებით ცნობებს ან შენიშვნას ძირითადი წინადადების შესახებ. ასეთი ჩართული წინადადება. ჩვეულებრივ, წინადადების შიგნითაა ან წინადადების ბოლოს. მაგალითები:

ძლიერს არ გავისტუმრე ურმები (ტყეულიც უაზრდა ჩვენს ლუკა-საბსა), ძლიერსა! (ილია); შშურდა, გეტეფით ჩემ გულის სიძუნწეს, რომ ის ისე თამამად კითხულობდა (ილია); ვე, გთხორათ ჩემი გულჭვალ-

ბის ამბავი, სულაც არ შეკისრისუ მაშინ (იღოთ); ან წეოვგმი ბეჭიან. - ასე ეძახდნენ მწევმსს. - ფრისეველად გადაქცევა უცვარდა (ა. ყაზბ.)...

მართლ წერისათვის: ჩართული, ერთი სიტყვით იქნება ის გადმოცემული (ამრიგად, მაგალითად, მაშასადამე). რასაცირკულია. სამწუხაროდ. საბერნიუროდ და ა.შ.). სიტყვათშენაურთოთ (ჩემი აზრით. ხალხის რწმენით. ჩვენდა სასიხარულოდ, როგორც იცტყვიან...) თუ მოელი წინადაღებით, განკუქრიულებით დგას და ძირითად წინადაღებასთან სინტაქსურად არაა დაკავშირებული: ის აუცილებლად გამოყოფილია ძირითადი წინადაღებიდან ინტონაციურადაც და სასუენი ნიშვნითაც, კურძოდ:

თუ ჩართული წინადაღების თავშია. მის შემდეგ მძიმე დაისმის (რასაცირკულია, ის მართალია; რა თქმა უნდა, ის ასეც მოიქცევა...);

თუ ჩართული ბოლოშია, მძიმე მის წინაა საკირო, მის შემდეგი - წინადაღების შინაარსის შესაბამისი სასუენი ნიშანი (ის მართალია, რასაცირკულია! ის ასეც მოიქცევა, რა თქმა უნდა...);

მაგრამ, როდესაც ჩართული წინადაღების შუაშია მოიქცეული, მას მძიმები ორივე მხრიდან სტირდება (ის, რასაცირკულია, მართალია; ის, რა თქმა უნდა, ასეც მოიქცევა); არა აქეს მნიშვნელობა, რა სიტყვაა ჩართულის წინ ან მომდევნოდ: მეც მოვუდი, რა თქმა უნდა. და გულთბილად მივესალმე: მეც მოვუდი და. რა თქმა უნდა, გულთბილად მივესალმე.

შუაში მოიქცეული ჩართული, თუ ის ვრცელი წინადაღებაა. შეიძლება ტირეებით (ტირეებთან ერთად. მძიმეებით) გამოიყოს ორივე მხრიდან. ან ფრჩხილებში ჩაისვას: ეს ამბავი. - მინდა გულასდილი ვიყო თქვენთან, - საერთოდ გადამავიწყდა; ან: ეს ამბავი (მინდა გულასდილი ვიყო თქვენთან) საერთოდ გადამავიწყდა. პირველ შემთხვევაში მძიმეებთან ერთად ტირეებიცაა ნახმარი, მეორეში, რადგან ჩართული წინადაღება ფრჩხილებშია, მძიმეები საკირო აღარაა.

შენიშვნა: როდესაც ჩართული ფრჩხილებშია ჩასმული, მის შემდეგ მძიმე იმ შემთხვევაში უნდა დაისვას. თუ ეს მძიმე ფრჩხილებში ჩასმული ჩართულის არარსებობის შემთხვევაშიც არის საკირო: ეს ამბავი (მინდა გულასდილი ვიყო თქვენთან).

ჩუმდა სამწუხაროდ, საერთოდ გადამაცინება (ას) შემთხვევაში მისი საკიროება პიმდევნო ჩართულმა (ჩემდა სამწუხაროდ) გამოიწია, რომელიც ორივე მხრიდან მძიმებით უნდა იყოს გამოყოფილი.

ერთ გარემობას უნდა მივაქციოთ საგანგებო უურადლება:

ჩენ ვნახეთ. რომ ჩართულის გადმოსაცემად გამოიყენება არსებოთ სახელიც (მაგალითად...). რიცხვით სახელიც (ჯერ ერთი, მეორეც...), ზმაც (ეტყობა, ვეონებ...). ზმნიზედაც (პირიქით, სამწუხაროდ, ამგვარად...). ანუ სრულმძიშვილობიანი სიტყვები, რომლებიც შეიძლება წინადაღების სრულუფლებიანი წევრებიც იყვნენ. ამის გამოა, რომ ერთი “და იგივე სიტყვა თუ გამოთქმა, კონტექსტის გათვალისწინებით, შეიძლება ჩართული იყოს, შეიძლება - წინადაღების რომელიმე წევრი. შევუდაროთ ერთმანეთს ასეთი მაგალითები:

ერთი სიტყვით, მზად იყავ! (დ. კონქ); და:

ერთი სიტყვით შეიძლება ამ აზრის გამოთქმა.

მე, მაგალითად, არ შემშინებია (ო. იოსელი); და:

მე მაგალითად მოვიყენე ეს ფაქტი;

მაგის ხელობა ეს არის, შენი ჰირომე (ილია); და:

„შენი ჰირომე“ სააღერსო სიტყვებია;

ამგვარად, ნათავადარმა იშორა მუდმივი და ოოლი საჭე (რ. გვეტ.);

და:

ამგვარად მხოლოდ უსინდისო ადამიანი იქცევა;

მე, ცოტა არ იყოს, შემრცხვა (აკაცი); და:

მეშინია, ეს საკვები მისოვის ცოტა არ იყოს და ა.შ.

წარმოედგენილი წკალების პირველ წინადაღებებში ჩართულები გვაქს. მერჩეში. - წინადაღების ესა თუ ის წევრი (უბრალო დამატება, ქვემდებარე, ეთარების გარემოება, შემასმენელი...).

შენიშვნა: ზოგჯერ, ინტენციასთან ერთად, სიტყვათა რიგ-მაც შეიძლება განსაზღვროს. ჩართულია ის თუ წინადაღების წევრი. შედრ:

მართლაც, ყველაფერი გაირკვა; და: ყველაფერი მართლაც გაირკვა.

ამგვარად, ყველაფერი დასრულდა; და: ყველაფერი ამ-გვარად დასრულდა.

მიმართვა ეწოდება წოდებით ბრუნვაში დასტულ სიტყვას ან სიტყვათშეხაერთს (შესიტყვებას), რომელიც აღნიშნავს მისამართ პირს ან საგანს. მისამართი პირი მეორე პირია, თანამოუბარია, ამიტომ მიმართვად ხშირია ადამიანის საკუთარი სახელები. აგრეთვე ნათესაობის, პროფესიის, წოდებისა თუ თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები. მაგალითად:

დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდან? (ილია); ოჲ, შენ ხარ, თიმსალ? (აკაკი); ჰებო, ჩვენც მოგვეკით თქვენთან ახლო ბინა (ვაჟა); ბიძაჩემო, ჩქარა წაგიდეთ შინისაკენ (6. ლომ.); მარამდელუბო, ყური მიგდეთ! (მ. ჯავახ.); მუშებო! თქვენი მარჯვენა იქურთხოს (აკაკი); შესდექ, ხევისბეროვ (ა. ყაზ.); ბატონი, ლექები გამოჩინდნენ (6. ლომ.); შეგვაშეი, მებაზუვ. გზას მოუტრით ბაღითა (ა. კალანდ.); ხმალი გალესე, მომილო, მცერი გადმოდგა მთაზედა (ვაჟა)...

პოეტური მეტყველებისათვის ჩვეულებრივია მიმართვა უსულო საგნებისადმი: გულო, არ გასტყედე, გამაგრდი, კლდედ ღლებ საღლადა! (ვაჟა); ქარო, მოიტა ატმის ყვავილი, ქარო, ფოთლებიც შემომაყარე! (ა. კალანდ.); მიწავ, ახალი დალით დაგტორეს, მოებო, მოგასკრდნენ რეინის ჯარები (პ. იაშვ.); მშვიდობით, ნისლო! მშვიდობით, ჯანდლო!... (მ. ლებან.)

წარმოდგენილ მაგალითებში მიმართვა ერთი სიტყვისაგან შედგება. ძალიან ხშირად იგი გავრცობილია მისკოლი სიტყვებით. მაგალითად:

ჩუმო ჭკუის კოლოფო, ვინ იქნება შენისთანა მთაზებული (ა. ყაზ.).

ამ წინადაღებაში მიმართვა (კოლოფო) ორი განსაზღვრებითაა გავრცობილი: ატრიბუტულით (ჩუმო) და სუბსტანტურით (ჭკუის). .

კლდე უფრო გავრცობილია მიმართვა ამ წინადაღებაში: ვის ებუტებით, მშობლიურო მწევრგალებო თოვლიან მოების? (მ. ლებან.).

აქ მიმართვას (მწევრგალებო) განავრცობს მის წინ მდგომი ატრიბუტული განსაზღვრება (მშობლიურო) და მომდევნოდ მდგარი სუბსტანტური განსაზღვრება (მოების), რომელსაც საკუთარი ატრიბუტული განსაზღვრება ახლავს (თოვლიან).

როგორც ვხეკლავთ. მისიროვას შეიძლება ისლუდეს არამთავარი წევრები. მაგრამ როგორც კრთსიტყვიანი, ისე სიტყვათშენაურთით წარმოდგენილი მიმართვა განკურძოებულია და წინადაღების წევრად არ ითვლება.

მიმართვას შეიძლება მოსდევდეს განკურძოებული განსაზღვრებაც (ერთი ან რამდენიმე), რომელიც, ცხადია, წოდებით ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი:

შენ ხმაურობდი მბორგავ თერიგივთ, ხალხის სიმღერავ, ცამდე მართალო (ნ. სამად.); შეიღო, მშობლიურ კერაზე ტებილო, აქ დარჩი და არ წახეიდე არსად (ლ. ასათ.); ვაი, შენ, ჩემი ცისფერო წიგნო, ასაკინ ბად და გეცილო (ზ. ლებან.); ლაშევ, ბნელო და წყვდიდალო, ... (ა. ყაზბ.); თვალნო მბრწყინვანები, მარად ლხენით მოგასკასენო, ... (ა. კალანდ.); ზედაზნის ნიხლო, ნაზო და სუსტო, ... (ო. ჭილ.); ცხრისწყალის ხეობათ, დაღარულო, დასერილო, ... (ლ. ასათ.)...

მიმართვას შეიძლება მოსდევდეს დანართიც, რომელიც აზუსტებს მიმართვის მნიშვნელობას: ღრუბელნო, ცისა და მზის გამზადებელნო (ა. ყაზბ.); შენ გაგიმარჯოს, სახლიყაცო. ჩემი ქვეყნის შნოვ და ლაზათო (რ. ინან.

შენიშვნა: როგორც ცნობილია, მიმართვად ხშირად გვხვდება საქუთარი სახელი, რომელსაც, წოდებით ბრუნვაში მდგარს, ბრუნვის ნიშანი არც ჭელ ქართულში დაერთოვდა და არც ახალ ქართულში საკიროებს ბრუნვის ნიშანს - იგი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. იშვიათად შეიძლება შეცხვდეთ წილებითი ბრუნვის ნიშის მქონე საქუთარ სახელებს: აღტაცებული შევიქნი მაგნაირი პასუხით, მშევნიერო გალილავ (გ. წერეთ.); დაასხი, ურუკლევ!... დაგვისხი, ზურავ, თერემ ჭელში გოლვა ჩაგვიდგა (მ. ჯავახ.).

ეს ფორმები, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით, მცდარია.

მართლწერისათვის: 1. როდესაც მიმართვა წინადაღების თავშია, იგი. მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ, უნდა გამოიყოს მძიმით ან ძახილის ნიშით. ძახილის ნიშით მაშინ, როცა მოწოდე-

ნა ძლიერი გრიმობით და დიდი შესექტურო („სუკიონი“) არის „არმია-თქმელი“ (ა. შახიძე);

მაგალითები:

დიდებული ხელმწიფებული რაც ფოთლებია ხისოფის, ჩურც ისუკე ვართ ქვეყნისათვის... (აკაკი); დიდო პოტიო. იგერიის ღვიძლო გვ-ნიავ! როგორ გსუსხავდა წარსულ დროთა ყონვა და თოში (6. სამად.); ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათვლო. ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო (მ. ლებან.); ჩემო ბალვებო, აკუაკოლიშო. იმხიარულეთ (3. იაშვ.).

2. თუ მიმართვა წინადადების შიგნითაა მოქცეული, იგი, მიმული სიტყვებითურთ, ორივე მხრიდან მხიმებით უნდა გამოიყენოს:

ძირს დამხობილა, თეთრო მოუბო, უძველესი თქენი დიდება (მ. ლებან.); შენ დაიფარე, ღმერთო ძლიურო, საუთარ ფესუებს მომწყდარი კაცი (ო. ჭილ.); შშეიდობოთ. ჩემო ჰერხანავ, უფალი მიწვევს, გშორდები (ვაჟა); მალე გცოდნია, ძმობილო, პირობის ასრულება (ილია); მე მიუკცელები, იმედო, მალე და. საჭარულო ბოჭივ ჩემო, აქე, გორაქზე, დამასამარე (ლ. ასათ.);

3. თუ მიმართვა წინადადების ბოლოსაა, მის წინ მიმეუ საჭირო, მის შემდეგ კი - ის სასვენი ნიშანი, რომელსაც წინადადების შინაარსი საჭიროებს.

მაგალითად:

იშრიალე, დიდო გურზოლ იგუბუნე. ღედამიწავ! (ა. კალანდ.); მლუპავ. მამა? (დ. კლდ.); შენი შშობელი ღედა ვარ, შეკლო. (ი. გოგებ.).

გიგანითი ნაიღავაზ

ჩენ ვიცით, რომ ნაწილავი არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე ბეგრა ან ბეგრათეომპლექსი, რომელიც დაერთვის წინადადების რომელიმე წევრს ან მთელ წინადადებას (შეიძლება დაერთოს დამსმარე სიტყვასაც...) და უცვლის მას მნიშვნელობას რაიმე თვალსაზრისით.

ღმერქითის მიხედვით საწილაკები მრავალუფეროვანია (კიოხვითი, უარყოფითი (უკუჭქმითი). სიტყვასიღებითი. გაძლიერებითი. განუ-საზღვრელობითი...იხ. ქართული ენა, ნაწილი მეოთხე, გვ. 54-62). მათ შორისაა მიგებითი ნაწილაკებიც. რომელებიც გამოხატავენ დადას-ტურებას ან უარყოფას. ამის მიხედვით მიგებითი ნაწილაკებიც ორი სახისა არსებობს:

ა) დადასტურებითი: პო, ხო, კი, დიახ

და ბ) უარყოფითი: არა, ვერა.

დადასტურებით ნაწილაკთაგან დაახ მორიდებულ საუბარში იხ-მარება. პო, ხო - ფამილარულია (მეტისმეტად შინაურული, მოურიდე-ბელი). კა - შედარებით ნეიტრალური.

მიგებითი ნაწილაკები საუბრისას მოკლედ გადმოგვცემენ პასუხს. რომელიც ადასტურებს ან უარყოფს დასმულ კონტენტს (კიოხვის შინა-არსს):

- ეს შენი დაწერილია? - მეოთხა დირუქტორშა.
- დიახ. - ვეკასუხე ცოტა შემქრთალმა (აკაკი);
- შენ კიდევ სტუდიაში მუშაობ?
- პო. (გ. ფანჯ.);
- პატრონი არავინ ჩამოგყვათ?
- არა. (ნ. ლომ.);
- რასაც ფრთხი არა აქვს, ვერ გაფრინდება?
- ვერა. (აკაკი).

მიგებითი ნაწილაკები გამოიყენება არა მხრილიდ დასმული კიოხ-ვის პასუხად. არამედ ნათესავის გასაძლიერებლად ან მასთან და-საჰირისპირებლად:

- ბოლიში მოხხადე...
- ბოლიშს იმით მოვიხდი. რომ მე მაგას შეგირდად მივებარები, დობლ, შეგირდად (ილია);
- მიმატოვე და...
- არა, არა... მიგატოვე კი არა... ვახშამი დაგიმზადე (შ. არაგვ.);
- ოპ, რა ავი რამ ყოფილა!
- არა, ავი კი არა, ძალიან გულეჭოლია... (შ. არაგვ.).

პუნქტუაციის საკითხები: მიგებითი ნაწილაკები. ჩვეუ-ლებრივ, წინადადების თავში გვხვდება. ნაკლებად - შუაში ან ბო-

ლილიშვილი. ცალკე ნასმირ ას თავკიდურ პირზეცამაში მდგრად მიძებით ნაწილაკთან შეიძლება შეგვსედეს მძიმეც და ძახილის ნიშანი:

- აქაური ხარ?
- დიახ, დიახ, მამა-პაპით აქაური მაცხოვრებელი გახლავარო (ვაჟა);

- ზოოპარკში მიგყავთ?
- არა, ამხანაგს უნდა მიუუკუანო (რ. ინან.);
- გაიგონეთ, რაც გითხარით? დაიხსომეთ?
- დიახ, ბატონო, დიახ!

წინადაღების შეუში მოქუცული მიგებითი ნაწილაკები ორივე მხრიდან მძიმებით უნდა გამოიყოს: - უი, არა, გეთაყვანე, შენ თოთონა ნახე (იღლია);

წინადაღების ბოლოში მდგრად მიგებით ნაწილაკს წინ მძიმე სკირდება, შემდეგ - ძახილის ან წინადაღების შინაარსის შესაბამისი სხვა სასერიო ნიშანი:

- ი, ან პურის ჭამა არ გინდა, ან ცოტა დასუენძა?!
- არ მინდა, არა! (რ. ინან.). შედრ.:
- პურის ჭამა არ გინდა, არა?
- კი, ნამდვილად არ მინდა, არა.

თუ მიგებით ნაწილაკს, დიალოგში გამოყენებულს, მოსდევს ავტორისეული რემარკა (უთხრა, მიუგო, უპასუხა მან...), იგი, მძიმესა ან ძახილის ნიშანთან ერთად, ტირესაც საჭიროებს:

- წავიდა დედაშენი? - იკითხა გოგიას მამამ.
- ჰო, წავიდა, - მიუგო გოგიამ (რ. ინან.);
- აი, იქ დაუდეთ მუთაქაო! - საწოლის თავისექნ გაიშვირა ხელი მამიდამ.
- არა, ბანზეო, - იძახდა ვანო (რ. ინან.);
- სახლში უცხო ხომ არავინ არის?
- არა! - უპასუხა დავითმა (გ. ფანჯ.).

როგორც ცნობილია, შორისლეგული გადმოგეცემს სსვადასხევა სახის გრძნობასა და ემოციას. იგი არ წარმოადგენს წინადაღების უშეალო ნაწილს. ყოველთვის განკურძოებით დგას და მძიმით ან ძახილის ნიშითაა გამოყოფილი მისგან.

შორისლეგულები ძალიან მრიავალიეროვანია. მაგალითები:

პატ. დასრულდა შენი ციმციმი და მწეხარების ბურუსსა შევალ (ა. კალანდ.); ო. რა ბეჭედია. რა გულცივი კაცის ბუნება (ხ. სამად.); აუქ. შეადლე წამოსულა. ავდგეთ ჩეარა! (რ. ინან.); გაი. რომ ცუდი ბეჭრია. პოვნა ძნელია კარგისა (ვაკა); უკა! მომბეზრდა ადამიანს კურდღლივით ცხოვრება (მ. ლებან.); ექ. წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩენი ბავშვობა და სილამაზე (ლ. ასათ.); ტუკი! საზიზღრობას ჩახავთ! (მ. ლებან.); აუ. აფრინდა გუნდი ყორანთა. გაი. ვის გულმკრდს დაულეოს ყორანი? (ა. კალანდ.); უკ. რატომ თავი არ მომიკვდება, რომ თქენ გერე გაწვალებთ! (რ. ინან.); გაიმე. ძმაო, ბეჭელ სუკვილმა მოგსპო, გამოქ! (ილია); ეუკ. რას ამბობ, მამა?! (ო. ოსუელ.); პა, პა, - ჩაიცინა და თან ბალახში იყურებოდა (ო. ჭილ.); პა, პა, პა... ჩენ უკავ შევრიგდით (გ. რობაქ.); ახ, მოებო ამწვანებულო, როდისდა გნახოთ თვალითა? (ვაკა); ერთხა! - შესძახა იმან, - ურთახა! რა დავარღნილო მე მახაე?!! (დ. კლდ.)...

წარმოდგენილ მაგალითებში შორისლეგულები ბეკრათკომპლექსებია. რომლებიც ამა თუ იმ გრძნობის გამოძახილს წარმოადგენენ.

შორისლეგულით შეიძლება გადმოიცეს მოუბრის ნება-სურვილი; ამ შემთხვევაში იგი ერთგვარი მიმართუა თანამოსაუბრისადმი. რომ მან შეასრულის ესა თუ ის მოქმედება. მაგალითად:

სსსუ. გაჩუმდი, დობილო, - უთხრა პირუელმა (ვაკა); სუ. დაიცალდ! (ვაკა); არიქა, ბიჭო, ვიჩქაროთ (რ. ერისთ.); არიქათ, ბიჭებო, მიჟელელეთ! - დაიღრიალა გულგახეთქილმა (თ. რაზიქ.); ჩუ-თქვა. ჩუ. შე უბედურო! (დ. კლდ.)...

შორისლეგულის მნიშვნელობით გამოიყენება მისალმების, გამოთხვევების. მომღვდიშებისა თუ მაღლობის გამომხატველი სიტყვები (გამარჯვობა, მშევადობით, ხახვამდის, უკაცრავად. გმაღლობთ და ა.შ.):

გამარჯობა. ჩემით ობილის-ქადაქით. დაქარგული შექით შეკილი მოვე-
ლი (იუთის გურია): გამარჯობათ. ძმები. გამარჯობათ! (თ. რაზი):
შშეიღობით. ჩემხო. თვალში ცრემლით გახებებით თავსა... (იღია);
უპაცრაგად. ბატონი კაცია. ასე კადნიურად რომ მოგმართეთ! (შ.
არაგვ.)...

ზოგიერთი შორისდებული მეტყველების სხვა ნაწილებისგანაა მი-
ღებული. მაგრამ მათ დაქარგული აქვთ პირავანდელი მნიშვნელობა.
ასეთებია: ქა (ქალი). ბიჭის. დედა და სხვა. მაგალითად:

- დედა, დედა! რა ქალია შენი და... (ე. ნინ.); ბიჭის!... შენ აღა-
რა პეტრობ! (იღია); ბიჭის! ბიჭის! ყორიალ, მეგობარო, ყორიალ! შენც
კარგი გალობა გცოლნია (ვაჟა); ქა, უულს ისე კი განდობს? (იღია);
ქა. რა ქსელი. როს ქსელი... უნახოთ, რასა ქსოვენ (თ. რაზი)....

შორისდებულად მიიჩნევენ ცხოველთა და ფრინველთა მოსახმობ
(დასაძახებელ) თუ გასაწყრომ ბერიათეომპლუქსებსაც: აჩუ, პაცუ
(აცე), აქშა (ქშა), აცხა და ა.შ. მაგალითად:

აჩუ, აჩუ. ცხენო, საით გაგაჟენო... პაცუ, ვირო. ნუ მოკვდები,
გაზაფხულზე იონჯა მოუა და გავმევო (აჩდ.); აქშა, აქშა, კოკუავებო.
ქორიმც ჩაგინადირებსა (ვაჟა); ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ! - იძახდა ბებია
ეუემია და თან ითვლიდა: ეს ქოჩორა, ეს ნაცარა, ეს ულტიტველა,
ეს დაბუა... (რ. იხა.)

და გიმა ს თ ვ რ თ : ნებისმიერი შორისდებული. რა ემოციის
გამომხატველიც უნდა იყოს და რა წარმომავლობაც უნდა ქვრიდეს
მას, მძიმით ან ძახილის ნიშნით უნდა იქნეს გამოყოფილი.

შენიშვნა: ჩეენ ვიცით. რომ ქართულზე ნებისმიერი მეტყვე-
ლების ნაწილი. მათ რიცხვში - შორისდებულიც. შეიძლება
გამოყენებული იქნეს სახელის უუნქცით. შდრ.: გაპშე. რა
ძელი იქნება მაშინ სიცოცხლე ჩემთვინა (ვაჟა); და: გაპშე
მწუხარების გამომხატველი შორისდებული.

პირველ წინადაღებაში გაპშე წინადაღების წევრი არ
არის, შორისდებულია და სასევნი ნიშნითაა გამოყოფილი. მე-
ორე წინადაღებაში კი იგი არსებითი სახელის მნიშვნელობი-
თაა ნახმარი (რა არის მწუხარების გამომატველი შორის-
დებული? - ვამე) და ქვეამდებარის ფუნქციას ასრულებს. ამ

როული წინადაღება

როულია წინადაღება, რომელიც შედგება ორი ან მეტი მარტივი ან შერწყმული წინადაღებისაგან. ეს წინადაღებები შეიძლება გაერთიანებული იუვნენ უკავშიროდ (მხოლოდ პაუზით) და სხვადასხვა სახის კავშირითაც. გავეცნოთ მაგალითებს:

თავს დამუშავს შევი ყორანი, მოუშენებენ სეავები (ვაუა);

ეს როული წინადაღება შედგება ორი მარტივი წინადაღებისაგან. პირველი მარტივი გავრცობილია, მეორე - მარტივი გაუვრცობელი.

მწყვეტობა დანახა შემინტებული გურჯალელი, რომელსაც ყურები დაუცემოთა და გარბოლა ბუჩქბისაგრძნ (ა. ყაზბ.).

ეს როული წინადაღებაც ორი კომპონენტისაგან შედგება: პირველი მარტივი გავრცობილია. მეორე კი - შემასმენლების მიხედვით შერწყმული.

ნირჩება კვლავ იცინოდა უხმოდ, თავისთვის, სხვათაგან დაუნახვად, მაგრამ მე დავინახე ეს სიკილი და შეკრცხვი (თ. ბიბილ.).

ამ როულ წინადაღებაში ორი შერწყმული წინადაღება გაერთიანებული: პირველი შერწყმულია ვითარების გარემოებების მიხედვით (იცინ ოდი უხმოდ, თავისთვის, ...დაუნახვად), მეორე კი - შემასმენლების მიხედვით (მე დავინახე და შეკრცხვი).

დაჭრა შროშანი, გახმა გარდა, დამდაბლუდა დაფრნა (ა. კალანდ.).

ეს როული წინადაღება სამი მარტივი წინადაღებისაგან შედგება. სამივე გაურცობელია.

ოსებს ძალიან გაუხარდათ ნუგზარის დანაწევა, მაგრამ მისგან ისე ცოტა ხალხით მოსველა მაყურებლებს მეტად აგვირებდა; რაღაც ნუგზარიან გროვდა მოულებსაც მოულოდნენ (ა. ყაზბ.).

ამ როულ წინადაღებაშიც სამი მარტივი წინადაღებაა, სამივე გაურცობელი.

სუბორმა კალვ გადაშალა რვეული და ერთბაშად წამოიხახა, როდესაც ის ძღვილამდე მოვიდა, საღაც თუმნიანი ჩასდო (ა. ყაზბ.).

ამ როგორი წინადაღებითაც; სამი კომისიუნტერია გაერთიანებული: პირველი შერწყმულია შემასმენლების მიხედვით (ს ვი მო ნ მ ა გადა-შელა... და... წამოიძახა), მეორე (როდესაც იმ ადგილამდე მოვიდა) და მესამე (სადაც თუმნიანი ჩასდო) - მარტივი გავრცობილი.

შე გოცოლი, რომ აქაურობაში უწემოდაც თავისი გზით წაგიდოდა ცხოვრება, რადგანც აქ არავის ვჭირდებოდი და სხვებისგანაც არაფერი მჰერდებოდა (თ. ბიბილი).

ეს როგორი წინადაღება ოთხ მარტივ წინადაღებას აერთიანებს. ამათგან პირველი გაუკრცობელია. დანარჩენები - მარტივი გავრცო-ბილი.

ჩაბნელდებიან ხევები, გამნიდება მეხთა ტკრუალი, პირზოლდებიან ხეები, კლდეებზედ დაიკუცება სეავთა და არწივთ ფრთები (ვაჟა).

ამ როგორი წინადაღების შემადგენლობაშია ოთხი წინადაღება. რომელთაგან სამი მარტივია (ამათგან პირველი და მესამე გაუკრ-ცობელია, მეორე - გავრცობილი). მეოთხე შერწყმულია სუბსტანტიურ განსაზღვრებათა მიხედვით (სეავთა და არწივთ ფრთები).

კიდევ ბევრს ლაპარაკობდა ონისე, რომელიც თანდათან სუსტდე-ბოდა და წენარდებოდა, მაგრამ იმას ყურს არავინ უგდებდა, რად-განაც საშიშ მდგომარეობაში იუგნენ და იმ ადგილისაგნ მისიწა-ფოდნენ, სადაც გონია დანარჩენი ხალხთ გამაგრებულებული (ა. ყაზბ.).

ამ ხუთი წინადაღებისაგან შემდგარ როგორ წინადაღებაში სამი მარტივი გავრცობილია (კიდევ ბევრს ლაპარაკობდა ონისე; მაგრამ იმას ყურს არავინ უგდებდა; სადაც გონია დანარჩენი ხალხთ გამა-გრებულიყო). ხოლო ორი - შერწყმული, ორივე შემასმენლების მიხედ-ვით (რომელიც ... სუსტდებოდა და წენარდებოდა; ... საშიშ მდგო-მარეობაში იუგნენ და... მისიწაფოდნენ).

გარშემო ხოველი ხმაურობდა, უკრავდა დოლი, ტყაურობდა დო-ლიპიტო, ზუზუნებდა ჭურით, ჭყობდა ზურნა, სცემდა დაჭი, ნაღარა, უხმობდა ბუკი (თ. ბიბილი).

ეს როგორი წინადაღება აერთიანებს. შეიდ წინადაღებას. მათგან პირველი მარტივი გავრცობილია, მეორე. მესამე. მეოთხე. მეხუთე და მეშვიდე - მარტივი გაუკრცობელი, მეექვსე კი შერწყმულია ქვემდე-ბირეების მიხედვით (ს ცემდა დაჭი, ნაღარა).

მიუსტავად იმისა. რომ როგორც წინადაღებებში გაერთიანებული მარტივი თუ შემცირებული წინადაღებები ხელირი დასრულებული ერთეულებია და შესაძლოა არსებობდნენ დამოუკიდებლადაც. როგორც წინადაღება არ არის კომპონენტი წინადაღებათა ფინანსური, მექანიკური გაურთიანება. იგი როგორც შინაარსობრივად, ისე ინტონაციურად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს.

იმის გათვალისწინებით, თუ როგორიც ურთიერთობა როგორც შემადგენელი წინადაღებებისა, როგორც წინადაღება ორი სახისა ანსებობს: როგორც თანწყობილი და როგორც ჭრიწყობილი. იმისათვის, რომ გავარკვით, თუ რა განსხვავებაა მათ შორის, შევუდაროთ ერთმანეთს ორი წინადაღება:

ა) შეგირდებმა გადაიხარხარეს, მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა (აკაკი). და: ბ) შეგირდებმა გადაიხარხარეს, როდესაც მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა.

პირველ როგორც წინადაღებაში (ა) შემავალი წინადაღებები ერთმანეთის მიმართ სრულიად თანასწორია და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც შეუძლიათ არსებობა, მეორეში კი (ბ) სხვაგვარი ვითარებაა: აქცი ორი წინადაღებაა, მაგრამ პირველი ნაწილი როგორც წინადაღებისა (შეგირდებმა გადაიხარხარეს) უფრო თავისთვალია, დამოუკიდებლი, მეორე ნაწილი (როდესაც მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა) ცალკე გაუგებარია. იგი პირველზე - მთავარზე - არის დამოუკიდებული - აზესტებს მას დროის თვალსაზრისით. სხვა მაგალითი:

(ა) ჩამოგდის დაბლა ფოთოლი, იძრცვება მთელი ბუნება (ვაჟა); და: (ბ) რაღაც ჩამოგდის დაბლა ფოთოლი, იძრცვება მთელი ბუნება.

ამ შემთხვევაშიც პირველ როგორც წინადაღებაში შემავალი წინადაღებები (ა) შეიძლება ეიხმაროთ ცალ-ცალკეც, როგორც დამოუკიდებლები (პირველი, კომპონენტის შემდეგ მძიმის ნაცვლად დავსვათ წერტილი), მეორე (ბ) როგორც წინადაღებაში კი თავისთვალი მნიშვნელობისაა, დამოუკიდებელია მეორე კომპონენტი - იძრცვება მთელი ბუნება, ხოლო მისი პირველი ნაწილი კი (რაღაც ან ჩამოგდის-ფოთოლი) - მასზე დამოუკიდებული (მოუთითებს მიზეზზე).

ისეთ როგორც წინადაღებას, რომელიც შედგება ერთმანეთის მიმართ თანასწორი წინადაღებებისაგან, ეწოდება როგორც თანწყობილი წინა-

დადება. როგორი. თანწევისილი წინადადებებია: შეკირდებისა გაუმონხარსარეს. ჩასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა (აკაკი). ჩამოყდის დაბლა ფოთოლი, იძრცვება მოქლი ბუნება (ვაჟა).

ისეთ როგორ წინადადებას. რომელშიც ერთი წინადადება დამოკიდებულია მეორეზე. ერთი წინადადება ექვემდებარება მეორე წინადადებას. როგორი ქვეწყობილი წინადადება ეწოდება. როგორი ქვეწყობილი წინადადებებია: შეგირდებმა გადაიხარისხეს. როდესაც მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა: რადგან ჩამოყდის დაბლა ფოთოლი, იძრცვება მოქლი ბუნება.

როგორი ქვეწყობილის შემადგენელი იმ წინადადებას, რომელიც თავისთავადია, დამოუკიდებელი. მთავარი წინადადება პეტა, ხოლო იმას, რომელიც მას ექვემდებარება. - დამოკიდებული (დაქვემდებარებული).

ამრიგად, როგორ წინადადებაში შემავალ კომპონენტთა გაურთონება შესაძლებელია ორი გზით: თანწყობით ან ქვეწყობით. თანწყობა გულისხმობს ისეთ წინადადებათა დაკავშირებას, რომლებიც ერთმანეთის მიმართ თანასწორია, დამოუკიდებელი (წინადადება როგორი თანწყობილია), ხოლო ქვეწყობა ისეთ წინადადებათა შეეკავშირებაა. რომლებიც არ არიან თანასწორი ერთმანეთის მიმართ და რომელთაგანაც ერთი ხსნის მეორეს (წინადადება როგორი ქვეწყობილია).

შენიშვნა: თანწყობას ბერძნულად პარატაქსი ეწოდება.
ქვეწყობას - პიპოტაქსი.

შეიძლება როგორ წინადადებაში ერთდროულად გვქონდეს თანწყობაცა და ქვეწყობაც. ასეთი როგორი წინადადება. ცხადია, სამი ან სამზე მეტი წინადადებისაგან უნდა იყოს შემდგარი. მაგალითად: ელგუჯამ ქალი წაიუვანა, გაგი კა მასამეთას გაუძლევა სასტუმროში, სადაც უნდღოდა სტუმრისათვის თავი მოუქონა (ა. ყაზბ.).

ამ როგორ წინადადებაში სამი წინადადებაა გაურთონებული: პირველი და მეორე - თანწყობით, მესამე წინადადება კი მომართება მეორეს და მასზეა დამოკიდებული.

როგორი თანწყობილი წინადაღების შემადგენელ თანასწორ წინადაღებებს შორის სხვადასხვა სახის აზრობრივი მიმართება არსებობს. როგორი თანწყობილის კომპონენტი წინადაღებათა ზმნა-შემასმენლებით შეიძლება გაღმოიცეს ერთდროული მოვლენები. თანამიმდევრული მოვლენები, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობა ან დაპირისპირება.

წარმოებიდება:

ა) მოვლენათა ერთდროულობა:

აქეთ ტახტზე გულაღმა იწვა ლუარსაბი, იქით ტახტზე კიდევ ერთი დარჯვანი წინდასა ქსოვდა (ილია); სიონში მრევლის ტევა არ იყო. გარეთ გაღლობდნენ მწირი ბერები (ნ. სამად.); უღმერთოდ ცოდა და ჯანდი არ ჩქარობდა ხევების მიტოვებას (ო. ოოსელ.); ბერი მონასტრის ბალახსა სცელავს და დაისხები მწრიუებად ჩადიან (ნ. სამად.); ჟელელს თრიმლის ტოტი ამკობს, ზედ ოცნება აბლაბულობს (ზ. ლებან.); თავგამოდებით გაღლობდა შაშვი და სხივთა მოოვარს ეთხოვთ მზეს ნაძიეს წვერი (ა. კალანდ.).

ბ) მოვლენათა თანამიმდევრობა:

ცა აირია, დაბნელდა უცებ და წამოვიდა სეტყვა შეუილით (ილია); კარი გაიღო და შემოვიდა მარიამი (აკაკი); მზე გაანათებს მაღალ მწევრუალებს. აუღურტულდება ფშანში ფრინველი (ლ. ასათ.); ავარდა მიწა მზეში და დაეშვა ზეცა ქვევით (მ. ლებან.); გავა მკაცრი ზამთარი და გაზაფხული დადგება მაღლე (ლ. ასათ.); გათავდა საღილი, სუფრა ააღავეს. ფარეშებმა ხელი დაბანინეს ისევ ყველას და წაეიდ-წამოვიდნენ (აკაკი).

გ) მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობა (მოვლენათა თანამიმდევრობასთან. ერთად):

დაიგრუხენება თბილისის ირგვლივ და წამოვიდა წევიძა შურდულით (ლ. ასათ.); მოადგა მინდორ-ველს აპრილი ცხენდაცხენ და დაცხრნენ ავდორები (მ. ლებან.); გარდამოვიდა ჩემზე ნათელი და მე ვმაღლდები ზეცას კარამდე (ა. კალანდ.); გახურებულმა ნიავამა დაგდებრა. ვერხეის ფოთლებმა თრთოლა დაიწყეს (ვაჟა); მზე ჩადის, მწერი ერცულდება ჩქარა (მ. ლებან.); წევიძა, სველია ფიჩები, გირჩები შიშინებენ (მ. ლებან.).

დ) მოუკლესათა და პირის პირება:

ხალხის ძირის იყო გაშლილი, მომცერდები კი აღგნენ მაღლობ აღვილას (ი. გრიშ.); ახლა მე უკვე გავრმოდი. მაგრამ ისევ მისი მძიმე ტორი დამაწერა მხარზე და მიწაზე დამცა (თ. ბიბილ.); მეთაური გშვიდად აძლევდა ტყებს ჭუთხებს. მაგრამ ეს სიმშეიღე მოწვენებითი იყო (ო. იოსელ.); შენ გაჯავრებული ხარ, მაგრამ მე გული ძალიან შემტკიცა შენოვისა (ილია); მათი როცხე ერთი კაცით იზრდებოდა, ხოლო მოსალოდნელი უბედურება მცირდებოდა (ო. იოსელ.); იმპერატორთა მაღალი ქარით იმპერატორზე იქ აღარ ვლენან, მაგრამ გალობენ კულავ ანგელოსნი და დღემარადის შეფრთვინვენ ზენას (ა. კალანდ.).

როგორი თანწყობილი წინადაღების შემაღებული თანასწორი წინადაღებები ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდნენ უკავშიროდაც და კავშირთაც. კავშირთაგან ამ სახის როგორ წინადაღებაში შეოლოდ მაერთებელი კავშირები გვხვდება (შერწყმული წინადაღების მსგავსად). მაერთებელთაგან კი უურო ხშირად გამოიყენება მაჯგუფებული, მაცალევებელი და მაპირისპირებელი კავშირები.

ა) მაჯგუფებელ კავშირი თანწყობილი წინადაღებები

თუ წინადაღება წართქმითია, მაჯგუფებელი კავშირებიდან გვხვდება და, უარყოფითი (უკუთქმითი) წინადაღების შემთხვევაში კი - კომპონენტ წინადაღებებში კავშირის უწესკით გამეორებული უარყოფითი ნაწილაკები: არც - არც, აღარც - აღარც, ვერც - ვერც, ვეღარც - ვეღარც, ნერც - ნერც, ნუღარც - ნუღარც.

მაგალითები:

მზე მაღალ მოებში ამოდის და მოდის ქარი ზღვებიდან (პ. იაშ.); თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა და ტესტებში ქარიშხლები ძლაოდნენ (ა. კალანდ.); არც წალი ერუვა მაგ დალოცებილს, არც ცუცხლი ეკიდება (ილია); არც ერდოზე ორბი იჯდა, არც მოქროდნენ არწივები (გ. ლეონ.); არც ჩოქქოლი ისმის, არც... ხალხი მოჩანს (მ. ჯავახ.); ზღვას ჯრუც სოფელი შეედრება, ჯრუც ქალაქი გაუზოლდება (ლ. ქაჩი.); ნურც იმათი ძალი იყენებს ჩვენს ქუჩაში, ნურც იმათი მამალი იყოლებს ამ ჩვენს უბანში (დ. შენგელ.).

გ) მაცალკევებელეკავშირიანი როული თანწყალისი წინადაღებები

როულ თანწყობილ წინადაღებებში მაცალკევებელი კავშირები, ჩვეულებრივ, მეორდება: ან - ან, ან - ანდა, ან - ან კიდევ, ან - ან არადა, ხან - ხან, ხან - ხან კიდევ; შესაძლოა აგრეთვე გინდ - გინდ, თუნდ - თუნდ. მაგალითად:

ან ბრაზიანმა ძალობმა არ დაგელიჯოს. ან გველმა არ დაგებინოს (აკაკი); ან ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ან ტელი გრძელდებოდა (თ. ბიბილ.); ხან ის შემომხედავდა მე, ხან მე იმას შევხედავდი (ილია); ხან წითელფეხება კალია დაასკუპდებოდა, ხან შეშინებული ჭიანჭველა გადაირტენდა მის... ზედაპირზე (თ. ჭილ.); ხან წვიმდა, ხან თოვდა (თ. რაზიკ.).

გ) მაპირისპირებელეკავშირიანი როული თანწყობილი წინადაღებები

მაპირისპირებელ კავშირთაგან (მაგრამ, ხოლო, კი) მაგრამ და ხოლო იწყებენ თანწყობილი წინადაღების მეორე (ან მომდევნო) ნაწილს და აპირისპირებენ მას წინამავალთან, კი არასოდეს არ იწყებს წინადაღებას: „ის იმ სიტყვის (თუ სიტყვების) შემდეგ იკავებს აღგილს, რომელზედაც (რომლებზედაც) მოღის ლოგიური მახვილი“ (ლ. კვაჭაძე). მაგალითები:

არწივმა ბევრი იკინა კოდალას ახირებაზე. მაგრამ ფრინველთ ითაკილეს მეფის შეურაცხყოფა (ვაჟა); მხედრებმა ნაიარეს წემი სახლის წინ, მაგრამ ცხენებს ფეხი არ შეუჩრებიათ (თ. ბიბილ.); უცელამ თვალით იარალი მოძებნა. მაგრამ ხელი არავის უხლია (თ. იოსელი); ბორბალა მაღალი მთაა, ხოლო მყინვარი კიდევ უფრო მაღალია (ილია); ღამეს ნახევარი სოფელი კალოზე ატარებს, ხოლო მოზრდილი მამაკაცი კვლავ ძნას ეზიდებიან (მ. ჯავახ.); კოდალა დღე გაპეიოდა და მოელ დღეს ახმაურებდა, ხოლო დამდამობით ბუეწვენდა მის მაგივრობას (ვაჟა); მარტო პირუტყვი იყურება დაბლა. კაცმა კი ცას უნდა უყუროს (ილია); ისინი დილაობით ივლიან. შენ კი საღამოობით მოდი ხოლმე (ილია); კიბარისები მისტიროდნენ დაქარგულ პოეტს, დაუცხრომელი სამრეკლო კი რეკდა და რეკდა (ხ. სამად.).

შენიშვნა: როგორიცაც ცხადოლია. ჩატარებულ კავშირებში შედის მაივებულებიც: ანუ და ესე იგი (ე.ი.). ეს კავშირები მართლაც გამოიყენება როგორი წინადაღების ერთი ნაწილის მეორესთან მისაერთებლად. მაგრამ ამ კავშირებით შეკრიტებულ წინადაღებას, ფაქტობრივად, დანართი წინადაღების) სახე აქვს: დახართის მსგავსად. აზუსტებს ან განმარტავს წინა წინადაღების აზრს: შენ იყავ მაშინ გასათხოვარი. ესე იგი შენ ჯერ გაყიდული არ იყავ (ილია). ამგვარ წინადაღებას პირობით-განმარტებით წინადაღებად თვლიან (ლ. კვაჭაძე).

როგორ თანწყობილ წინადაღებაში შემავალ კომპონენტთა შეურთება შეიძლება უკავშიროდაც:

ჩვენს ღელებში ახლა ამოღის ფშალი. გაფურჩქვნილა ძერნა და ტირიფი, ქალები კრეულ აღრულ ეკალას, იურქეულ ახლად მოხსნული მიწის სუნი, მაღალ დამზებითი პარუელი ბარტული, ჩეროში სკუპ-სკუპით დახტიან თეთრ-თეთრი თიქნები (ლ. ასათ.); დამით ცა ქუხდა, გრგვნავდა, მოებს მოედრიქათ თავიო, ტყეს გასძიოდა ფოთოლი, ზღვა ბობოქარობს შავიო (ვაჟა).

ხშირად გვხვდება ისეთი თანწყობილი წინადაღებები. რომლებშიც კომპონენტი წინადაღებიდან ზოგი კავშირითაა გადაბმული ერთმანეთთან, ზოგი - უკავშიროდ. ამ შემთხვევაში კომპონენტთა რაოდენობა, ცხადია, ორზე მეტი უნდა იყოს. კავშირით, ჩვეულებრივ, უპანასკნელი წინადაღებებია გაერთოანებული. მაგალითად:

ასე გათავდა ეს დიდი ბრძოლა, აჯანყებულთა ამოწყდა ჯარი, მაგრამ მათ როცხვში ხუთი ათასი გამოერია ქართველიც მკედარი (აკაკი).

ჩვენ უკვე მიეკუთვნით უკრადლება იმას, რომ როგორი თანწყობილი წინადაღება იმავე - მაერთებელ - კავშირებს იყენებს, რომლებსაც შერწყმულ წინადაღებებში ვხვდებით; მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ როგორ თანწყობილ წინადაღებაში მაერთებელი კავშირები კომპონენტი წინადაღებებს აერთებენ, შერწყმულში კი - წინადაღების წევრებს. ერთგვარ წევრებს. განსაუთრებით პეგანან კრიმანეთს როგორ თანწყობილი და შემასმენლების მიხედვით შერწყმული წინადაღებები.

შევუდაროთ ერთმანეთს ორი წინადაღება:

ა) ქართველი კაცი პატარაობიდანუე იწვრონებოდა სამხედრო ხერხებში. აგარეთიშებოდა თავის საღ გორებას (ი. გრიშ.). და:

ბ) ქართველი კაცი პატარაობიდანუე იწვრონებოდა სამხედრო ხერხებში. გარჯოშიდებოდა მისი საღ გორება.

პირველი (ა) წინადაღება შერწყმულია შემასმენლების მიხედვით. რაღაც ორივე შემასმენელი დაკავშირებულია ერთსა და იმავე ქვემდებარესთან: კაცი იწვრონებოდა და ავარჯიშებოდა (კაცი); მეორე (ბ) წინადაღება კი რთული თანწყობილია, რაღაც მასში ორი კომპინენტი წინადაღებაა, რომელთაც თავ-თავისი ქვემდებარები აქვთ: კაცი... იწვრონებოდა, ვარჯიშდებოდა... გორება.

ვერსია ვასაძის გარემოებებისა და დარია თანამდებობების ვასაძე როგორ თანამდებობის მიერადება

როგორ თანწყობილ წინადაღებაში შემაგდლ წინადაღებათა ზმა-შემასმენლების ხმიად ერთი და იმავე მწეროების ფორმებია: კულას მისი ეშინოდა და კულა მას ერთობლებოდა (დ. კლდ.). როგორ შემასმენელი უწყვეტლის მწეროებისა და წარსულ დროს გადმისტუსმ.

ჩემი გულიც მაშინ ჩაშვებოდა და პირობზეც მიწაში ჩადგნდა (ვაკა). ამ შემოხვეულაში ზმა-შემასმენლები მკუთხდის მწეროების ფორმებია და ორივეთი მომავალი დროის გადმისტუსმ.

კლდია ხეს ჟაგურებს და ტაროლია ცაში გადლობს. როგორ თანწყობილის არიგე კომპინენტი აწმენის მწეროების ფორმით გადმოცემული ზმა-შემასმენლები გვაქვს და არიგე ახლანდელი დროისთვის.

შესაძლოა როგორ თანწყობილ წინადაღების ზმა-შემასმენლები სხვადასხვა მწეროების ფორმით გვიჩვრინა. მაგრამ შემთხვევათა უმრავლესობაში ისინი ერთსა და იმავე დროს გამოხატავენ. მაგალითად: ამ ჭირს გადარჩინენ, მაგრამ მწერაული მარც არ გამოხვეულა (აჯაი). ამ წინადაღებაში პირველი ზმა-შემასმენელი წაკვეტილის მწეროებისა გადმისტუსმ. მეორე - 1 თურმეობითო, მაგრამ ორიგეს წარსული დროის შემცირებულია აქვს.

ისინი აღმართ გადაცემულ თავიათ ნაცნობებს და ამ გზით იქნება რამეს გახდეს კაცი (ე. ნინ).

პირველი წინადაღების ზმა-შემასმენელი მკუთხდის მწეროებისა. მეორისა - II კულტურებითისა. მაგრამ დროის თეადსაზრისით ორიგე მომავალია.

იშვათად ზმა-შემასმენლებს შეიძლება პკონდეთ სხვადასხვა დროის შინენელობაც (გამოსახულების შესაბამისად), მაგრამ ერთი დროის ფარგლებში შევათხმების წესი ძროთადად დაკულია.

სასვენ ნიშანია ხმარებისათვის რთულ თაცეობილ ნინაღადებაზე

1. უკავშირით შეერთებისას კომპონენტი წინადადებები მძიმით (მძიმებით) გამოიყოფა ერთმანეთისაგან: მთიბავი თიბავს. მოოხელი თოხნის, მხატვარი ხატავს, პოეტი მღერის (მ. ლებან);

2. და კავშირით შეერთებულ კომპონენტებთან მძიმე არაა საჭირო. თუ რთულ თანწერიბილ წინადადებაში და კავშირის წინ ან მომდევნოდ რომელიმე სახის განკურძოება არ აღმოჩნდება. მაგალითად:

მე დაუშორდები ძეირფას პოეტებს და თან წამყვება ვაჟას კრებული (პ. იაშვილი); მაგრამ: მე დაუშორდები ძეირფას პოეტებს, ჩემდა სამწუხაროდ. და, რა თქმა უნდა, თან წამყვება ვაჟას კრებული.

ამგვარ შემთხვევებში მძიმე დაისმის და-ს წინაც და და-ს შემდეგაც.

3. მაცალებელებით კავშირების წინ მძიმეა საჭირო, მაგრამ არა პირველად სმარებულთან: პირველად ან თვითონ ეხილებოდა თვალი, ან სატრუის უბნელდებოდა გონება (ო. ჭილი); ორჯესტრში თითქოს ხან მხეცი ბრაოდა დაკოდილი, ხან კი პირველი კაცის ხმა ისმოდა (გ. რობაქი);

4. მაპირისპირებელ კავშირთაგან მხერამ-ისა და ხოლო-ს წინ, რომლებიც იწყებენ მომდევნო წინადადებას. მძიმე იწერება: მათ შემდეგ მძიმე იმ შემთხვევაში იქნება საჭირო, თუ ამ კავშირთა შემდგომ რომელიმე სახის განკურძოება ან სხვა კავშირი აღმოჩნდება. მაგალითად:

გურამი საღამომდე ელოდა კანტორაში, მაგრამ უფროსი არსად ჩანდა (გ. უანჯ.). შევუძლაროთ: გურამი საღამომდე ელოდა კანტორაში, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, უფროსი არსად ჩანდა; ან კოდევი:

გურამი საღამომდე ელოდა კანტორაში. მაგრამ, რადგან მოულოდნელი საქმე გამოსჩენოდა, უფროსი არსად ჩანდა.

მაპირისპირებელი კავშირი კი არასოდეს არ იწყებს წინადადებას. ამიტომ მის წინ მძიმე არ დაისმის. მძიმე არც კა-ს შემდეგ არ არის საჭირო, თუ მას არ მოსდევეს განკურძოებული სიტყვები ან გამოოქმები. მაგალითად:

[ის] ჯერ თვალითაც არავის ენახა, მისი სახელი და გვარი კი მთელია კურსმა იცოდა (გ. უანჯ.). შედრ.:

ის ჯერ თვალითაც არავის ქასა. შესა სახელი და გვარი კ. როგორც მოსალოდნელი ფუ, მთელმა კურსმა იკოდა.

რთული კვანძობილი თეატრება

როგორც აღვნიშნეთ. განსხვავებით რთული თანწეობილი წინადაღებისაგან. რომელიც შედგება ერთმანეთის მიმართ თანასწორი წინადაღებისაგან, რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში გვაქვს მთავარი და მასზე დამოკიდებული წინადაღება. მთავარი წინადაღება „წამყვანია“, „გაბატონებული“, ხოლო დამოკიდებული - დაქვემდებარებული.

წარმოგიდგენთ რთულ ქვეწყობილ წინადაღებას, რომლებიც ორი კომპონენტისაგან შედგება, რომელთაგან ერთი მთავარია, აგებულებით მარტივი ან შერწყმული, მეორე - დამოკიდებული, ასევე მარტივი ან შერწყმული (რამდენიმედამოკიდებულთან რთულ ქვეწყობილ წინადაღებებს ცალკე განვიხილავთ).

ტემილი ისაა მუდამა, რაც იშოგება ძირისადა (ვაჟა).

მთავარი პირველი წინადაღებაა (ტემილი ისაა მუდამა), მეორე დამოკიდებულია. ორივე კომპონენტი მარტივი გაერცობილია.

გასაც რომ ქავანა უკარის, სიცოცხლე მისოვის ომია (ვაჟა);

ამ წინადაღებაში მთავარი მეორე კომპონენტია (სიცოცხლე მისოვის ომია). ორივე კომპიონენტი ამ შემთხვევაშიც მარტივი გაერცობილია.

გარმოდნების ისეუ; აქტოის წევრუბი თაკიასო წისძღვა შეივალებამაც თელი-დნებს). შეერთება უკავშიროა. პირულ წიხადადებას. რომელიც, შერ-წერწელია (ხოლ ერისა და შავი ჭირის დროს...). ვითა-რების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მოსხდეს (რომ თა-ვიანთ მკვდრებს თუ ავადმყოფებს ბეჭის ანბარი ტრიკებ-დნენ - შერწერწელია პირდაპირი დამატებების მიხედვით). ე.ი. ეს ნაწი-ლი ზერთული წინადადებისა როული ქვეწყიბილია. მეორე მთავარ წინადადებასაც აქვს თავისი დამოკიდებული (რომ ქალაქში დარჩენი-ლივნენ და მიცვალებულთათვის პატრონობა გაეწიათ). ეს პირდაპირ-დამატებით დამოკიდებულია, აგებულებით - შერწერწელი (დარჩენილი-ყვნენ. პატრონობა გაეწიათ). მაშასადამე, ეს ნაწილიც როული ქვე-წყიბილია.

ამ ზერთული წინადადების სტრუქტურა კარგად ჩანს სქემაში:



სასველი ნიშვნის ხარებისათვის ზარმალ ნიაზადებაში

ზერთულ წინადადებაში, რომელიც თანწყობის გზით გაურთი-ანებული რამდენიმე მთავარისა და რამდენიმე მათზე დაქვემდებარე-ბული წინადადებით არის ხოლმე შედგენილი. შესაძლოა აღმოჩნდეს სხვადასხვა სახის განცერდობული სიტყვები და გამოთქმებიც. იმი-სათვის, რომ სასვენი ნიშვნები სწორად დავსვათ, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: სადაც მთავრდება ან სადაც იწყება ზერთულის შემად-გენელი რომელიმე კომპონენტი წინადადება, იქ სასვენი ნიშვნი უნდა დაისვას, იმის მიუხედავად, რა სიტყვა აღმოჩნდება მთავარი ან დამო-კიდებული წინადადების წინ ან მიმდევნოდ. ეს წესი. ცხადია,

ვრცელდება განკურითობების სიტყვებშია და გამოითქმება სიკერძოების იმისა. განკურითობების სიტყვა ან გამოითქმა წისადადების თავშია. შეუაში თუ ბოლოში, საკიროა მისი „იზოლირება“. მისი გამოყოფა დანარჩენი სიტყვებისაგან სასუენი ნიშნებით (ძირითადად მიმით, აგრეთვე ტირთი ან - საკიროების შემთხვევაში - ორწერტკოლოთაც).

გავაანალიზოთ ზერთული წინადადება ამ თვალსაზრისით: გავარცვით. სად და რატომა დასმული სასუენი ნიშნები:

რომ შეშინებული იყო ადაური, ამ სიტყვებს, კადა. კულარი იტყოდა და ქისტის მონა გახდებოდა საიქოში. მაგრამ, რაღგანაც. საბედნიეროდ. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ გატყდა, გამარჯვება. რასაკვირველია. დარჩა მას, თავისუფალ ხევსურს.

ამ შერწყული სახის შერწყმულ წინადადებაში თანწყობის გზით ორი წინადადებაა გაერთიანებული: პირველი - ამ სიტყვებს... კულარი იტყოდა და ქისტის მონა გახდებოდა საიქოში - შერწყმულია შემასმენლების მიხედვით. მას მოსდევს მაერთებელი (კერძოდ, მაპირისპირებელი) კავშირი მაგრამ, რომელმაც უნდა დააკავშიროს იგი თანწყობილი წინადადების მეორე კომპონენტთან - გამარჯვება... დარჩა მას - მარტივ გაუურცობელ წინადადებასთან.

თანწყობილი წინადადების პირველ კომპონენტს წინ უსწრებს მასზე დაქევმდებარებული პირობითი წინადადება - რომ შეშინებული ზეშინებური მის შემდეგ, დამოკიდებულისა და მთავარის საზღვარზე. მძიმეა დასმული. მძიმე წერია მაგრამ კავშირის წინაც (რაღვან იქ დამთავრდა | მთავარი წინადადება) და მის შემდეგაც. რაღვან მაგრამ კავშირს მეორე კავშირი მოსდევს, რომელიც სხვა დამოკიდებულ წინადადებას იწყებს - რაღვანაც... უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ გატყდა - მიზეზის გარემოებით დამოკიდებულს. როგორც ვხედავთ, ეს მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ჩასმულია მაგრამ კავშირსა და თანწყობილის მეორე კომპონენტს. მეორე მთავარ წინადადებას შორის, რომელსაც ის ექვემდებარება. ამიტომ სტირდება მას მძიმები ორივე მხრიდან.

ზერთულ წინადადებაში სამი ჩართული გვაქვს. ერთი - ცხადია - თანწყობილის პირველ წინადადებაშია. მეორე - რასაკვირველია -

მეტორე წითელადუქმაში ნიართებით არის დასტურილებული წითელადუქმაში;

- საბეღლოროდ. ხამიჯი ნიართების მძიმექვები აქვს ოროვე მხრიდან. თასწეობილის მეტორე წინადადებას. მის ირიბ დამატებას. მოსდევეს დაბართო - თავისუფალ ხევსურს, რომლის წინაც მძიმეა დასმული. ბოლოს კი - წინადადების შინაარსის შესატერისი ნიშანი - წერტილი.

პირლაპირი და ირიბი ნათევამი

თუ ნათევამი სხვას ეკუთვნის და ავტორს იგი თავის ნათევამსა თუ ნაწერში აქვს ჩართული. მას სხვათა სიტყვა ეწოდება.

სხვათა სიტყვა თრი სახისა არსებობს:

თუ ეინმეს ნათევამი (ან განაზრახი) მოსაუბრის ან დამწერის მიერ უცვლელად (სიტყვა-სიტყვით) არის გამეორებული. ამას პირდაპირი ნათევამი ეწოდება.

მაგალითად:

ერთხელ შალვა ნუცუბიძეს ანა კალანდაძისთვის უთევამს: „თქვენ ქარიშხალოვით შემოვარდით პოეზიაში“.

მაგრამ, თუ ეინმეს ნათევამი (ან განაზრახი) უცვლელად კი არაა განმეორებული, არამედ ამ სათევამის აზრია გადმოცემული მოსაუბრის ან დამწერის მიერ (შეცვლილია გრამატიკული ფორმა. ჩამატებულია ან გამოიტუებული სიტყვა...). ეს ირიბი ნათევამი იქნება. მაგალითად:

ერთხელ შალვა ნუცუბიძეს ანა კალანდაძისთვის უთევამს. რომ ის ქარიშხალოვით შემოვარდა პოეზიაში.

პირდაპირი ნათევამი ხშირად დალოგის სახითაა გადმოცემული. გავიხსენოთ ანა კალანდაძის ლექსი:

- თქვე, არჯაკულო ხვიარა,

ქსანზე ვინ ჩამოიარა?

- რა ეი, ლრუბლებზე ვუიქრობდი

და არა გამოგია რა...

- მეც... სხვათა შორის ვიკოთხე,

სალაპარაკოდ კი არა...

პირების საოქეანის შეკრძიგიბა ახლდეს მოწმეების (აუტორითა) შენიშვნა:

„შენ ამბობ: - იყავნ სებათ შენი!

მე ვამბობ: - ამინ!“ (ა. კალანდ.).

პირდაპირ ნათქეამთან ხშირად გვხვდება სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები: მეთქი (\leftarrow მე ეთქვი), -თქო (\leftarrow თქვა) და ო. ისინი უკვლევლად გამოხატავენ მოუბრის ან სხვის ნათქეამს. ეს ნაწილაკები ამგვარად არიან განაწილებულნი:

მეთქი აზრიშნავს პირული პირის ნათქეამის ან განაზრახის გამეორებას: გითხარ, კალმით ნახატია-მეთქი (იღია); მომშორდი-მეთქი, ვეუბნები (ა. ყაზბ.); ის საკრავი ნეტავი ჩემი იყოს-მეთქი, ვოფირე (თ. რაზიკ.); გითხარი, ჩემი სახელით გადაეცი და გააქცე-მეთქი (მ. ჯავახ.); მე მოგახსენეთ, რომ ყველა პატიოსანის ვაღია-მეთქი (ა. ყაზბ.).

მიაქციეთ ყურადღება: ზმნის პირული პირის ფორმა ყველგან მხოლობითი რიცხვისაა (მე გითხარი, მე ვეუბნები, მე ვიფიქრე, მე მოგახსენეთ); მაგრამ, თუ ზმნის ფორმა პირული პირისაა, მაგრამ მრავლობითი რიცხვისა, მეთქი-ს ნაცვლად ო არის საჭირო: ვეუბნებით, მოგვშორდით; ის საკრავი ნეტავი ჩენი იყოსო, ვიფიქრეთ; ჩენ მოგახსენეთ, რომ ყველა პატიოსანის ვაღიათ.

თქო იხმარება მაშინ, თუ მოუბარი უნდეს სხვასთან აბარებს რამეს, ანუ პირული პირის ნათქეამი მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს. მაგალითად:

უთხარ, რომ ისევ ისე მიუვარხარ-თქო, თუ დმტრომა გადამარჩინა. თავს არ დაგანებებ-თქო (ა. ყაზბ.); გადი და უთხარი, ამ თახში ვოლაც დიდ კაცს სძინავს-თქო (მ. ჯავახ.); მოახსენე, ამ საათში გვახლები-თქო (ე. გაბ.).

შენიშვნა: - თქო-თქება ნაწილაკი ზოგჯერ შეცდომით იხმარება - მეთქი-ს ნაცვლად. მაგ.: ვუთხარი,... ამას ნუ ითაკილებ-თქო (დ. კლდ.); გითხარი, რომ არაფრის გულისათვის არ დაგშორდება-თქება და გათავებულია (დ. კლდ.); ვეხვეწები,... წამიუქანე, საღაც შენ მიეთრევი-თქება (დ. კლდ.) და ა.შ.

თუ პირდაპირი ნათქეამი სხვის სიტყვებს, III პირის ნათქეამს ან განაზრახს, გულისხმობს, ამ შემთხვევაში ო იხმარება. მას ს ხვათა

სიტყვის ო აქცია. მაგალითთან: - სუ შექმედი. მბეკლიონი - დაიმ-ლავლა საწყალმა ბეკუამ (თ. რაზე); მითხვა: შენ ჩემი სახელი ახსენე და ნულარავისი გეშიხიაო (აკაკი); ის ამბობს, რომ ქვეყნიუ-რების გაჩერის თავდაპირველი მიზეზი არის წყალიონ (ს. მგალი); ხელ-მწიფებ პერთხა სიზმარას: კონა ხარ, რას დადიხარ, საიდან მო-სულხარო?

სხვათა სიტყვის ო ჩვეულებრივია ანდაზებში, რადგანაც მოქმე-ლად ყაუელთუის იგულისხმება მესამე პირი: ამბობენ, თქმულა, ნათ-ქვამია, იტყვიან და ა.შ. მაგალითები:

კარგ მოქმედს კარგი გამგონე უნდაო; ავი შემნახავი ქურაზე უარესიაო; ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა - ათასიო; ფრინ-ველი ბუმბულით იცნობა, კაცი - სამითაო და ა.შ.

ზოგჯერ ეს სიტყვები (თქმულა, უთქვამთ, ნათქვამია და ა.შ.) რეალურადაც წარმოგდენილია: თქმულა: სიწყარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა (რუსთ.); მართალი უთქვამთ: „წუთო-სოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის - მამინაცვალიო“ (ილია); ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია (ვაკი); იტყვიან ხოლო მე:

„სხვათა სიტყვის ო ჩვეულებრივია აგრეთვე „თოთქოს“ სიტყვასთან, რომელიც წარმოშობით ზმინის ფორმაა (თუ თოქოს, თუ თოქვას). ამი-ტომაა, რომ მის მომდევნო ზმის შეიძლება სხვათა სიტყვის ო პქო-დეს“ (ა. შანიძე).

მაგალითად:

მომიშარებდა რასმე და გამისვამდა ბჯდალს ქოჩორზე. თითქო ს ქოჩომა ქათამს გაეკრა ბჯდალიო (ვაკი). (ბჯდალი ბრჭყალია, დიდი კლანები).

დავიმახოვით: მეთქი და თქო ნაწილაკები დეფისით უნდა გამოიყოს, ო კი იწერება სიტყვასთან შერწყმულად.

სასვანი ნივთები სხვათა სიტყვასთან

1. პირდაპირი ნათქვამი. ჩვეულებრივ, ბრჭყალებში ჩაისმის, მაგრამ, თუ წინადადებაში სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკებია, ბრჭყალებში ჩასმა საკირო არაა, რადგან ეს ნაწილაკები ისედაც მიუთითებენ

სხვათა სიტუაციაზე. პირდაპირი ნათქვამი. რომელსაც სხვათა სიტუაცია, თ ახლავს. მხოლოდ ის „შემთხვევაში შეიძლება ჩაისებას ბრკალებში. „თუ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. რომ ის სხვისი ნათქვამია“ (ა. შანიძე). მაგალითად: „თუ კაცა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელიონ“, - ასე დაგვარიგა დავით გურამიშვილმა.

2. თუ პირდაპირი ნათქვამი მო სდევს ავტორის სიტყვებს, ავტორისეული ტექსტის შემდეგ ორწერტილი უნდა დაიწეროს. მაგალითად:

სახლში რომ დაეპრუნდი. მოწყენა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: რა იყო, ქორობია ხომ არ გითამაშნია (აქაკი);

3. თუ პირდაპირი ნათქვამი უსწრებს ავტორის სიტყვებს. პირდაპირი ნათქვამის შემდეგ უნდა დაიწეროს მძიმე ან ის სასუენი ნიშანი, რომელსაც ითხოვს წინადადება შინაარსის გათვალისწინებით (ანუ კითხების, ძახილის ან კითხვა-ძახილისა). შემდეგ კი - ტირე და ავტორის ტექსტი. მაგალითად:

თქენ და თქენს მუხას მოგინდათ ჩემი ძალ-ღონე, ჩემი ამაგიო, - ბევრჯერ უთქამს ჩენთვის დედამიწას (ვაჟა); თუ არ გაუგონაით, ახლა გაიგონონ! - ამბობდა ხოლმე (ილია); „ვინა ვარ?“ - მომიგო მან და შედგა, თთქოს თქმა არ უნდაო (ილია); „მოდით აქა, გესმით?!“ - ბრაზი ჩაუდგა თვალებში (რ. ინახ.).

4. თუ ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამშია ჩართული. პირდაპირი ნათქვამი ბრკალებში უნდა ჩისებას, ავტორისა კი ორივე მხრიდან მძიმითა და ტირეთი უნდა გამოიყის. მაგალითად:

„ის თუ გახსოვს. - ტქბებოდა მოგონებებით ქალი. - ცეცხლზე შედგმული ინდაური რომ აგვაცალეთ გულიკოს დაბადების დღეს?“ (რ. ინახ.).

5. თუ ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამშია ჩართული იმ აღგილას, სადაც კითხების, ძახილის ან კითხებისა და ძახილის ნიშანია საჭირო, ეს სასუენი ნიშნები დარჩება ავტორის სიტყვების წინ. შემდეგ დაიწერება ტირე, შემდეგ - ავტორის სიტყვები, შემდეგ - მძიმე ან წერტილი, ისევ ტირე და გაგრძელდება პირდაპირი ნათქვამი. ბოლოის დაისმის წინადადების შინაარსის შესაბამისი სასუენი ნიშანი. მაგალითად:

„არა ასლი! - დამზადოთ თქეა უქიმშია. - თქებუნი როგორ გაქოდარებათ
ახეთო რაძეები?“ (რ. ინახ.); „როთ ვერ გასწავლი?“ - ვუთხარი მე. -
აი ასე! (რ. ინახ.“) „ამას ვის ხედავს ჩემი თვალები?“ - მაღლიდან
დასწერდა, თავი გადაუწია და შებლზე აკოცა. - როგორა გჯუავხარ,
კარგი გიგო?“ (რ. ინახ.).

6. თუ ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამშია ჩართული და მი-
თოვებაა. რომ პირდაპირი ნათქვამი უნდა გაგრძელდეს. ავტორის სიტ-
ყვების წინ დაწერება პირდაპირი ნათქვამის შესაფერის სასვენი
ნიშანი, შემდეგ ტირე. ავტორის სიტყვების შემდეგ კი - ორწერტილი
და ტირე. ბოლოს დამთავრდება პირდაპირი ნათქვამის შინაარსის
შესაფერისი სასვენი ნიშნით. მაგალითად:

„ჯერ ხელს ნუ ვახლებთ, ერთ-ორ დღეში აყვავდებიან. - თქვა
პეტრემ და ლიმილით დაუმატა: - მერე დავურიოვო“ (რ. ინახ.).

7. პირდაპირი ნათქვამი შეიძლება დიალოგის სახით იყოს წარ-
მოდგენილი. ამ შემთხვევაში მოსაუბრეთა ნათქვამი უნდა დაიწყოს
აბზაცით და ტირეთი, ბრჭყალებში ჩასმა არაა საჭირო. მაგალითად:

- ბოშა ხართ?
- ბოშებს ჩემნაირი მრგვალი სახე არა აქვთ.
- აბა?
- თათარი.
- იპო!
- რა იპო! ჯვაროსმული ომის გაგრძელების სურვილი ხიდ არ
დაგეხმადათ? (რ. ინახ.).

შენიშვნა: თუ დიალოგი გაბმითა დაწერილი, ერთ-
მანეთის მიყოლებით. მოსაუბრეთა ყოველ ნათქვამს ზოგჯერ
ბრჭყალებშიც სკამენ და ერთმანეთისაგან გამოყოფენ ტირეთი
(გ. შალამბერიძე). მაგალითად:

„ვინ გნებავთ?“ - „მიხო“. - „ვინ მიხო?“ - „ჩემი ბიჭი“. -
„რა გვარია?“ - „ბეჭედიაშვილი“. - „ბეჭედიაშვილი? ეს როგორი
გვარია?“ - „არ მიგწოდეს?“ - „არა“ (რ. ინახ.).

პუნქტუაცია

(სასვენ ნიშანთა ხეარების მირთაღი წესახი)

პუნქტუაცია ლათინურიდას მომდინარე სიტყვაა (punctum წერ-ტოლს ნიშაუს) და სასვენ ნიშანთა გამოყენების წესების ერთობლივიას აღნიშნავს. სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება აუცილებელია იმისათვის, რომ ნათქვამი თუ ნაიფიქრი ნათლად იყოს გადმიტებული წერილობით. დამწერი შეიოლებდ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებით ახერხებს. რომ ზუსტად გადმოსცეს ის, რისი თქმაც უნდა; მკითხველსაც სასვენი ნიშნები ეხმარება იმაში, რომ ნაწერი სწორედ ისე გაიგოს. როგორც დამწერს უნდოდა.

ამიტომა, რომ პუნქტუაციის წესების დაცვას, სასვენი ნიშნების დანიშნულებისამებრ გამოყენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამავე დროს, იგი ადამიანის წიგნიერების მაჩვენებელია.

როდის რომელი სასვენი ნიშანი უნდა ვიხმაროთ?

ამ საკითხებს გზადაგზა არაურთხელ შევსებივართ, ახლა შევაჯამოთ სასვენ ნიშანთა ხმარების ძირითადი წესები.

წერტილი

წერტილი უნდა დაისუას დამთავრებული თხრობითი წინა-დადების ბოლოს; არა აქვს მნიშვნელობა, როგორია წინადადება აგებულების მიხედვით: მარტივია, შერწყმული თუ როული. მაგალითად:

ძველ ტაძარში სარმლილან ჩაპარულა ვაზის რტო (გ. ლებან); შორს ელვარებენ თუშთა თორები და წარსულ დღეთა წყვდიდას ანათებენ (ა. კალანდ.); შენ ის კაცი ხარ, ვისაც არ უყო გზებმიუვალი ქვეყნერება (ხ. სამად.) და ა.შ.

წერტილი ბრძანებითი წინადადების ბოლოსაც უნდა დავსუთ, თუ ამ წინადადებას შშეკლად წარმოეჭავამო, თხრობის მსგავსად. მაგალითად:

ხუთი ვაჟაური მოგვიყლა, იმათ სისხლს ნუ შეარჩენ. იმ ურჯულოსაგან სირცხვილს ნუ გვაჟმენ. - შევეღრინენ ჩვენები (ილია).

დავიმახსოვროთ: თუ დასირულიქტელ წინამდასვებას ფრინის-ლიბაში ნაისტელი სიტყვა. სიტყვათშესაცირთა ან წინადადება მისცვეს. წერტილი ფრინისლის დახურვის შემდეგ უზღა დაიწეროს. მაგალითად: მეც დამელოდე გაზაფხულამდე, სანამ შესცურავს ტბაში ნიავი (6. სამად.). ყველას საოთაოდ ათვერ მაინც უამბო და გაუმჯობა იმის ნაღაპარაკევი (როგორც თვითონ მოსწონდა. ისე უამბობდა და აზავებდა. აფერადებდა). (ო. რაზიკ.).

წერტილი დაისმის მაგრამ და ზოგი სხვა კაცმირის წინაც. როცა ისინი კი არ აერთიანებენ წინამავალ და მომდევნო წინადადებებს. არამედ იწყებენ დამრეციდებელ წინადადებას. მაგალითად:

მისი თვალები თოთქის ხევწასა და საყვადურს ერთად გამოჰკვამდნენ. მაგრამ რა გასჩენოდა ხევისბერის. ხევის შეართველს. უბრალო მეომართან ან სახევწარი, ან სასაყვედურო? (ა. ყაზბ.).

ჩემი ცდა მარტო იმაშია. რომ იმის აზრისათვის იმისივე უერთ შემტრჩინა და იმის სიტყვისათვის - იმისივე კოლო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულდოს (იღლა).

შენიშვნა: წერტილი დაისმის სიტყვის შემოკლების დრო-საც: ე.ი. (ესე იგი), ა.შ. (ასე შემდეგ), ა.წ. (ამა წლის)... ამ შემთხვევაში წერტილი არაა სასკრინი ნიშანი.

ეპივ

მძიმე ძალიან ბევრ შემთხვევაში გამოიყენება:

1. მძიმით უნდა გამოიყოს ერთგული წევრები, თუ ისინი არ არიან შეერთებულნი მაჯგუფებელი და, თუ კაცმირებით. მაგალითად:

ირემმა ორეობე აიარა, გასცდა საღალაქის, საბაღაბოდან დაბრუნებული ძროხასავით ეზოში შემოვიდა, ეზო დაყნოსა. მერე თავი აიღო და გაირინდა (ო. ჭილ.); თათრები, ჩურქეზები, ჩანჩები და ყაზახები მოვიდნენ (აკაკი); ისინი ასწრებენ... კოტრალს, ჭამა-სმას, ღვინოს, ქალს, ძღომას, თრობას, ხრიმბას (ო. იოსელ.).

2. მძიმე უნდა დაიწეროს მაგრამ, ოღონდ, ხოლო, თორუმი მაპირისპირებელ კაცმირთა წინ. აგრუთვე მაცალკევებელ კაცმირთა წინ. თუ ეს კაცმირი მეორდება. მაგალითები:

სისიამ დაისალია ოუცე. მაგრამ ააკლისა (ვაჭა); ბირბალია შალალი მთაა, ხოლო მუსეური კიდევ უფრო მაღალია (ილია); ერთი ბარტე გადმომიგდე. თორემ შავ დღეს დაგაუენებ: ის დმანის-ბოლხისის გზით დაეშვება, ან კიდევ იმ ლელევარის ქედს გადმოლახავს... (პ. ჯაებ.). მოურავი ხან იმას დაუხედოდა წინ, ხან ამას (აკაი); ერთს ოქროს-მატყლიან ურკემალს გაჩუქებდ, ოლონდ მანდედან გამოიდიო (ზღაპ.); მოკვდეს. არ დასდევს, ოლონდაც დაიხსნას გავირვებული (ვაჟა)...

3. მძიმით უნდა გამოიჯინოს ერთმანეთისაგან როგორ თანწყობილი წინადაღების ნაწილები, თუ მათს შემაერთებლად და კავშირი არაა გამოიყენებული. მაგალითები:

ბერიაცები ქუდს იხდიდნენ, დედაქაცები შავ მანდილებს აფრიალებდნენ (თ. ბიბილ.); შენ ჩაფიქრდები საყდრის ნანგრევთან. სჩევენით გადივლის ქალაქს ღრუბელი (ხ. სამად.); მზე მიცურავდა სხივთა რიალით, ცაზე დაქროდა სამხრეთის ქარი (ლ. ასათ.); ფიცხლად შემობრუნება დააპირა. მაგრამ უკვე გვიან იყო (გ. უანჯ.); ან ანანური წამოშლის ბანაქს. ან არშის ციხე მთას გადმოდგება (მ. ლებან.)...

4. მძიმით უნდა გამოვყოთ მთავარი წინადაღება დამოკიდებულის-გან (მძიმე იწერება ამ წინადაღებათა საზღვარზე) იმის მიუხედავად. შეერთება კავშირიანია თუ უკავშირო. მხოლოდ გასათვალისწინებელია ის, თუ რა პოზიციაშია დამოკიდებული წინადაღება მთავართან მიმართებით. კურძიგ: თუ დამოკიდებული წინ უსწრებს მთავარს, მძიმე დაიწერება დამოკიდებულის შემდეგ. მთავარის წინ; თუ შეუშია მოქცეული. მძიმები დაისმის დამოკიდებული წინადაღების ორივე მსარეს; თუ დამოკიდებული მოსდევს მთავარს. მძიმე უნდა დავწეროთ მთავარი წინადაღების შემდეგ, დამოკიდებულის წინ. მაგალითები:

როდისღა გვალირსებს დმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წაგვართვა (ილია); ვერ დაივიწყებ. გინც გიყვარს (ლ. ასათ.); ეტლები, რომ ლებშია ცხენი უნდა ყოფილიყო შებმული. საგანგებოდ იყო მორთული მწვანე რტოებით (ი. გრიშ.); ომი რომ დაიწყო. მამა ჯარში გაიწვიეს (ო. იოსელ.); როცა აკაე ამ სტრიქონებს წერდა, ოცდახუთი წლის ჭაბუკი იყო (ი. გრიშ.);

მე ვერძობ, როგორ მიცვლის ხასიათს ქარი (ო. ჭილ.); სჯეროდა, ხოვათი მანქანასთან იყო დაკავშირებული (გ. უანჯ.); თავის თავს

უკოსრი. ადამიანის აღქვეწიად უქრალით ლიაშიანერი ბეჭისურებისაოფის არის განცხლილი (თ. ბიბილ.).

5. მძიმით გამოიყოფა ერთგვარი დამოკიდებული წინადაღებით როგორ კვერცხობილი წინადაღებისა, თუ ისინი და კავშირით არ არიან შეკრიულინი. მაგალითად: კარგი სახახვას ახალგზრდა ბიჭი, რომელიც საც ჯერ ცხოვრების ტალღა არ მოხვდებო. რომელის გულიც დროთა ვითარებისაგან არ გაქსებულია. რომელის სიცილის კვერცხის უკუღმარით ბრუნვის არ შეუძლალავს. რომელიც მძიმე ტვირთის ქვეშ არ მოხრილა (აკაკი); რაცი ამ ერთი სიცილის თქმა ერთხმად გააღილდა, რაცი ლილხანს გულში ჩახვეულ, დახშულ ფიქრს სარტყელი მოეხადა. ახლა ყველამ ხმამაღლა დაიწყო ყაყანი (თ. ბიბილ.).

ასევე მძიმით უნდა გამოიყოს დამოკიდებული წინადაღება მომდევნო დამოკიდებული წინადაღებისგან თანამიმდევრული დაქვემდებარების დროს: თქვენ ითხოვდით, რომ თქვენს სტუმარს შეკრიგებოდი მაშინ, როდესაც მან შეურაცხეო, რაც წმინდა წმინდათა გამარიდა (ა. ყაზბ.).

6. მძიმებით უნდა გამოიყოს წინადაღებაში შემავალი განკურძობანი და წინადაღებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიცილით თუ გამოიტვები.

გვახსოვდეს: თუ ეს გამოისაყოფი ელემენტი (ერთი სიცილი იქნება ის, თუ სიცილათშენაერთი) წინადაღების თავშია, მძიმე საკიროა მის შემდეგ; თუ წინადაღებაშია მოქცეული, - ორივე მხრიდან უნდა გამოიყოს მძიმებით; თუ წინადაღების ბოლოსაა, მძიმე მის წინ უნდა დაიწეროს, მის შემდეგ კი - წინადაღების შინაარსის შესაბამისი სასვენი ნიშანი. მაგალითები.

ა) განკერძოებული განსაზღვრება:

სარქმელში ქარი არსევდა ხეებს, დამძიმებულის ხანგრძლივი წვიმით (თ. კილ.); ის კი, სხვებისთვის შეუმჩნეველი, ქვის მოაჯირზე იჯდა თავისთვის (თ. კილ.); ძლიერი გონების კაცი იყო. მოსწრებული და ენამჭევრი (აკაკი);

ბ) განკერძოებული ადგილის გარემოება:

მდინარის პირას, პატარა ტყეში, ხეს უხმაუროდ მოსწყდა ფოთოლი (თ. კილ.); აქ, ძველი თბილისის გულის სიღრ-

შე ში. გამოსწენდა ასკარია წევარი და დასაწყისი ჯალისხური პირზეა - ის (ი. გრიშ.); საბადივებით მძიმე ღრუბლები იქვე იდო. გვირაბის თავზე (ო. იოსელ.).

გ) განკურძობული დროის გარემოება:

ხვალ. სადამოთი, ქალის პირს მოუკახლოვდეთ (ა. ყაზბ.); დღეს-ვა- ახლავე. ამწუთას. ორივეს ჯვარი გადაეწეროთ (ო. იოსელ.); დოლას. უთენია. უნდა წავიდე. შვიდ საათზე (რ. ინან.).

დ) დანართი:

ჩვენ. მე და დედა, რომ მოვედით. შენ უკვე შენს ადგილზე იჯექი (რ. ინან.); მათ. შვიდთა ძმათა, ტაძრად შეიღი სანოელი ანთეს (მ. ლებან.); თბილისის წარსულზე უცხოელმა ორიენტალისტებმა უფრო მეტი იციან. ვიდრე ჩვენ, თბილისის პავრით გა- მოზრდილებმა (ი. გრიშ.); ქლასის ამხანაგები. განსაკუთ- რებით უსაქმურები და ჩამორჩენილები, პირდაღე- ბულები უუკრუბდნენ (გ. ფანჯ.).

ე) მიმართვა

დიდო შგოსანო. ქალაქს გაპურუებ. თბილისი შენოვის როჩზე დიდია. უხიზლობ. მეუცვევ, და გულისყრი სულ საქარ- თველის გულზე გიდვია (ნ. სამად.); გულო, არ გასტყდე. გამაგრ- დო. ძლიდეო, კლდედ იდეგ სალადა!... გულო, გაქლდევდი. გამა- გრდი. ნისლი ნუ გადაეცარა (ვაჟა).

როგორც აღნიშვნეთ. მიმართვის შემდეგ შეიძლება დაიწეროს ძა- ხილის ნიშანიც: აპ. პოეზიაგ, მარად ცის კიბეებით მსვლელო! ვის- თვის - წერიალო ქნარად! ვისთვის - კრწანისის გელო! (მ. ლებან.).

გ) ჩართული სიტყვა-გამოთქმები და ჩართული წინადადება

ის სამწუხაროდ, რო წელიწადა ჯაზ ჩანს თბილისში (პ. აშე); ქრის. ჩეეულებრივად, წარჩინებული პირები მუარველობდნენ (ი. გრიშ.); რასაკვირველია, ის მართალია. მაგრამ მე ეს არ მითხრა (გ. ფანჯ.); მათ შეუძლიათ მოვტი წაშალონ, თუ, რა თქმა უნდა. მე დავთანხმდები (ო. ჭილ.); რესთავში ჩამოვედი და აქ. თქვენც გარგად ხედავთ. დღე და ღამეს ვასწორებ (გ. ფანჯ.); წავიდეთ. შენი ჭირიმე, წავიდეთ... (ა. ყაზბ.).

ზ) შორის დებული

ო. როგორ მიუკარს შესი თეორიული ქუჩები (ხ. სამაღ.); ფუჭ, ყოველგვარ სისაძაგლეს რომ შეს უნდა მოპერა ყური (რ. იხან.); გაიმე, ძმაო, ბრელ სიკედლომა მოგსპო, გაიმე! (ილია); აპა, დამდაბლდა ჩემი საყდარი... (ა. ქალაძე)...

შორისდებულის შემდეგ ძახილის ნიშანიც დაისმის. როგორ ის ძლიერი ემიციით არის წარმოთქმული: უპ! უპ! შეჩმა მზემ. კარგი მოგორე! (ილია).

თ) მიგებითი სიტყვა-წინადადება

- ხომ კარგია? - დიახ, - დაუქნია თავი გოგონამ (რ. იხან.); - წამიუვანთ თქვენთან? - კი, როგორ არ წაგიუვანთ (რ. იხან.); - შენც არ მკითხო...- არა, მე არაფერს გკითხავ (რ. იხან.); - შენა ხარ, მარიამო? - ხოუ, კარგად იყავით, გადმოუარდნილო მგლებოთ. - გაგვიცინა (რ. იხან.).

ცერტიფ-ეპიზ

წერტილ-მძიმეს შუალედური აღგილი უკირავს წერტილსა და მძიმეს შორის.

1. წერტილ-მძიმე დაისმის როგორ თანწყობილ წინადადებაში შემავალ წინადადებათა გასამიჯნავად. როგორ წინადადებები დამოუკიდებელნი არიან და აზრობრივი კუშირი მათ შორის ისე მჟიდორ არ არის. როგორც მძიმის დასმის შემთხვევაში, ან წინადადებები მეტად ურცელია.

მაგალითად:

იკარგებოდა ყოველი უიქრი, ინთქმებოდა ყოველი სურვა; იქტებოდა ყოველი ნაოჭი ყოველი გაუჭების; იწურებოდა ყოველი გაორება. რჩებოდა მხოლოდ ლითონსხეული (გ. რობაქ.).

2. წერტილ-მძიმე იხმარება რამდენიმედამოკიდებულიან როგორ ქვეწყობილ წინადადებაში ვრცელი ვრთგარი დამოუკიდებული წინადადებების გასამიჯნავად (მით უფრო, თუ დამოკიდებულ წინადადებათა შიგნით მძიმეა ნახმარი). მაგალითად:

სისიარეული ამიტების რაღაც; რომ ერთი ქავირი აქარისერიანიში ჩეკ არ მივიღია უსაქში აღდად: რომ ჩამოვედი საქშის კაცებთან და მასთან ძმური გავწიოთ ჯაფა: რომ ამ დღეებში მე მიტაცებდა მუშაობაში ხარისით ჩაბმა; რომ ვარ ხამდვილი ხალხის პოეტი, მდგარი მიწაზე ოროვე ფეხით (პ. იაშვ.).

3. წერტილ-მძიმე გამოიყენება ვრცელი ერთგვარი წევრების ერთი მთლიანი მონაკვეთის მეორისაგან გამოსაყიფად (განსაკუთრებით მაშინ. თუ თითოეული ამ მინაკვეთის შიგნით მძიმეა ხასპარი). მაგალითად:

დაგა და გარეთ გავიდა, ერთხანს ვენახს გადაძეურებდა; მერე ქოხის გვერდზე ზაფხულში დარჩეულ ლობიოს ჩეჩქშე დაჯდა; ჯერ იდაყვს დაეყრდნო და ცოტა გადაიხარა; ბოლოს... პალტო მუხლებზე შემოიხვია და მთლიანად მიწვა, თვალები მილულა (რ. იხან.).

ორწველები

1. ორწველი დაისმის შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრების წინ, თუ გამაზოგადებელი (ერთგვარ წევრთა გამაერთიანებელი) სიტყვა მიმული სიტყვებითურთ წინადადების თავშია. მაგალითად:

ყოველივე საჭირო თავის სახლშივე აქვთ: საკმელი, სასმელი. ტანი, ფეხი, იარალი, საქონელი, ნივთები (აკაკი); ყველაფერი ავიწყდებოდა: შიშიც და მარცხიც, სოფულის ბრძა სოფულეც და განურჩევლობაც (თ. ბიბილ.); ყველა მე ჩამომეკიდა: მამასახლისი, გზირია (რ. ერისთ.).

თუ განმაზოგადებელ სიტყვას მოსდევს ისეთი სიტყვა, რომელიც მანიშნებს ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე (სახელდობრ, მაგალითად, როგორიცაა...), ამ სიტყვის წინ მძიმე უნდა დაიწეროს, შემდეგ კი - ორწველილი. მაგალითად:

ავტომანქანის მახლიბლად ოთხნი სხედან, სახელდობრ: ორი კაცი და ორიც ქალი.

2. ორწველი უზდა დაისვას უკავშირო რთული წინადადების პირველი კამპონენტის შემდეგ. თუ მეორე (და შემდგომი) კომპონენ-

რა მიუთითების პირველის შესწების. მისიანის ან შექმნების. ან კადეც ვრცლად გადიოდეს კერძო პირების ნაწილის ან მისი რამეტების წევრის მხიშვნელობას. მაგალითად:

თუ გის ზარბაზნების ცქანას არაფერი მერჩია: ამ დროს მაღას ვგრძნობდი (გ. ფანჯ.) თუნა მათც ქრისტი: უწვრილდება მელაზები. გამჭვირეალე უხდება ლამაზი ცხვირის ხესტოები და მხოლოდ თვალები უდიდდება დღითოდღე (რ. ინან.); მე კი ნიადაგ მახსოვხარ: მოები მიხმიბენ შენები (ა. კალანდ.).

3. ორწერტილი უნდა დაიწეროს აეტორის სიტყვების შემდეგ. თუ მას მოსდევს პირდაპირი ნათქეამი. მაგალითად:

მესალმება იუზილი გოგო: - გაგიმარჯოთ. ქალმატონი ანა! (ა. კალანდ.); შეუაღამოთ სულიტმინდამ ხმაყო ცოდან: - ადექ. ყრმაო, მოგიწოდებ სულიტმინდა! (ა. კალანდ.).

მრავალწერტილი

1. მრავალწერტილი იწერება მაშინ, თუ სათქმელი დაუმთავრებელია, ან შეწყვეტილია. ან აზრი თუ სიტყვა ნაწყვეტ-ნაწყვეტ არის გამოთქმული. ან ხდება უეცარი და მოულოდნელი გადასცლა ერთი საგნიდან თუ მოელენიდან მეორეზე... ხშირად ეს გამოწეულია მოსაუბრის მღელვარებით. მძიმე სულიერი მდგომარეობით. მაგალითად: აკაციის ტევრი... წნევლის სუსტი ლოტე... ქუდმოხდილი ჭკვრი... ლვინიანი ქოქე... (ა. კალანდ.):

- გწყინს, რომ მისარია?

- არა, მაგრამ...

- მაგრამ რა? აბა შემომხედვე! (რ. ინან.);

წინ მიღებას დიდი, დიდი... რა პქვა? პო, ვერცხლის ცოვი სინი (რ. ინან.); რისი შემეშინდა ასე?... რატომ გავურბივართ მიყვარული სულის გამოჩენას სხვების თანდასწრებით?... რატომ გავურბივართ საკუთარ სიყვარულზე ლაპარაკს სხვებთან?... (რ. ინან.);

2. მრავალწერტილი უნდა დაიწეროს მაშინაც, როდესაც ციტატა არასრულადაა მოყვანილი. გამოტოვებულია სიტყვა ან სიტყვები. მაგა-

ლითონისათვის წარმოებულია საწევების ანა კალანდაძის „ერთოდიდას. რომელიც სრულად არ მოგეცავს (მრავალწერტილი დასმულია იქ. სადაც სიტყვებია გამოტოვებული):

„ჩვენს ერს ისე არაფერი სკორდება დღეს, როგორც გამრავლება... გაშინ... მისი თეოთმყოფადობაც არ იქნება სათუო“.

სრული სახით იგი ასე იკითხება:

„ჩვენს ერს ისე არაფერი სკორდება დღეს, როგორც გამრავლება. თუ ამას მივაღწევთ. ჩაშინ ბეჭებრივად მოგვარდება ბევრი რამ და მისი თეოთმყოფადობაც არ იქნება სათუო“.

3. მრავალწერტილს იუნებენ სიტყვის ენადაბმით, ბორძისით წარმოთქმის აღსანიშნავად. გავისსენოთ, როგორ მეტყველებს (განსაკუთრებით მღელვარების დროს) თეომურაზე ხევისთავი მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“:

„მ... მარგო, ეგ რა არის? ქ...ქაბა სად დახიე? მხარზე რაღაც იარა გაქვს, მკლავიც ხომ არ დ...დდაგიშავდა?“ ან კიდევ:

„ეს არის ს... სსალაროს წიგნი, ეს კიდევ ს...საქონლის დავთარია. ეს იქნება პ...პეტრადი ანგარიშების წიგნი. ამას პქეიან ბ...ბბულალტერია...“

შენიშვნა: მრავალწერტილი დაისმის სიტყვაში გამოტოვებული ასოების აღსანიშნავადაც. ამის მაგალითებს ვხედებით 6. ბარათაშეილის ლექსების სათაურებში: „ძია გ...სთან“, „თავადის ჭ...ჭის ასულს, ეკ...ნას“, „ქნიაზს მ...ქ...ქეს ბარატაუს“ (მიძღვნაა ლექსისა „საფლავი მეფის ირაკლისა“).

კითხვის ნივარე

კითხვის ნიშანი დაისმის კითხვითი წინადადების ბოლოს, იმის მიუხედავად, არის წინადადებაში კითხეითი სიტყვა თუ არა. მაგალითად:

გშია, მეგობარო? ძალიან გშია? (ქ. ლომთ.); შდრ.:

ს ა დ ბრძანებულხართ? ს ა ი დ ა ნ მობრძანდებით? ს ა დ მიბრძანდებით? რ ა ს გვიბრძანებთ, გემსახუროთ, მხლებელა არ გნებავთ? (ვაჟა).

სიგრამ. თუ როგორ ქვეწყობილ წინააღმდეგის ში დამტკიცებული წინააღმდება კოსვები სიტყვას შეიცავს (ირიბ კოსტეას გამოხატვას; ღ. კვაჭაძე), მაგრამ მთავარი წინადაღება კოსტებით არ არის. წინადაღების ბოლოს კოსტების ნიშანი არ დაიწერება. მაგალითად:

ის მიხედა, თუ რა ცეცხლი გრიალებდა ახალგაზრდის გულში (გ. ფანჯ.); ის კვლავ გრძნობდა გარდაუვალი დასასრულის მოახლოებას და თოთქის მარტო იმაზე ფიქრობდა. როგორ დაწენილიყო ხილომდე ამაყი და თავაღვრილი (თ. ბიბილ.); მხელოდ იმაზე ფიქრობდა, თუ ამ წერტილი რას განიცდიდნენ მისი შშობლები და ამხანაგები (გ. ფანჯ.).

თუ მთავარი წინადაღება თხრობითია ან ბრძანებითი და წინ უსწრებს დამოკიდებულ წინადაღებას, რომელიც კოსტებით, წინადაღების ბოლოს კოსტების ნიშანი იწერება. მაგალითად:

გეგით ხებოდი: მანქანაში რომ ზიხარ, რა უნდა დაინახო? ბაღლახებში ჩამალულ... კალის დაინახავ? ვარდისუერცხვირიანი პატარა თაგუნიების ჭიდაობას დაინახავ? (რ. ინან.); მარქვი. რა იქნენ! საკვირველნი ესე აღთქმანი? რად მომხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი? (ხ. ბარათ.).

ქახილის ნიშანი

ძახილის ნიშანი უნდა დაიწეროს:

1. ძახილის წინადაღების ბოლოს (ამ სახის წინადაღებას მრავალფეროვანი გრძნობითი იერის გამოხატვა შეუძლია). მაგალითად:

მე იგივე ვარ მარად და მარად! (აღ. ჭავჭ.;) გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას! საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს! (ლ. ასათ.).

2. ძრძანებითი წინადაღების ბოლოს (თუ ეს ბრძანებითი წინადაღება თხრობითი წინადაღების მსგავს მშეოდენით არ გულისხმობს). მაგალითად:

გათენდა! შეურთდით, შეურთდით, შეურთდით! დროშები, დროშები, დროშები, ჩქარა! (გ. ტაბ.); მართალი იყვნ და სიმართლეს სდო! (ილია).

(“მდრ.: წალი. წალი. შეიღო. შესრული ცოდნის ძიასთან წალი: და კლდ.).

3. მიმართვის ბოლოს, თუ ის წინადადების თავშია და ძლიერი გრძნობითაა წარმოქმული: ხეებო, ბალახებო, ყვავილები! კარგებო. ლამზები! მასწავლეთ. რა უუშეველო! (რ. ინან.); ან თუ მიმართვა წინადადების ბოლოსაა: გამარჯვებათ, გამარჯვებათ. ძმები, შვილებო, მეზობლები! (6. ლომ.).

4. შეირისდებულის ბოლოს, როდესაც ის ცალკე დგას და იჩონაციურად მქონეთრად არის გამოყოფილი (შეირისდებული თავშია ან ბოლოში). მაგალითად:

აუპ! შეგირცხვათ კაცობა! (ა. ყაზბ.); ყოჩად! - ბიჭი იძახის (ვაჟა); შეაჩერა ცხენი და წარმოიძახა: აუპ! (დ. კლდ.).

კითხვებსა და მახილის ნიშანი ერთად

თუ წინადადება კითხეით-ძახილისაა (კითხეით-ემოციურია), ანუ თუ კითხვასთან ერთად გამოხატულია ემოციაც (გაოცება, აღტაცება, აღშეოთება...), ასეთი წინადადების ბოლოს უნდა დაიწეროს კითხვისა და ძახილის ნიშანი. მაგალითად:

რამ გაფიქრებინა ამნაირი უღვეთო საქმე, რამ?! - ყვიროდა ბეკინა (დ. კლდ.); იცი, ძმობილო, რა მაღლიერი ვარ შენი?! (ვაჟა); კაცმა კაცი როგორ უნდა მოკლას?! (ვაჟა); დედაბერმა რავა უნდა შეგაშინოს. შე გლახაკო?! (დ. კლდ.).

შირვა

1. ტირე დაისმის მაშინ, თუ გამოტოვებულია ზმნა-შემასმენელი ან - შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი (მეშვეელი ზმნა). მაგალითად:

სიკედილსა გლოვა უხდება, მეცდარ ძმას - ტირილი დისაო, ვაჟეაცსა - ომში სიკედილი, ხელში - ნატეხი ხმლისაო, ომს - ლხინი გამარჯვებულთა და დამარჯება მტრისაო (ვაჟა); რკინა რკინით

დათვისუბა. ქართული - ქართველი (ახდ.): ერთი არის მთიანეთის უკანასკნელი. თევდორის უკანასკნელი (ახდ.): სწავლაში - ზარბაცი. ლეპურში - შაბაცი (ახდ.).

2. ტირე იწერება შერწყმულ წინაღადებაში ერთგვარი წევრების შემდეგ, თუ ისინი უსწრებენ განმაზოგადებულ სიტყვას, მაგალითად:

დამარცხებული იშველიებდნენ ქვებს, აგურებს, ხის ნაკრებს - ყველა ფერს. რაც ხელში მოხვდებოდათ (ი. გრიშ.).

თუ ერთგვარი წევრები ჩასმულია განმაზოგადებულ სიტყვასა და სინტაქსურად მასთან დაკავშირებულ სიტყვებს შორის, ისინი (ერთგვარი წევრები) ორივე მხრიდან უნდა გამოიყოს ტირებით: ეს ყველაფერი - განმარტოებაც და თავის მოყრაც, დაწყვილებაც და დაცალკევებაც - ქმნიდა ამბავს (თ. ბიბლ.).

ამ შემთხვევაში შეიძლება სასვენი ნიშნების სხვაგვარად დასმაც: ერთგვარი წევრების წინ ორწერტილი დაისუას, მათ შემდეგ კი - ტირე. მაგალითად:

ყველაფერს: წყალს. გადახრუულ ბალახს, უერდობს. გაგვალულ მიწას, მზეს. ცას - განუზომელი ფასი, დანიშნულება პქინდა (თ. იოსელ.).

3. ტირე უნდა დაიწეროს ეს, ჯე ნაცვალსახელების წინ. თუ ისინი მოსდევენ სახელობით ბრუნვაში მდგარ ქვემდებარეს ან პირდაპირ დამატებას. მაგალითად:

სტილი - ეს ადამიანია, ამბობენ.

ამ ნაცვალსახელების წინ ტირე მაშინაც უნდა დაიწეროს, თუ ისინი მისდევენ ან ცვლიან მოულ წინაღადებას ან მის წევრს. რომელიც შეიძლება გამოიტვებული იყოს. მაგრამ იუარაუდება. მაგალითად:

ზღვადდარხეულ მინდორს გაუხარია... ბელტს აბრუნებს - ეს ნიკორა ხარია (ა. კალანდ.).

4. ტირე გამოიყენება დანართისა თუ ამსსნელ-დამასუსტებელი სიტყვების გამოყოფის შიზნით. რათა ისინი განვასხვაოთ ერთგვარი წევრებისაგან. მაგალითად:

წევდიადს გაუგალს შერჩებით თქვეზვე - მართალთ გზებზე აუად აქეფარსი (ა. კალანდ.).

თუ გამოისაფერები სიტყვა თუ სიტყვათშესაფრთხო წინადაღებაშია
მიქეცილი. ის თრიუე შერიცას შეიძლება ტირუებით გამოიყოს (აკ-
რეოფე მძიმეებითაც). მაგალითად:

ამ ორ სნაიპერს - ვალტერსა და ოპანს - თვალისწინივით უფრ-
თხლდებოდა მეთაური (ო. ოსულ.), ჩვენი ოჯახი - წინანდელი, აწინ-
დელი, მომავალი - იცოდე, საძირკველია ჩვენი ცხოვრების (ლ. ქია.).

(შდრ.: ამ ორ სნაიპერს, ვალტერსა და ოპანს, თვალისწინივით
უფრთხლდებოდა მეთაური; ჩვენი ოჯახი, წინანდელი, აწინდელი და
მომავალი, იცოდე, საძირკველია ჩვენი ცხოვრების).

5. ტირეს გამოუწენება ჩართული სიტყვებისა თუ წინადაღების
გამოსაყოფადაც შეიძლება (მძიმეების ან ფრჩხილების ნაცვლად).
მაგალითად:

რუსთავში ჩამოვედი და აქ - თქვენც კარგად ხედავთ - დღე-
დაღამეს ვასწორებ (გ. უანჯ.).

ტირე შეიძლება დაისვას მძიმის შემდეგ (ორივე მხრიდან), როდე-
საც ჩართული წინადაღება საქმაოდ ვრცელია. მაგალითად:

ჩვენც, - აი ამოაგდო ლმერთმა აერ კაცის ქოქი, - ერთ რუსს გა-
ვურიგდით, რვა მანეთი მივეცით, რომ ქალაქში ჩავეუვანეთ (ილია).

6. ტირე იწერება რამდენიმე მომდევნო განკურძოებული განსაზღვ-
რების წინ. მაგალითად: პოეტი ლექსის სტრიქონებს ეძრძვის - უხი-
ლავს, უარულს, ჯურ დაუსტამბავს (ლ. ასათ.).

ამ შემთხვევაში განკურძოებული განსაზღვრებების წინ შეიძლება
ორწილობის დასმაც. მაგ.: დარჩა პარტახი შენობა: ბნელი და გულ-
დამურული, ხაესმოდებული, საშიში და გუმბათჩამონგრუული (პ. იაშვ.).

7. ტირე უნდა დაიწეროს ისეთი უკავშირი რომელი ქვეწუობილი
წინადაღების ნაწილებს შეირის, თუ პირველი წინადაღება მეორის
მიმართ პირობითის ან დროის გარეშოებითი დამოკიდებული წინადაღე-
ბის შინაარსის მქონეა. მაგალითად:

ერთი იცინის - თავს დასცინის, ორი იცინის - იციან რამე (ანდ.);
თავი მქონია - მინახავს, ყური მქონია - მსმენია, გულისური მქონია
- მივხვედირილეარ, ხსოვნა მქონია - გონებაში ჩამოჩენია (ილია).

(შდრ.: თუ ერთი იცინის, თავს დასცინის; ან: როცა ერთი იცი-
ნის, თავს დასცინის;

თუ არი იცინის. იციას რასე: ას: როგორ არი იცინის. იციას რასე. თუ/როგორ თავი მქონია - შინახავს, თუ/როგორ ყური მქონია. მსხე-ნია და ა.შ.).

8. მძიმესთან ერთად ტირე შეიძლება გამოვიყენოთ რამდენიმე ერთგვარ აღვილის ან დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადაღუ-ბასა და მთავარ წინადაღებას შორის. მაგალითად:

როგორ ამ ამბების მერე ლიდებალი დრო გასულა. როგორ ჩემს წინ აღარც სიუკელია და აღარც კითხელის კოშკი. როგორ მარტო სახული იღვენთება. - მე მაინც იმ წუთზე ფუიქრიბ (თ. ბიბილ.); საიდაცაც წამოვიდა. სადაც ამდენი ხანი იკხვერა, სადაც ლუთის განგებით სიკეთილს უნდა შეხვედროდა. - ისევ იქ უნდა წავიდეს: შორს, მოს ძირს, სადაც მზეა, სადაც ვაზია, სად ჩაის პერელენ, ცხერის სამწყმ-სოდ სადაც მდელოა, მცირე დეფისად ჩასდგომია დიდ კურაზიას. - ერთი პატარა, პაწაწინა საქართველოა (მ. ლებან.).

9. ტირეთი უნდა დაიწყოს დიალოგის სახით ჩაწერილი პირდაპირი ნათქეამი, ამზადეთ იქნება ის გამოყოფილი თუ მიმდევრობით. მაგალითად:

- ბიჭო, რა გინდა, რატო დაგიდის გაშვებული ის შენი ბრუნიანი ცხენი?

- სადღა მეავ ცხენი, მაიშენო.
- აბა რა უჟავი?
- მიტას მიუყიდე.
- რომელ მიტას?
- ჯანდაგაანთი, თურამეტ თუმნად.
- არა, მართლა?!

შდრ.: - მართლა, მაშ! - მა ვისი ცხენის ნაეალია ქვემოთ ჩემ ნაკომბოსტარში? - არ ვიცი. გენა. ჩემი თუეზე მეტია მიტასა პყავ (რ. ინან.).

10. ტირეთი უნდა გამოიყოს ავტორის სიტყვები. რომლებიც მის-დევს პირდაპირ ნათქეამს (ტირეს წინ კი ან წერტილია, ან - მძიმე. ან სხვა სასკენი ნიშანი, შინაარსის შესაბამისად). მაგალითად:

- წვენი გამზრდელა თუ ხორცი? - იქითხავს ნოშრე.
- წვენი, - მიუგებს ესმა...
- ხორცი ლონეს აძლევს. - აზუსტებს ნოშრე (რ. ინან.).

11. ტირუ დაიხმის თო სიტყვას ან თო კიფრის შემთხვევას. თუ ისინი გამოიყენებიან სიცრუითი, ლროითი ან რაოდენორიბითი მიზნის აღსასიშნავად. მაგალითად:

დარეჯანი... 30-35 წლისას პგავდა (ვაჟა); ...გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივს იქნებოდა (ილია); მუზეუმის ამ განციფილებაში V-X საუკუნეთა ხელნაწერებია; X-XI ქლასებში ახალი სახელმძღვანელოები შეიტანეს...

ფრჩებლები

1. ფრჩებლებში ჩაისმის სიტყვა ან სიტყვათა შენაერთი, რომელიც წინა სიტყვის ახსნა-გამარტებას წარმოადგენს. მაგალითად:

ბახვა გადოგდებდა მხარ-თეძოზე თავის ბზეუალს (შვილდს); კოდალი (ისარი) ხელში ეკირა... (გ. წერეთ.);

2. ფრჩებლებში სვამებ ჩართულ წინადადებას. როცა ავტორი სხვათა შორის, გაკურით იძლევა გზადაგზა დამატებით ცნობას, ახსნას თუ შენიშვნას. მაგალითად:

ტბოლად დავუკურე ფულები (ასე გასინჯეთ, სიხარულის ცრუმლებიც კი გადმომცუკრდა) და დავაძინავე თავისიკე აღგილსა (ლ. არდაზ.); ცამეტ ენტრისოფეს (დათუნამ ეს დღე ძალიან კარგად დაიხსომა) პასკუვიჩი და აბას მირზა ერთმანეთს განჯაში დაეტაკრენ (მ. ჯავახ.);

3. ზოგჯერ ფრჩებლებში ჩაისმის წინადადების ნაწილი. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა ან სიტყვათა შეკავშირება. მაგალითად:

მაღალის ხმით (თითქოს უნდოდა ეს სიტყვები გაეგონებინა მისთვის) დაიძახა (ნ. ლომ); ჩინოვნიებმა დაუბოლოებელი საქმეები (თითოს კაცი ძლივს ასწევდა) ჩუმად გადაყარეს არქივში (ლ. არდაზ.); მამაჩემა დაგვიტოვა... ქოხი, დამსხვრეული ტახტი, ერთი ძველი ჭილობი.... ერთი პატარა ხალიჩა (დედაჩემის მზითევი), ერთი ხელი ლოგინი.... (ლ. არდაზ.).

4. ფრჩებლებში უნდა ჩაისვას ნაწერში დამოწმებული წეაროს ჩვენება (ავტორი, თხზულების სათაური, გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი...). მაგალითად:

„ადამიანის სრულურობის უპირველეს ნიშანად საქართვლიანობის გრძელბა მიმანია. იგი, უპირველეს ყოვლისა. მართალი უნდა იქნა თავისი ბუნებით! თუ მასში სიმართლის გრძელობა არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას მოვლენათა ობიექტური შეფასება შეუძლია... ასეთმა ადამიანმა არ იცის „ჩემი“ და „შენი“ - მისთვის კეშმარიტებაა ყველაზე (თვით... პლატონზეც!) მაღლა!

ადამიანური სიკეთეც ასეთი ფუნქციებია ჩემთვის. სადღაც ამოუკითხე: კუთილი ის კა არაა. ვინც კუთილ საქმეებს აქვთებს, არამედ ის, ვისაც ბოროტების ჩადენა არ შეუძლიათ! დიახ, კუთილშობილებით, სიკეთით აღვსილს, როგორც სახარება ბრძანებს, ბოროტების გულში გავლებაც კა არ უნდა შეეძლოს! (ა. კალანდაძე. „ანა. გამობრწყინვით, მოუღწეველო“. პოეზია. წერილები. მოგონებები. თბილისი, 2007. გვ. 365).

5. ფრჩხისილებში ჩაისმის ავტორის რემარკები დრამატულ ნაწარმოებში (ავტორის შენიშვნა, რომელიც შეიცავს სკენის მოწყობილობის, პერსონაჟთა გარეგნობის, ქცევის... მოქლე დახასიათებას). მაგალითად, წარმოგიტვენთ ფრაგმენტს ვაჟა-ფშაველას პიესიდან „მოკვეთილი“:

„მოქმედება პირველი. გამოსვლა მეორე. იგინივე და შალვა:

შალვა (შემოდის. ცალ ხელში თოფი ჭურავს და მეორე ხელში

- მგლის ტყავი): მე ვარ და კარგიცა ვარ. ვერ ამოგეარე იმ ჩვენი დამღუპავის მგლის ჯავრი!

ფრანე (გაკვირვებით): ბრძოს! ყოჩალ. აი გენაცვალე მა თვალებში!

(წამოდგება და პკოცნის შალვას). გენაცვალე... აი შენი

ჭირიმე. აბა. მაჩვენე ე ტყავი აქა...

შალვა (ტყავს აძლევს ფანეს): ამა, დაიკი. აი ჩვენი მტერი.

მევდარზე მაინც ამოყარე ჯავრი... და ა.შ.

პრეცედენტი

1. ბრძეალებში უნდა ჩაისვას წიგნების. უურნალ-გაზეთების, ლიტერატურული ნაწარმოებების, სპექტაკლების, კინოფილმების და ა.შ. სახელწოდებები. მაგალითად:

თაკომი გოგებაშვილმა „ქარადგინა და გამოსცა ხახულმძღვანელთაგანი“ და „ქართული ახბანი და პირებილი საკითხთავი წიგნი მოსტარისა და მურნალები“ დაარსა საბავშვო უურნალები „ხობათი“ და „ჯვრილი“; ილია ჭავჭაძის „ოთარაანთ ქვრივის“ ერთ-ერთი თავის სათაურია „ხუთი ქისა“. ოთარაანთ ქვრივი ფულს ხუთ ნაწილად ყოფილი და ჩანთასაეთ შეკერილ ქისებში ინახავდა. ამ ქისებს მან ასეთი სახელები შეარქვა: „საკირნხახულო“, „ბარაქალა ქისა“, „საჯანაბანი“, „მიუცი და მოგეცეს“, „ფარისილას ქარვასლა“ და „შიოს მარანი“.

2. ბრძყალებში უნდა ჩავსვათ ციტატები. სხვათა ნათქვამი, თუ ის უცვლელად, სიტყვა-სიტყვითაა მოყვანილი. მაგალითად:

გაუა-ფშაველას „აბახტრიონი“ ამ სიტყვებით მთავრდება:

„ამბობენ: შააძლებინა

სხეულსო ფეხზე დადგომა.

ეღირსებაო ღუხუმსა

ლაშარის გორზე შადგომა!“

ილია ჭავჭაძემ თავის „მგზავრის წერილებში“ მოიყვანა გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ლექსის სტრიქონები:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,

კლდენი ბანს ეუბნებიან“...

3. ბრძყალებში სეამენ ირონიულად ნათქვამ. ჩვეულებრივისაგან განსხვავებული მნიშვნელობით ნახმარ, ან არაქართულ, არასალიტურურო სიტყვას (თუ სიტყვებს)... მაგალითად:

[პლატონის] გულში ცეცხლი ტრიალებდა, მისი ტვინი წისქვილის ბორბალივით ბრუნავდა, რიმ რამე ხერხი მოიგონა, „ძმურად“ არ გაჰყოფოდა მისი „სიმდიდრე“ (დ. კლდ.); რესის პირდაუბანელმა „იამშჩიქმა“ ფოშტის „პოვოსქა“ მოაყენა (ილია)...

ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა. ხაწილი II, სინტაქსი. თბილისი, 1948;
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I, თბილისი, 1973;
3. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა. IX კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, 1990;
4. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1977;
5. ა. ჩიქობავა, მარტივი წინადაღების პრიმლემა ქართულში. თბილისი, 1968;
6. ფ. ქრონლიშვილი, როული წინადაღების ისტორიისათვის ქართულში. I, პიპოგაქსის საკითხები, თბილისი, 1963;
7. ვ. თოფურია, როული ქვეწყობილი წინადაღების მარტივით შენაცვლებისათვის ქართულში. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული. X-XI, თბილისი, 1960;
8. ფ. ფურქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი. სალექციო კურსი, ქუთაისი, 1996;
9. გ. შალაშერიძე, ქართული მართლწერა. თბილისი, 1984;
10. შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში. თბილისი, 1969;
11. ა. კიზირია, ქართული ენა. პრაქტიკუმი. თბილისი, 1974;
12. ა. ღლონტი. ქართული წინადაღება. თბილისი, 1961;
13. ნ. იოსავა, ქართული ენა, პრაქტიკუმი სინტაქსში, თბილისი, 2003.

შინაგანსი

შერწყმული წინადაღება	3
ერთგვარ წევრთა შეტროების საშუალებაზი	6
შერწყმული წინადაღების ტიპები	9
ერთგვარქვემდებარეებიანი შერწყმული წინადაღება	9
ერთგვარი ქვემდებარების ურთიერთობა შემასმენელთან	11
ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადაღება	15
ერთგვარი შემასმენლების ურთიერთობა ქვემდებარესთან	16
შერწყმულ შესაძლო თანამიმდევრობისათვის ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადაღებაში	18
ერთგვარ პირდაპირ დამატებათა შემცველი შერწყმული წინადაღება .	19
ერთგვარი პირდაპირი დამატებების ურთიერთობა შემასმენელთან .	19
ერთგვარ ირიბ დამატებებათა შემცველი შერწყმული წინადაღება .	22
ერთგვარი ირიბი დამატებების ურთიერთობა შემასმენელთან .	22
ერთგვარ უბრალი დამატებათა შემცველი შერწყმული წინადაღება .	25
ერთგვარი უბრალი დამატებების ურთიერთობა სინტაგმის წევრთან .	29
ერთგვარგანსაზღვრებებიანი შერწყმული წინადაღება	30
ერთგვარი განსაზღვრებების ურთიერთობა სინტაგმის წევრთან	32
ერთგვარგარუქვემდებიანი შერწყმული წინადაღება	35
ერთგვარ ადგილის გარემოებათა შემცველი შერწყმული წინადაღებები	35
ერთგვარ დროის გარემოებათა შემცველი შერწყმული წინადაღებები .	36
ერთგვარ კითარების გარემოებათა შემცველი შერწყმული წინადაღებები	37
ერთგვარ მისწისის გარემოებათა შემცველი შერწყმული წინადაღებები	38
ერთგვარ მისწისის გარემოებათა შემცველი შერწყმული წინადაღებები .	39
ერთგვარ გარემოებების ურთიერთობა სინტაგმის წევრთან	42

შეკრიული (ნარევი)	სახის შერწყმული წითელი	43
კუნძულის საკოსტიგიზმური შერწყმული წითელი	45	
კრიფტოგრაფის განმაზნეულებელი (გრაფიკურთახებელი) სიტყვები შერწყმულ წითელდებაში (მართლწერის საკოსტებით)	46	
განკურძოებული სიტყვები და გამოთქმები	50	
განკურძოებული განსასღვრება	51	
განკურძოებული გარემოებაზი	54	
განკურძოებული ასგილის გარემოება	55	
განკურძოებული დროის გარემოება	57	
დანართი	60	
ჩართული	64	
მიმართვა	71	
მიგებითი ნაწილაკები	73	
უორისდებული	76	
როული წინადადება	78	
როული თანწყობილი წინადადება	82	
მწერეთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის შესახებ როულ თანწყობილ წინადადებაში	86	
სასერვ ნიშანთა ხმარებისათვის როულ თანწყობილ წინადადებაში	87	
როული ქვეწყობილი წინადადება	88	
როული ქვეწყობილი წინადადების შემაღერილ წინადადებათა (კიმპინენტთა) შეკრიფტის საშუალებაზი	89	
დამოკიდებულ წინადადებათა ქლასიფიკაცია	93	
მოავარი წინადადების წევრთა შინაარსის ყადმომცემი დამოკიდებული წინადადების შემცველი როული ქვეწყობილი წინადადებები	100	
ქვემდებარულდამიკიდებულიანი როული ქვეწყობილი წინადადება	101	
დამატებითდამიკიდებულიანი როული ქვეწყობილი წინადადება	103	
განსაზღვრულდამოკიდებულიანი როული ქვეწყობილი წინადადება	108	
მიმართებითი ნაცვალსახელის პრინციპი და რიცხვი	113	
გარემოებითდამოკიდებულიანი როული ქვეწყობილი წინადადებები	119	
ასგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი როული ქვეწყობილი წინადადება	119	

დარის გარემოებრივი დანიურიდებული წინადაღების შემცველი როული ქვეწყობილი წინადაღება	122
კოთარების გარემოებითი დამოკიდებული წინადაღების შემცველი როული ქვეწყობილი წინადაღება	124
მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღების შემცველი როული ქვეწყობილი წინადაღება	127
მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღების შემცველი როული ქვეწყობილი წინადაღება	130
შემასმენლურდამოკიდებულიანი როული ქვეწყობილი წინადაღება	133
სხვა სახის დამოკიდებული წინადაღებები	135
პირობითდამოკიდებულიანი როული ქვეწყობილი წინადაღება	135
თუ და ოომ კაშირები სხვადასხვა სახის როულ ქვეწყობილ წინადაღებაში	139
დათმობითდამოკიდებულიანი როული ქვეწყობილი წინადაღება	142
შედეგობითდამოკიდებულიანი როული ქვეწყობილი წინადაღება	148
მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადაღება	150
დამოკიდებული წინადაღება მთავრის გარეშე	151
როული ქვეწყობილი წინადაღების მარტივით შენაცვლება	153
მწკრიცეთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის შესახებ როულ ქვეწყობილ წინადაღებაში	160
როულ თახწყობილ და როულ ქვეწყობილ წინადაღებათა მსგავსება და განსხვავება	162
როული ქვეწყობილი წინადაღება რამდენიმე დამოკიდებულით	163
შერეული (ნარევი) სახის როული წინადაღება (ზეროული წინადაღება)	170
სასვენი ნიშნების ხმარებისათვის ზეროულ წინადაღებაში	173
პირდაპირი და ირიბი ნათესავი	175
სასვენი ნიშნები სხვათა სიტყვასთან	177
პუნქტუაცია (სასვენ ნიშანთა ხმარების ძირითადი წესები)	180